

ქეთევან ჯაში

**რომანული
ისტორიული
ენათმეცნიერება**

ქეოვეან ჯაში

სოფიანული ისტორიული ენათმეცნიერება



ბამბაცემლობა „მნიგნობარი“
თბილისი-2010

პროფესორ ქეთევან ჯაშის ფუნდამენტური ნაშრომი „რომანული ისტორიული ენათმეცნიერება“, რომანულ ენათა ისტორიების სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, წარმოგვიდგენს რომანულ ენათა ოჯახის ქვეჯგუფების - გალო-რომანულის, იბერო-რომანულის, იტალო-რომანულის, ბალკანო-რომანულისა და რეტორომანულის ჩამოყალიბების ისტორიას, რომანიზაციის პერიოდიდან დღემდე. ნაშრომი დიდად მნიშვნელოვანია რომანული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტთათვის და ასევე რომანული ენათმეცნიერების მკვლევართათვისაც, რადგან ქართულ ენაზე რომანისტიკის პრობლემების ასეთი სრულყოფილი მეცნიერული კვლევა დღემდე არ გამოქვეყნებულა.

პროფ. ციური აზველდიანი

ISBN 978-9941-9122-9-0

© გამომცემლობა „მნიგნობარი“, 2010

© ქეთევან ჯაში, 2010

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი ლექციების კურსია რომანულ ისტორიულ ენათმეცნიერებაში, რომელიც განკუთვნილია რომანისტიკის მიმართულების მაგისტრანტებისათვის. ლათინური ენა რომანული ენების ძირე ენაა. სწორედ მისი საშუალებით მოხდა რომანული ენების თავისებურებათა ჩამოყალიბება. წიგნში განხილულია შემდეგი საკითხები:

1. რომანული ენების გენეზისისა და მათი კლასიფიკაციის პრინციპები;
2. ლათინური ენის სტილისტურ თავისებურებათა აღწერა; ბალზური ლათინურის დიფერენციაციის მიზეზებისა და მისი რომანულ ენებად გარდაქმნის დადგენა;
3. ლათინური და რომანული ენების სისტემების ტიპოლოგიური შეპირისპირება მათი ისტორიული განვითარების გათვალისწინებით რომანული ენების საერთო ნიშნებისა და თავისებურებათა განსაზღვრის მიზნით;
4. რომანისტიკის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორიის განხილვა.

წიგნის ბოლოს მოცემულია ძველ ენებზე დაწერილი ტექსტები. აქცენტი კეთდება სამ რომანულ ენაზე. ესენია: ფრანგული, ესპანური, იტალიური. ეს ის ენებია, რომლებიც ისწავლება ჩვენს უნივერსიტეტში. მათი შესწავლა და განხილვა მოხდება სემინარებზე. განიხილება ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური ცვლილებები. რომანულ ენათა ლექსიკური კონვერგენცია დაგვეხმარება საერთო ეტიმონიის მოძებნაში, რომელიც საჭიროა დიფერენციის პრინციპების დასადგენად და გასაცნობიერებლად.

თავი I. რომანული ენების ჩამოყალიბების ისტორიული პირობები	6
რომანული ენების ზოგადი დახასიათება. რომანული ენების სოციოლინგვისტური ასპექტები. რომანული ენების კლასიფიკაციის პრობლემები	
თავი II. რომანია როგორც ისტორიული ცნება	21
რომანიის წინარეისტორია: ევროპა და ხმელთაშუაზღვისპირეთი ჩვ. წთ.-დე პირველ ათასწლეულში. ძველი რომანიის წარმოქმნა; რომანიზაციის ცნება. რომანიზაციის ფაქტორები. ისტორიულ მოვლენათა თანმიმდევრული ქრონოლოგია. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა. რომის იმპერიის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბება. რომანული ენების გაგრძელება ძველი რომანიის მიღმა მყოფ ტერიტორიაზე	
თავი III. რომანული ენების სათავეებთან	48
ლათინურ-რომანული ენების ძირი ენა. ლათინური ენის ისტორიის ეტაპები. ხალხური ლათინურის რომანულ ენებად გარდაქმნა. რომანულ ენების პირველი ლიტერატურული ძეგლები	
თავი IV. რომანულ მნათა სისტემის ისტორიული განვითარება და სტრუქტურული მართიანობა	67
ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებები ძველფრანგულ და პროვანსალურ ენებში. ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური	

ცვლილებები საშუალოფრანგულიდან დღემდე, ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებები ესპანურ და პორტუგალიურ ენებში. ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებები იტალიურ ენაში. ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებები რუმინულ ენაში. ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებები რეტორომანულ ენაში.

თავი V. რომანული ენები როგორც მცენიერული კვლევის ობიექტი 159

ფილოლოგიური საქმიანობა რომანული ენების სფეროში XIV-XIX საუკუნეებში. რომანული ენების კვლევა XX საუკუნეში. რომანისტიკა XXI საუკუნეში.

დანართი

ძველი ტექსტები და მათი თარგმანები	172
რუკები	194
ბიბლიოგრაფია	196

თავი I. რომანული ენების ჩამოყალიბების ისტორიული პირობები

რომანული ენების ზოგადი დახასიათება. რომანული ენების სოციოლინგვისტური ასპექტები. რომანული ენების კლასიფიკაციის პრობლემები.

რომანული ენები ენათა ჯგუფია, რომელთაც საერთო წარმოშობა აქვთ იხინი ლათინური ენიდან უფრო სწორედ ხალხური, სასაუბრო ლათინურიდან წარმოიშვა. რომანულ ენებზე შეტყვევლებს ესპანეთის, იტალიის, პორტუგალიის, რუმინეთის, საფრანგეთის, მოლდავეთისა და დასავლეთ ფროპის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა. ასევე რომანული ენებზე ლაპარაკობენ ლათინური ამერიკის სახელმწიფოებში. ესენია: არგენტინა, ბრაზილია, კუბა, მექსიკა, პერუ და ა.შ. რომანული ენები სახელმწიფო ენებია აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოში. ის რომ მათ საერთო წარმოშობა აქვთ, ვლინდება ამ ენებში მსგავსი ფორმების არსებობით, რომლებიც ეტიმოლოგიურად ლათინურ ენას უკავშირდება. მაგალითად: ლათინურად – **unus** – ერთი, **habere** – ქონება, **homo** – ადამიანი; ფრანგულად – **un, une, avoir, homme**; ესპანურად – **un(o), una, haber, hombre**; იტალიურად – **uno, una, avere, uomo**; პორტუგალიურად – **um, uma, haver, homem**; რუმინულად – **un(u), una, a avca, om**; მოლდავეურად – **un(u), una, a avia, om**.

რა თქმა უნდა თითოეულმა ენამ გარკვეული ფონეტიკური თუ მორფოლიგიური ცვლილება განიცადა, რომლებმაც სახე უცვალეს სიტყვათა ფორმებს, მაგრამ მათი კავშირი ლათინურ ენასთან უდავოა. ამ ენების ნათესაური კავშირი მტკიცდება იმითაც, რომ მათ თავიანთ სტრუქტურაში ასახეს ცვლილებები, რომლებსაც ხალხურ ლათინურში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადგილი პქონდა. რომანული ენები ახალი

ინდოევროპული ენების ერთ-ერთი დიდი ჯგუფია, რომლებიც ძველი ინდოევროპული ენის კრძიდ, ლათინურის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ჩვენთან V-VI საუკუნეებში, ძველი რომაელი ისტორიკოსების ნაშრომებში გვხვდება ტერმინი «რომანია», **Roma** – რომი ლათინურად, აქედან გაჩნდა სახელწოდება რომანული ენები. ასე აღნიშნებოდა ტერიტორიები, რომლებიც რომის შემადგენლობაში შედიოდა. შემდეგ გამოიყენებოდა ტერმინი «ძველი რომანია». ლათინოამერიკული სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ «ძველი რომანიის» ნაცვლად გაჩნდა ტერმინი «ახალი რომანია». სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი «რომანია» აღნიშნავს ქვეყნებს, სადაც რომანული ენებია გავრცელებული. ეს ტერმინი პირობითია და არ აღნიშნავს რომანული ენების ქვეყნების არც ტერიტორიულ და არც პოლიტიკურ გაერთიანებას.

რომანული ენების რაოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით საკითხი სადავო რჩება. დღეს ყველაზე სანდო კრიტერიუმად ითვლება ენობრივი ერთეულის სოციოლინგვისტური სტატუსი. ამის მიხედვით გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს:

1. ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული, იტალიური, რუმინული, მოლდავური-სახელმწიფო ენებია;

2. მოლდავური, რეტორომანული, კატალონური, გალიციური-ენები, რომლებიც ფედერაციებსა ან ავტონომიურ ოლქებში გამოიყენება;

3. პროვანსალური (ოქსიტანური) ენა. მას არ გააჩნია სოციოლინგვისტური სტატუსი, მაგრამ აქვს მდიდარი კულტურული, ლიტერატურული და ისტორიული ტრადიციები;

4. სარდინიული – ისტორიულ-ეთნიკური ჯგუფის ენა, რომელიც გამოირჩევა თავისი კულტურის მკვეთრად გამოხატული თავისებურებებით.

რომანულ ენებს განეკუთვნება ასევე გამჭრალი დაღმართური ენა. არსებობს ასევე რომანული მეტყველების სახესხაურობები, რომელთა ლინგვისტურ სტატუსზე ვერ შეთანხმდნენ

მეცნიერები. ესაა: გასკონური, ფრანკო-პროვანსალურა, არუმინული, მეგლენიტური და ისტრორუმინული ენები, რომლებსაც ზოგჯერ დიალექტებად მიიჩნევენ. ესპანურის, პორტუგალიურისა და ფრანგულის საფუძველზე გაჩნდა კრეოლის ენები. ეს ენები წარმოიქმნა აფრიკასა და ანტილიის კუნძულებზე ფრანგულის, ესპანურისა და პორტუგალიურის ადგილობრივი ტომების ენებთან შერევით. მათი ჩართვა რომანული ენების ჯგუფში სადავოა. მათ პერიფერიული ადგილი უკავიათ. ჩრდილო აფრიკაში, მცირე აზიაში ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და თურქეთში ცხოვრობს ებრაელების ნაწილი, რომლებიც საუბრობენ სეფარდულ ენაზე. ისინი პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ხალხების წამომავლები არიან (XV საუკუნის ბოლო). სეფარდული ენა ახლოს არის ესპანურთან, მაგრამ განსხვავდება მისგან არქაული ფორმებითა და ახალი წარმონაქმნებით, რომლებიც სხვა ენების (იმის მიხედვით თუ სად ცხოვრობენ სეფარდები) ზეგავლენით გაჩნდა.

რომანული ენების სოციოლინგვისტური ასპექტები. მსოფლიო ენებს შორის რომანულ ენებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დაახლოებით 500 მილიონი ადამიანი საუბრობს რომანულ ენებზე, ანუ მსოფლიო მოსახლეობის (5 მლდ. ადამიანი) 1/10-ზე მეტი. ბევრი რომანული ენა საერთაშორისო ორგანიზაციების, კონგრესებისა და კონფერენციების ენაა.

პორტუგალიური ენა გავრცელებულია პორტუგალიაში (10 მლნ. ადამიანი), თავისი კუნძულებით აზორის კუნძულებზე, მადეირასა და ბრაზილიაში (132 მლნ. ადამიანი). აზიაში, სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე მდებარეობს კუნძული მაკაო, სადაც ოფიციალური ენა პორტუგალიურია. ბრაზილიის პორტუგალიური განსხვავდება პორტუგალიის პორტუგალიურისაგან წარმოთქმით. თავისებურებებია ასევე ლექსიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში. პორტუგალიურის ბრაზილიურ ვარიანტში ხიტყვის ბოლოს ეოკალიზაციის

ტენდენცია შეიმჩნევა. მაგალითად: **mel|meu**-თაფლი, **Brasil [brasiu]**-ბრაზილია. ნაცვლასახელის ფორმა **vos** ჩანაცვლებულია ფორმით **vôces**. უპირო გამოთქმებში გამოიყენება ზმნა **ter** და არა **haver**, როგორც პორტუგალიის პორტუგალიურ ენაში. ბრაზილიურ პორტუგალიურში გამოიყენება ადგილობრივ ინდიელთა ენებიდან და აფრიკული ტომების ენებიდან ნასესხები ფორმები. ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში ოფიციალური ენა პორტუგალიურია. ესენია: ანგოლა, მოზამბიკი, გვინეა-ბისაუ, კაბო ვერდე, სან-ტომე და პრინციპი.

ესპანური ენა ოფიციალური ენაა ესპანეთში (38 მლნ. ადამიანი). მას მიეკუთვნება ასევე ბალეარის კუნძულები ხმელთაშუა ზღვაში, კანარის კუნძულები ატლანტიკის ოკეანეში. ოფიციალურად მას კასტილიურ ენას უწოდებენ. ესპანური ენა კატალონურ და ფრანგულ ენებთან ერთად ოფიციალური ენაა ანდორაში (აღმოსავლეთ პირენეები, მასზე საუბრობს 30 მლნ. ადამიანი). იგი ოფიციალური ენაა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ესენია: არგენტინა, ბოლივია, ვენესუელა, გვატემალა, პონდურასი, კოლუმბია, კოსტა-რიკა, კუბა, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, დომინიკანის რესპუბლიკა, პარაგვაი, პერუ, პუერტო-რიკო, სალვადორი, ურუგვაი, ჩილე, ეკვადორი. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 240 მლნ. ადამიანია. ესპანური ენის მატარებლები აშშ-იც ცხოვრობენ. ლათინური ამერიკის ქვეყნების ესპანური ცოტათი განსხვავდება ესპანეთის ესპანურისაგან ფონეტიკით, ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებებით. მაგალითად: კასტილიურის ინტერდენტალური თანხმოვანი [θ] ლათინური ამერიკის ესპანურ ენაში შეესაბამება ნაპრალოვან თანხმოვანს [s], რის გამოც ლათინოამერიკულ ესპანურში წარმოთქმის თვალსაზრისით არ განსხვავდება სიტყვები **caza-** ნადირობა და **casa-** სახლი. ასევე ლათინოამერიკულ ესპანურში არსებობს გრამატიკული არქაიზმები, მაგალითად: **la calor-** სითბო. კასტილიურის **el calor-** ის ნაცვლად. ხმარებიდან ამოღებულ

იქნა მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელი **vosotros**. ლექსიკაში გამოიყენება ინდიელთა ენებიდან ნასესხები სიტყვები, სემანტიკური ნეოლოგიზმები, სიტყვები, რომელთა საწყისი მნიშვნელობაც შეიცვალა. ესპანური ენა არსებობს სხვადასხვა ნაციონალური ვარიანტების სახით. ესპანური ენა ოფიციალურ ენად ითვლება ეკვატორულ გვინეაში. გაეროში ესპანური ენა ერთ-ერთი სამუშაო ენაა.

კატალონური ენა ერთ-ერთი რეგიონალური ენაა ესპანეთში. კატალონელები (ზ მლნ. ადამიანი), ცხოვრობენ კატალონიაში, ნაწილობრივ ვალენსიასა და არაგონში, ასევე ბალეარის კუნძულებზე. ოთხივე ოლქმა მიიღო ავტონომიის სტატუსი. კატალონური ენა, ესპანურ და ფრანგულ ენასთან ერთად ითვლება ოფიციალურ ენად ანდორაში. კატალონურ ენაზე მეტყველებს საფრანგეთის დეპარტამენტის აღმოსავლეთ პირენეებში მცხოვრები ხალხი (ძირითადად რუსილიონის ყოფილ ოლქში), ასევე კუნძულ სარდინიაზე, ქალაქ ალგეროში, რომელიც ესპანეთს ეკუთვნის. კატალონელები ღრმა ეროვნული ტრადიციების მატარებელი ხალხია. ხელისუფლების ისტორიაში ცნობილია XIV-XV საუკუნეების კატალონური ფერწერის სკოლა. კატალონურ ენაზე შექმნილია ლიტერატურული ნაწარმოებები. დღეს გამოდის დიდი კატალონური ენციკლოპედია. კატალონური ენა იხწავლება სკოლებში. კატალონურ ენაზე გამოდის გაზეთები. იბეჭდება ორენოვანი ლექსიკონები. საფრანგეთში, მონპელიეს უნივერსიტეტში სპეციალური კაოედრაა, სადაც კატალონური ენა იხწავლება და იგი შესაბამისს კვლევებს ატარებს კატალონური ენის შესახებ.

გალიციური ენა ერთ-ერთი რეგიონული ენაა ესპანეთში. ამ ენაზე მეტყველებენ გალიციელები (3 მლნ. ადამიანი), რომლებიც ცხოვრობენ იბერიის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, პორტუგალიის საზღვართან. გალიციას ავტონომიის სტატუსი აქვს. გალიციური თავისი სტრუქტურით ახლოსაა პორტუგალიურთან. გალიციური ენა ფუნქციონირებს

ესპანური ენის გარემოცვაში და მისი განვითარება მსმდინარეობს დამოუკიდებლად. XII-XIII საუკუნეებში გალიციურ ენაზე შექმნილ იქნა მდიდარი პოეზია. გალიციის მიერ ავტონომიური სტატუსის მოპოვება ხელს უწყობს გალიციური ენის სოციალური პრესტიჟის ამაღლებას. XX საუკუნეში იყო მცდელობა გალიციურ ენაზე ავტონომიუზებინათ ლიტერატურა, მაგრამ ამას დიდი წარმატება არ მოჰყოლია.

ფრანგული ენა ოფიციალური ენაა საფრანგეთში (60 მლნ. ადამიანი). ბელგიაში (მოსახლეობის 42% საუბრობს ფრანგულად), ლუქსემბურგში, და საფრანგეთის შვეიცარიაში (18%), მონაკოში (12 ათასი ფრანგია). ფრანგული ენა ოფიციალური ენაა ესპანურსა და კატალონურთან ერთად ანდორაში (4 ათასი ფრანგია). კანადაში კერძოდ, კვებეკში ფრანგულად საუბრობენ (7 მლნ. ადამიანი). ფრანკოფონულ ქვეყნებში ფრანგულ ენას ფონეტიკისა და ლექსიკის დონეზე გააჩნია თავისებურებები. ევროპულ ვარიანტში ეს თავისებურებები ნაკლებად იჩენს თავს. უფრო მკვეთრი განსხვავებაა ამ მხრივ კანადურ ფრანგულში. ფრანგული ენა სახელმწიფო ენაა 13 აფრიკულ სახელმწიფოში. ესენია: ბენინი, ბურკინა-ფასო, გაბონი, გვინეა, ზაირი, კონგო, კოტ დ'ივუარი, მალი, ნიგერი, სენეგალი, ტოგო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი. ამ ქვეყნებში ფრანგულზე გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ენები, რაც ვლინდება წარმოთქმაზე. ისეთ ქვეყნებში რიოგორიცაა ალჟირი, მაროკო, ტუნისი, ფრანგული ენა არაბულ ენასთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ფრანგული ენა ოფიციალური ენაა ჰაიტის დასავლეთ ნაწილში. ფრანგულ ენაზე მოსაუბრეთა რაოდენობა შეადგენს 100 მლნ. ადამიანს. ფრანგული ენა ერთ-ერთი ოფიციალური ენაა გაეროში.

პროვანსალური (ანუ ოქსიტანური) ენა. მასზე სამხრეთ საფრანგეთში 8 მლნ. ადამიანი ლაპარაკობს. შუა საუკუნეებში მას უწოდებდნენ "la langue d'oc", (oc-დამადასტურებელი ნაწილაკია, ისევე როგორც „la langue d'oïl“-ში, oïl-იც ნიშნავდა

„დიახს“). პროვანსში, საფრანგეთის ერთ-ერთ რეგიონში, საუბრობენ ოქსიტანური ენის პროვანსალურ დიალექტზე. პროვანსალური ენა თავისი სტრუქტურით ახლოსაა კატალონურთან. პროვანსალური ენის დიალექტია ვასკონური, რომელიც ხასიათდება მნიშვნელოვანი თავისებურებებით, რითაც ის განსხვავდება სხვა დიალექტებისაგან და საშუალებას აძლევს ზოგიერთ ლინგვისტს მოცემული ენა რომანული ენების ჯგუფში განათავსოს. ოქსიტანური როგორც სასაუბრო ენა გამოიყენება საფრანგეთის სოფლების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კერძოდ, ვასკონიაში. მისი გავრცელების ზონა შემოიფარგლება ჩრდილოეთში მდინარე გარონით ქალაქ ტულუზამდე, დასავლეთში ატლანტიკის ოკეანით, სამხრეთით კი პირენეებით. საფრანგეთში უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში ატლანტიკის პირენეების დეპარტამენტის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობენ არარომანული წარმოშობის ხალხი - ბასკები. ბრეტანის ნახევრაკუნძულზე ცხოვრობენ ბრეტონელები, კელტების შთამომავლები. ბასკური და ბრეტონული ენები არარომანული წარმოშობის ენებია. ბრეტონულ ენაზე საუბრობს 1 მლნ ბრეტონელი. ბელგიასთან მიმდებარე ტერიტორიებზე ცხოვრობენ ფლამანდიელები, ელზასსა და ლოტარინგიაში ლაპარაკობენ გერმანული ენის დიალექტზე. ხოლო კუნძულ კორსიკაზე-კორსიკულ ენაზე, რომელიც იტალიური ენის დიალექტია.

იტალიური ენა ოფიციალური ენაა იტალიაში. მასვე ეკუთვნის კუნძულები სარდინია და სიცილია (59 მლნ. ადამიანი). მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უამრავი იტალიელი ემიგრანტია, რომელთათვისაც ყოველდღიური ურთიერთობის ენად იტალიური რჩება. იტალიურზე ლაპარაკობენ იტალიურ შვეიცარიაში (1 მლნ. ადამიანი). ის აგრეთვე ოფიციალური ენაა აპენინის ნახევარკუნძულზე განთავსებულ სახელმწიფოში სან-მარინო. კორსიკის ერთი ნაწილისათვის იტალიური ენა მშობლიურ ენად რჩება, თუმცა იგი სახელმწიფო ენას არ წარმოადგენს. არსებობს სარდინიული ენა (ან სარდიული),

რომელზეც სარდინიელები (1,5 მლნ. ადამიანი) ლაპარაკობენ. ას იტალიური ენის ზეგავლენას განიცდის.

რეტორომანული ენები. ალპების მთიან ზონაში, ადამიანები სარკებლობენ ენით, რომელიც რომანული ტიპისაა. ეს რომანული კილოკავები ერთმანეთის ახლო მდებარე ტერიტორიებზე გამოიყენება და ამიტომაც, მათ შორის არსებობს მსგავსი ნიშნები. ისინი იყოფა სამ ჯგუფად: დასავლეთის (შვეიცარიის კანტონი გრაუბიუნდენი), ცენტრალური (ყოფილი ავსტრიის ტიროლი, თანამედროვე იტალიური ოლქები ტრენტინო და აჯიჯე) და აღმოსავლეთის (იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქი, ძირითადად ფრიული, ნაწილობრივ ვენეტო) ენები. რეტორომანულ ენას (ეწირო გაგებით), ნაციონალური ენის სტატუსი აქვს შვეიცარიაში ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებთან ერთად. რეტორომანულ ენას არ გააჩნია ერთიანი ლიტერატურული ნორმა და არსებობს 5 ან 6 ლიტერატურულ ვარიანტში, რომელსაც გააჩნია თავისი ორთოგრაფიული, ლექსიკურა და გრამატიკული თავისებურებანი. ხოლო ტიროლისა და ფრიულის ენები, სხვა სახელმწიფოს, კერძოდ, იტალიის შემადგენლობაში შედის და იტალიური ენის ზეგავლენას განიცდის. ტიროლის კილოკავებმა განვითარების მანძილზე ავსტრიული გერმანულის ზეგავლენა განიცადა.

რუმინული ენა რუმინეთის სახელმწიფო ენაა (22,8 მლნ. ადამიანი, 88% რუმინელები). ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებობს აღმოსავლეთ-რომანული ტიპის მეტყველების სამი სახესხვაობა: არუმინული, მეგლენიტური, ისტორორუმინული. მათ უწოდებენ ბალკანო-რომანულ ან სამხრეთ დუნაის კილოკავებს.

მოლდავეური ენა სახელმწიფო ენაა მოლდავეთში (2,6 მლნ. ადამიანი). მოლდავეური ძალზე ჰგავს რუმინულს. ახლომონათესავე ენათა რუმინულისა და მოლდავეური ენების ისტორიული განვითარების პირობები განსხვავებულად ჩამოყალიბდა, რის შედეგადაც მოლდავეური ენა დამოუკიდებელი

ეროვნული ენა გახდა. მოლდავურ ენაზე არსებობს მდიდარი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, იბეჭდება მრავალი ჟურნალ-გაზეთი. მოლდავური ენა ფართოდ გამოიყენება მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით.

კრეოლის ენები. ამერიკის აღმოსავლეთი (1492 წ.), ბევრი ევროპელის ამერიკაში გადასახლების მიზეზი გახდა. მუშახელის ნაკლებობის გამო აფრიკიდან შემოჰყვდათ ზანგები. მათ თავიანთი ენა ჰქონდათ, არ ფლობდნენ დამპყრობთა ენას. საჭირო იყო შექმნილიყო შუამავალი ენა. ყოველ შემთხვევაში ამ როლს რომელიმე ევროპული ენა ასრულებდა. დაიწყო ფრანგულის, ესპანურისა და პორტუგალიურის ათვისების მასობრივი პროცესი. ენების აღქმა ხდებოდა სმენით, ყოველგვარი სწავლების გარეშე. ბგერების წარმოთქმა ხდებოდა მათი ენების საარტიკულაციო აპარატისათვის დამახასიათებელი თავისებურებების შესაბამისად. გაჩნდა დამტკრეული ენა, ანუ ენა პიჯინი. ასე ნასწავლი ენებით დამპყრობლები ახერხებდნენ დაპყრობილებთან ურთიერთობას. ეს ენები ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალება იყო, ისინი გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მათ უწოდებენ კრეოლის ენებს. თვით ტერმინის «კრეოლი» ეტიმოლოგია უცნობია. ვარაუდობენ, რომ ის ადგილობრივ ინდიელთა ენიდანაა წარმოქმნილი. პირველად ის ესპანურ ტექსტში XVI საუკუნეში იყო ნახსენები. შემდგომში კრეოლებს უწოდებდნენ ევროპული წარმოშობის ადამიანებს, რომლებიც ამერიკაში დაიბადნენ. მოგვიანებით კი ზანგებს, რომლებიც ამერიკაში დაიბადნენ და აფრიკული წარმომავლობა ჰქონდათ. ზოგ ქვეყანაში დღეს კრეოლებად იწოდება ადგილობრივი მოსახლეობა, რათა თავი იშიგრანტებისაგან გამოარჩიოს.

ლიტერატურული რომანული ენების ცნება. ლიტერატურული ენა ენის ის სტილისტური სახესხვაობაა, რომელიც აღიარებულია მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ, როგორც სწორი მეტყველების ეტალონი. ლიტერატურული

ენა ლიტერატურული ნორმის არსებობას გულისხმობს. ლიტერატურული ენის ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივია, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ხდება. ამასთან დაკავშირებით არსებობს სამი მოსაზრება: 1. ლიტერატურული ენა ფორმდება მანამ სანამ მოხდება მისი წერსლობითი ფიქსაცია (ფოლკლორში); 2. ნებისმიერი წერილობითი ფიქსაცია, მათ შორის დოკუმენტები, თარგმანები და ა.შ. არის ლიტერატურული ნორმის ასახვა; 3. ლიტერატურული ენის შესახებ საუბარი შეიძლება მაშინ, როდესაც ჩნდება ისეთი ძეგლები, რომლებშიც ნორმირების ტენდენცია არსებობს. პირველი ლიტერატურული ძეგლი საყრანგეთში იყო «სიმღერა როლანდზე» (XI ს.), პროვანსალური-ტრუბადურების პოეზია (XI-XIII), ესპანეთში «სიმღერა ჩემს სიღზე» (XII), პორტუგალიაში პორტუგალიურ-გალიციურ-ლირიკული და სატირიკული პოეზიის კრებული (XII-XIV), იტალიაში-საცილიური სკოლის პოეტთა ნაწარმოებები (XIII). ლიტერატურული ენის ცნება არ ემთხვევა მხატვრული ლიტერატურული ენის ცნებას, თუმცა ეს თანაფარდი ცნებებია და ერთად მოქმედებს. მხატვრული ლიტერატურის ცნება უფრო ფართოა. ის გულისხმობს გამოხატვის ინდივიდუალური საშუალებების გამოყენებას, დიალექტის ელემენტების, ხალხური ფორმებისა და გამოთქმების გამოყენებას, რომლებიც ლიტერატურული ენის ნორმებს სცილდება. ამას გარდა, გამოჩენილ მწერლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ლიტერატურული ენის განვითარებაში. ლიტერატურული ენის ნორმირება დაკავშირებულია წერით და ზეპირ მეტყველებაში ენობრივი გამოხატვის საშუალებების უნიფიცირებით. ლიტერატურული ენის ჩამოყალიბების ისტორიულ-სოციალურმა ფაქტორებმა შეიძლება რამდენიმე ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებამდე მოგვიყვანოს, რასაც ადგილი ჰქონდა შვეიცარიაში. რაც შეეხება რომანული ენების ეროვნულ ვარიანტებს (ესპანურს, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, პორტუგალიურს

ბრაზილიაში, ფრანგულს კანადაში), ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ლიტერატურული ნორმასთან მიმართებაში ისინი თავისებურებით გამოირჩევა. რომანული ენების ლიტერატურული ნორმის ჩამოყალიბების გამოშუშაებაში თავისი წვლილი გრამატიკოსებმა, ლექსიკოგრაფებმა, ენის თეორეტიკოსებმა და ასევე სხვადასხვა რომანულენოვან ქვეყნებში შექმნილმა აკადემიებმა შეიტანეს.

დიალექტების შექმნა. შუა საუკუნეებში ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ საუკეთესო პირობები შექმნა დიალექტების შესაქმნელად. ყველაზე მეტი დიალექტი არსებობს იტალიასა და საფრანგეთში. ჯერ კიდევ დანტეს დროს 14 დიალექტი და 1000 კილოკავი არსებობდა. ლიტერატურული იტალიური ენის ჩამოყალიბებაში არსებითი როლი ფლორენციის (ტოსკანურმა) დიალექტმა ითამაშა, რომელიც სამი უდიდესი პოეტისა და აღორძინების ეპოქის პუმანისტის მშობლიური დიალექტი იყო. ესენი იყვნენ: დანტე, პეტრარკა, ბოკაჩო. ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ XIV-XVI-საუკუნეების იტალიაში. შუასაუკუნეების დიალექტების (ნორმანდიული, პიკარდიული, ვალონური, ლოტარინგიული, ბურგუნდიული, შამპანურის და სხვ.) ნაწილობრივ აღდგენა, რომლებიც საფრანგეთში იყო გავრცელებული, შესაძლებელია ჩვენამდე მოღწეული ტექსტების მეშვეობით. მათი ზეპირი ფორმა ჩვენთვის უცნობია. XIII საუკუნიდან პარიზის როგორც სახელმწიფო დედაქალაქის როლი მნიშვნელოვნად იზრდება. იმ დროიდან ფრანგული ლიტერატურული ენის განვითარება მიმდინარეობს პარიზისა და ილ-დე ფრანსის მეტყველების გავლენით. ძველი პროვანსალური ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება სხვადასხვა დიალექტების ზეგავლენით მოხდა. ლიტერატურული ესპანური ენა კასტილიური დიალექტის საფუძველზე აღმოცენდა. XV საუკუნეში პორტუგალიის დედაქალაქი ლისაბონი გახდა და სამხრეთის დიალექტი ჩანაცვლებულ იქნა სამხრეთის დიალექტით. რუმინულ და

მოლდავურ ენებში ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობა XIX საუკუნემდე ერთმანეთს ემთხვევა. მოლდავური ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებასთან ერთად შეიქმნა ლიტერატურული ნორმა. ლიტერატურული ნორმა მოლდავურ ენაში ხასიათდება უფრო მეტი ნახესობებით რუსული ენიდან და სასაუბრო ენასთან უფრო მეტი სიახლოვით, ასევე ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურებით დღეს უკუპროცესს აქვს ადგილი. ამას ხელს უწყობს რადიო და ტელევიზია. თვით იტალიაში, სადაც ძალიან ბევრი დიალექტია, ხდება ერთგვარი ახალგაზრდების მეტყველების უნიფიცირება, განაკუთრებით სამხრეთის აგრარული რეგიონებიდან სამრეწველო ჩრდილოეთის ქალაქებში. უფრო მეტად დიალექტზე სოფლის მოსახლეობა საუბრობს. დიალექტების გარდა არსებობს ადგილობრივი კილოკავები, რომლებზეც საუბრობს ერთი ან რამდენიმე დასახლებული პუნქტის მოსახლეობა.

რომანული ენების კლასიფიკაციის პრობლემა. რომანული ენები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: დასავლეთისა და აღმოსავლეთის ჯგუფებად. ეს კლასიფიკაცია გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხ დიკმა გააკეთა XIX საუკუნეში. ამ კლასიფიკაციაში მხოლოდ რომანული ენა შედიოდა: ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული, პროვანსალური, იტალიური, რუმინული. იტალიურს და რუმინულს იგი შიაკუთვნებდა აღმოსავლეთის ჯგუფის ენებს. დღეს აღარ არის აუცილებელი, რომ რომანული ენები დასავლურ და აღმოსავლურ ჯგუფებად დაეყოთ. ასეთი დაყოფის კრიტერიუმი ძირითადად ფონეტიკურა, ნაწილობრივ მორფოლოგიური ხასიათის იყო. მაგალითად, მჟღერი ბგერების ჩართვა ანდა ინტერვოკალური თანხმოვნების შენარჩუნება ყრუ თანხმოვნების სახით [p, t, k]. ლათინური ენიდან რომანულ ენებზე გადასვლის დროს ხდებოდა ყრუ ბგერების მჟღერი ბგერებით ჩანაცვლება. ლათინურში (სასაუბრო) **potere** > ესპანურში **poder**, პორტუგალიურში

2995

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი
 № — 17

poter, ფრანგულში **pouvoir**; სხვა ენებში ასეთ: ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. იტალიურში **potere**, რუმინულში **a putea**. მრავლობით რიცხვში მამრობითი სქესის სახელებში შემორჩა დაბოლოება **-s**-ი: ლათინურში **homines** > ესპანურში **hombres**, პორტუგალიურში **homens**, ფრანგულში **hommes** ანდა - **h**, გვიანდელი პერიოდის ლათინურისაგან **homini** > წარმოიქმნა იტალიურში **uomini**, რუმინულში **oameni**. ფ. დიცის პრინციპის მიხედვით იტალიური და დაღმარული ენები აღმოსავლეთის ქვეჯგუფში მოხვდა, ხოლო სარდინიული კი თავისებურებებიდან გამომდინარე უნდა გადასულიყო დასავლურ ქვეჯგუფში. უფრო მიზანშეწონილია, რომ მოხდეს რომანული ენების დაყოფა დასავლურ და აღმოსავლურ ქვეჯგუფად თუკი მათ გრამატიკულ წყობაში განსხვავებას გავითვალისწინებთ დასავლური ქვეჯგუფი ესპანურად **quiero cantar**; პორტუგალიურად **quero cantar**; იტალიურად **voglio cantare**; ფრანგულად **je veux chanter**. აღმოსავლურ ქვეჯგუფში რუმინული და მოლდავური ენებია. ენების დაყოფა დასავლურ და აღმოსავლურ ჯგუფებად არ ნიშნავს, რომ ენები, რომლებიც დასავლურ ქვეჯგუფში შედის სრულად ემთხვევა ერთმანეთს სტრუქტურულად. გარდა ამისა, ზოგიერთი დასავლურ ენათა ქვეჯგუფის დიალექტს შეიძლება საერთო ნიშნები ჰქონდეს იმ დიალექტებთან და ენებთან, რომლებიც შედის აღმოსავლურ ენათა ქვეჯგუფში.

რომანული ენების გაერთიანება ტერიტორიულ ერთიანობის პრინციპით განახორციელა კარლო ტალიაინიმ 40-იან წლებში. მან გამოყო 4 რომანული ზონა: იბერო-რომანული, გალო-რომანული, იტალო-რომანული და ბალკანო-რომანული. დღეს მას დაემატა რეტორომანული ზონა. ასეთი დაყოფა გამართლებული არაა, რადგან კატალონური და პროვანსალური ენები სხვადასხვა ჯგუფში აღმოჩნდა. რომანული ენებიდან ყველაზე მეტად ლათინურ ენას ჩამოშორდა ფრანგული, როგორც ფონეტიკურად, ისე გრამატიკული წყობით. ფრანგული ენის თავისებურებებიდან

გამომდინარე არგენტინელმა ფილოლოგმა ამაღლო ალონსომ ენასა კლასიფიკაციაში მას განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა. ყველა დანარჩენ ენას ლათინურთან უფრო მეტი საერთო აქვს, ვიდრე ფრანგულს. ამაღლო ალონსომ სხვა ენები გაერთიანა სახელწოდებით **“Romania continua”** (უწყვეტი რომანია), რომელშიც ფრანგული არ შეუტანია და ეს ენა დატოვა კლასიფიკაციის გარეშე.

რა იგულისხმება რომანული ენების სტრუქტურულ მსგავსებაში? ის, რაც განასხვავებს რომანულ ენებს ლათინურისაგან თუ მათ ახლოებს ერთმანეთთან? გამოხატვის ფორმების მიხედვით რომანულ ენებს გააჩნიათ ენობრივი სტრუქტურის ღრმა შიდა მსგავსება. სტრუქტურული მსგავსება არსებობს სინთეტიკური თუ ანალიტიკური ფორმების წყობაში. თანდათანობით რომანული ენები ლათინურის სინთეტიკური ფორმებიდან გადავიდა ანალიტიკურ ფორმებზე. ინდოევროპულ ენათა ჯგუფში სინთეტიკურ ენებად იწოდება ის ენები, რომლებშიც გრამატიკული კატეგორიები გამოიხატება სხვადასხვა ტიპის დაბოლოებებით. ანალიტიკურ წყობაზე საუბრობენ მაშინ, როდესაც გრამატიკული კატეგორიების გამოსახატავად მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამხმარე სიტყვები ისეთები, როგორებიცაა: წინდებულები, არტიკლები, დამხმარე ზმნები. რომანული ენები სწორედ ანალიტიკური ტიპის ენებს განეკუთვნება. უნდა აღინიშნოს, რომ სინთეტიკური წყობის ენებშიც გამოიყენება დამხმარე სიტყვები, ხოლო ანალიტიკური წყობის ენებში კი ფლექსია. უბრალოდ, უნდა განესაზღვროთ რა როლს ასრულებს ისინი ენის წყობაში და კომუნიკაციის დროს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, თუ რა მიმართებაა რომანულ ენებს შორის სტრუქტურული მსგავსების თვალსაზრისით, არქაულობის ხარისხით ანუ მათა მსგავსებით ლათინურ პროტოტიპთან, ანდა რამდენად განსხვავდება ისინი ლათინურისაგან. რომანული ფორმების არქაულობა უნდა განხილულ იქნეს არა მათი ლათინურ ფორმებიდან კავშირით, არამედ იმათ, თუ რა ადგილი უკავიათ მათ თანამედროვე

ენის სისტემაში. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ახალი ფორმების წარმოქმნა მუდამ ხდება და ის რაც დღეს ახალია, ხვალ შეიძლება არქაულ ფორმად იქცეს.

რომანიის წინარეისტორია: ევროპა და ხმელთაშუაზღვისპირეთი ჩვ. წთ.-დღე პირველ ათასწლეულში. ძველი რომანიის წარმოქმნა; რომანიზაციის ცნება. რომანიზაციის ფაქტორები; ისტორიულ მოვლენათა თანმიმდევრული ქრონოლოგია. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა. რომის იმპერიის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბება. რომანული ენების გავრცელება ძველი რომანიის მიღმა ტერიტორიაზე.

რომანული ენათმეცნიერება წარმოადგენს ლინგვისტიკის კვლევის პროგრამებისა და რომანული ფილოლოგიის კვლევის შემადგენელ ნაწილს. სიტყვა ფილოლოგია ორი მნიშვნელობით იხმარება: ფართო და ვიწრო გაგებით ვიწრო გაგებით, ფილოლოგია მეცნიერებაა, რომელიც ახდენს წარსულის ტექსტების აღდგენას. ეს ის ტექსტებია, რომლებიც გაჩნდა გამოცემლობის დაარსებამდე. ასეთი სახით აღწერილი ფილოლოგია მარტივი როდია. ის გულისხმობს არა მარტო იმ ტექნიკას, რომლითაც ხელნაწერი ვრცელდებოდა, არამედ ენის მდგომარეობას, რომელიც ტექსტში იყო გადმოცემული, ასევე კულტურას, რომელიც მასში იყო მოცემული. ამგვარად ტერმინმა ფილოლოგია, უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა. იგი გულისხმობს ენის, ან ენებისა და იმ კულტურის ცოდნას, რომელიც გამოხატულია ამ ენით თუ ენებით. სწორედ ეს ზოგადი ცნება დევს გამოთქმაში, რომანული ფილოლოგიის კვლევა. მისი მიზანია რომანული ენებისა და მათი კულტურის კვლევა. სიტყვა რომანული ლათინური წარმოშობისაა და „რომანუს“ ნიშნავს რომის მოქალაქეს. სიტყვა გამოხატავს

პოლიტიკურ და არა ენობრივ რეალობას. ლათინური ენა, თავის სიძლიერეს უნდა უმაღლოდეს იმ ქვეყანას, რომელიც ატარებდა თავის დედაქალაქის სახელს, ეს იყო რომი. აქ უნდა ვაიხვეყნოთ ორი ეტაპი. პირველ ეტაპზე, სიტყვა აღნიშნავდა დედაქალაქის მაცხოვრებელს, მეორეზე, კი მთელი იმპერიის მაცხოვრებელს. იმ პერიოდში მაცხოვრებლებს სხვადასხვა წარმომობა, მაგრამ საერთო სტატუსი ჰქონდათ შესაძლებელია, რომ სიტყვას მიეღო ლინგვისტური მნიშვნელობა. სიტყვა „რომანუს“ უკავშირდება სიტყვას „რომანია“. IV საუკუნიდან ეს სიტყვა აღნიშნავს იმ ტერიტორიებს, რომლის მოსახლეობაც რომანელები იყვნენ. იგი უპირისპირდება სიტყვას ბარბაროსი, რაც „უცხო“ ნიშნავს. სიტყვა „რომანია“ ევოლუცია განვლო და დღეს აღნიშნავს იმ ტერიტორიას, რომელზეც საუბრობენ ერთ-ერთ რომანულ ენაზე. სიტყვა რომანუს პოლიტიკური მნიშვნელობა უნდა გამქრალიყო, მაგრამ ამ სახელმწიფოს ყოფილმა სუბიექტებმა, რომლებმაც გაითავისეს „რომანული ენები“, შეინარჩუნეს ეს სიტყვა ლინგვისტური მნიშვნელობით. სწორედ ამ მნიშვნელობით ძველ ფრანგულში გაჩნდა სიტყვა „რომანც“, რაც კულტურულ ენას წარმოადგენდა და იგი დაუპირისპირდა დახვეწილ ენას. ზედსართავი რომანული, გამოთქმებში რომანული ფილოლოგია და რომანული ლინგვისტიკა გახდა ნეო-ლათინურის სინონიმი. რომანულ კულტურებს საფუძვლად უდევს ლათინური ენა და ის კულტურები, რომლებსაც ისინი გამოხატავენ.

აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ტომები ჩვენ წელთაღრიცხვამდე, იყვნენ ეტრუსკები და იტალიკები. ეტრუსკები, უძველესი არაინდოევროპული წარმომობის ტომი იყო. მათ მიაღწიეს მაღალ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას. დიდი როლი ითამაშეს რომის ცივილიზაციის შექმნაში. მათ ეკავათ იტალიის დასავლეთი ნაწილი. ეტრუსკების ენის დამადასტურებელია ის წარწერები, რომლებიც არსებობს საფლავეებზე, სხვადასხვა საგნებზე, რომლებიც თარიღდება ჩვენ წელთაღრიცხვამდე VII საუკუნით.

იტალიელები, ეთნიკური ჯგუფია, რომელიც ახლოს იყვნენ ინდოევროპული წარმოშობის ტომებთან. ისინი ცხოვრობდნენ ცენტრალური და სამხრეთ იტალიის ტერიტორიაზე, აგრეთვე კუნძულ სიცილიაზე. ჩვენ წელთაღრიცხვამდე 1000, 500 წლებში, იტალია დასახლებული იყო სამი განსხვავებული ტიპის ხალხებით. ესენი იყვნენ: ეტრუსკები (მცირე აზიის მოსახლეობა) რომის ჩრდილოეთით, რომის სამხრეთით ბერძნები, და სიცილიაში ლათინური წარმოშობის ეთნიკური ჯგუფები. ეტრუსკების აღსანიშნავად არსებობს რამდენიმე სახელწოდება. ბერძნები მათ ტირენებს ან ტირსენებს უწოდებდნენ, ხოლო რომაელები ტრუსკებს ან ეტრუსკებს. ლათინები წარმოადგენდნენ იტალიურ ტომს და სახლობდნენ იტალიის ცენტრალურ ნაწილში. გადმოცემით რომი დაარსდა ჩვ. წთ.-დე 753 წელს. არსებობს ლეგენდა რომის შემქმნელების შესახებ. ორი ძმა რომულუ და რემე მეფის ბრძანებით მდინარე ტიბროსში დაბადებისთანავე გადააგდეს. საოცრებით გადარჩენილი ძმები, ძუ მკვლმა გამოზარდა, მათ რძეს აწოვებდა. რომის წარმოშობის ზუსტი ისტორია უცნობია. არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ რომი ეტრუსკებმა დააარსეს რომაელებისა და საბინების კოალიციით. არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი იქნა ძუ მკლის ბრინჯაოს ქანდაკება, რაც იმას ადასტურებს, რომ რომი ეტრუსკული წარმოშობისაა. ლათინურმა ენამ განდევნა სხვა ტომების ენები ჩვ. წთ.-ით I-II საუკუნეებში. ეს პატარა დაბა გაფართოვდა და განდევნა კელტები ჩრდილო იტალიიდან რომლებიც არ დაემორჩილნენ მათ, ვინც ჩვენს ერამდე II საუკუნეებში რომაელი გახდა.

რომაელების მოსვლამდე, რკინის ხანაში, ჩვენ წელთაღრიცხვამდე VIII და VI საუკუნეებში, კელტური ცივილიზაცია, (რომლებსაც რომაელები გალებს უწოდებდნენ, ტერიტორია რაც დღეს სამხრეთ გერმანიასა და საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთს წარმოადგენს), დამყარდა ავსტრიაში, საფრანგეთის აღმოსავლეთში, ესპანეთსა და დიდ-ბრიტანეთში. სწორედ ამ პერიოდში, დამყარდა სავაჭრო ურთიერთობა

კულტებსა და ხმელთაშუაზღვისპირა მაცხოვრებლებს შორის. ისიც ცნობილია, რომ III საუკუნეში, კულტურმა ტომებმა დაიპყრეს ბერძნულ-რომაული სამყარო, ჩაივდეს რა იტალიის ჩრდილოეთით, მაკედონია და ტესალია. ტრანსალპური გალია (სამხრეთ საფრანგეთის უდიდესი ნაწილი) ჩვენს ერამდე დაიმორჩილა იულიუს კეისარმა, ბრეტანის დიდი ნაწილი აღმოჩნდა ჩვენს წელთაღრიცხვით I საუკუნეში რომაელების დაქვემდებარებაში.

კულტები, რომლებსაც რომაელები გალეს უწოდებდნენ, ინდოევროპული წარმოშობისაა, რომლებიც სხვა ტომებსაც აერთიანებდა. კულტური ტომები სახლობდნენ ბელგიის, ნაწილობრივ ნიდერლანდების, საფრანგეთის, შვეიცარიის, ავსტრიის, ჩრდილო და დასავლეთ ესპანეთის ტერიტორიებზე. კულტური ტომები ცხოვრობდნენ ასევე ბრიტანეთში. სახელწოდება „ანგლისი“ ოფიციალურად მიენიჭა IX საუკუნეში, ხოლო - XVIII საუკუნის დასაწყისიდან მას ეწოდა „დიდი ბრიტანეთი“. ჩვ. წთ.-მდე V საუკუნის ბოლოდან კულტების ნაწილი გადასახლდა ჩრდილოეთ იტალიაში. კულტური ტომის ენები თანდათანობით გაქრა რომაელების დაპყრობის შედეგად. კულტური ენების უძველესი ფორმები საფუძვლად უდევს ირლანდიურ, შოტლანდიურ და სხვა ენებს. ძველ კულტურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება ასევე ბრეტონული ენა, რომელზეც საუბრობენ ბრეტონელები საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფი. იბერები არაინდოევროპული წარმოშობის ტომები იყვნენ. ისინი სახლობდნენ იბერიის ნახევარკუნძულზე. იბერიელთა ტომების წარმოშობის შესახებ მრავალი ჰიპოთეზა არსებობს. ზოგჯერ მათ კავკასიური ჯგუფის ენებსაც უკავშირებენ. დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერები თვლიდნენ, რომ ბასკური ენა, რომელიც ენათა კლასიფიკაციის გარეშე დარჩა, იბერიული სუბსტრატის გაგრძელებას წარმოადგენდა. დღეს არსებობს აზრი, რომ ვასკონები (ასე ეწოდებოდათ ბაკების წინაპრებს) პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ერთ-ერთი

უძველესი ხალხია. ისინი ცხოვრობდნენ ასევე საფრანგეთის ტერიტორიაზე და შეეძლოთ ზემოქმედება მოეხდინათ რომანული მეტყველების გასკონური სახესხვაობის ჩამოყალიბებაზე. ამბობენ, რომ იბერები III ათასწლეულის დასაწყისში აფრიკიდან მოვიდნენ. გერმანიკული ტომები ინდოევროპული წარმოშობისაა. სახლობდნენ მდინარეების რაინის, ელბის, ოდერის, ვიხლის, ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების ნაპირებთან და ასევე სკანდინავიის სამხრეთით ანსხვავედნენ დასავლეთგერმანიკულ და აღმოსავლეთგერმანიკულ ტომებს. ჩვ. წთ.-მდე I ათასწლეულში, ისინი ძირითადად ეწეოდნენ მეცხოველეობასა და ნადირობას. იმ დროს დამწერლობა არ იყო განვითარებული. პირველი ხელნაწერი ძეგლები განეკუთვნება შუასაუკუნეების პერიოდს (VI-XI საუკუნეებს). ფრაკიელები ინდოევროპული წარმოშობისაა, რომლებიც ცხოვრობდნენ ბალკანეთის სახევარკუნძულსა და მასთან მიმდებარე ჩრდილოეთ დუნაის ოლქში. არსებობს მოსაზრება, რომ ფრაკიულის ილიურთან შერევის შედეგად განვითარდა ალბანური ენა. ძველი საბერძნეთი უძლიერესი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო ჩვ. წთ.-მდე VII-VI საუკუნეებში. ის ხმელთაშუაზღვაზე თავისი კოლონიების შექმნის პოლიტიკას ატარებდა სამხრეთ იტალიაში, სიცილიასა და გალიაში. ბერძნული კოლონიები მალე მდიდრდებოდნენ, დაპყრობილ ქალაქებში იქმნებოდა საჯაჭრო და კულტურული ცენტრები. ჩვ.წთ.-მდე I ათასწლეულში შეიქმნა ფინიკიის სახელმწიფო (თანამედროვე ლიბანისა და სირიის მომიჯნავე ტერიტორია). იგი თავის მხრივ ქმნიდა თავის კოლონიებს ხმელთაშუა ზღვაზე, ჩრდილოეთ აფრიკაში, სიცილიაზე, სამხრეთ ესპანეთში. ჩვ.წთ.-მდე VIII-VI საუკუნეებში ფინიკიამ დაკარგა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შევიდა ჯერ ასირიის, შემდეგ კი ბაბილონის სახელმწიფოს შემადგენლობაში. მისი პოლიტიკური და კულტურული გავლენა დასუსტდა. ჩვ.წთ.-მდე IX საუკუნეში ძლიერდება აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებული ფინიკიელი ვაჭრების მიერ

დაარსებული კოლონია ქალაქი — სახელმწიფო კართაგენი. მან დიდ წარმატებებს მიაღწია ხანმოკლე პერიოდში. ჩვ. წთ-მდე VI საუკუნეში იგი ხდება ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფო.

ძველი რომანიის შექმნა. რომი ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი ქალაქი. იგი შევიდა ლათინური ფედერაციის ქალაქების შემადგენლობაში. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო ფედერაციის სხვა წევრებთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას. ჩვ. წთ-მდე VI საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისიდან იწყება რომის უწყვეტი აღმავლობის ისტორია. ჩვ. წთ-მდე V საუკუნიდან III საუკუნის შუა პერიოდამდე, რომაელები დაპყრობით ომებს აწარმოებენ. მათ დაიპყრეს ეტრუსკები, შექმნეს რომაულ-ეტრუსკულ ფედერაცია, რომმა დაიპყრო სამხრეთ იტალიის ბერძნული ქალაქები. ჩვ. წთ-მდე 264 წელს რომაელებმა გააპრცელეს თავიანთი ბატონობა სიცილიაზე, შემდეგ ხელში ჩაიგდეს სარდინია და კორსიკა. რომის პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას თან ახლდა კულტურული ცხოვრების აღმავლობაც. რომაელების მიერ სხვა ტერიტორიების დაპყრობით იწყება რომანიზაციის პროცესი. მას მოჰყვა ლათინური ენის გავრცელება, რომის ტრადიციებისა და კულტურის გავრცელება დაპყრობილ ტერიტორიებზე. რომანიზაციის პროცესი მიმდინარეობდა ადგილობრივ მოსახლეობასთან დაუნდობელი ბრძოლით. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დაუმორჩილებელ ტომებს ანადგურებდნენ. რომაელთა ბატონობის დამყარება მთლიანად ცვლიდა იმ ხალხთა ცხოვრების წესს, რომლებითაც დასახლებული იყო დაპყრობილი ტერიტორიები. რომანიზაცია დაიწყო აპენინის ნახევარკუნძულიდან. ეს პროცესი დაიწყო ჩვ. წთ-მდე III საუკუნიდან და გავრძელდა ჩვ. წთ-ით II საუკუნეში. 800 წლიანი ომის შედეგად, რომმა შეძლო დაემორჩილებინა თითქმის მთელი იტალია, კორსიკა, სარდინია და სიცილია. 200,

146 წლებში, რომმა დაიკავა ესპანეთი, ადრიატიკის სანაპირო, ტუნისი აფრიკად (მთელი ჩრდილოეთ აფრიკა) წოდებული, საბერძნეთი, მაკედონია და თურქეთი-აზიად წოდებული. რამდენიმე წელიწადში რომმა დაიპყრო სირია, კვიპროსი, ბელგია, გალია და ეგვიპტე. 150 წლის განმავლობაში მას დაემატა გერმანია, ალპები, დიდი ბრიტანეთი, დაკია დღევანდელი რუმისეთი, სომხეთი, მავრიტანია (დღევანდელი მაროკო), მესოპოტამია, ასირია და თვით არაბეთის ნაწილი. მოკლედ რომი გარდაიქმნა კოლოსალურ იმპერიად, რომელიც 200 წელს ქრისტეშობის შემდეგ გადაჭიმული იყო დიდი ბრიტანეთიდან, ევროპის გავლით, არაბეთს, სომხეთსა და მთელ ჩრდილოეთ აფრიკამდე. იმისათვის, რომ ასეთი იმპერია ემართა, რომმა 286 წელს შექმნა ორი კანცელარია. გამოიყენა რა ბერძნული გამოცდილება. დასავლეთში რომში, სადაც ლათინური ბატონობდა და აღმოსავლეთში კონსტანტინოპოლში, სადაც ბერძნული იყო გავრცელებული. ამგვარად, რომის იმპერია ორად იყო გაყოფილი: ლათინურ და ბერძნულ იმპერიად. კონსტანტინოპოლი, ანუ ახალი რომი მართავდა ბერძნულ ნაწილს (აზია, სირია, იუდეა და ეგვიპტე), რომელმაც შეძლო ეარსება 1000 წელი რომის ლათინური იმპერიის დაშლის შემდეგ, 1453 წლამდე.

რომაელებმა ყველგან დაამყარეს თავიანთი მმართველობის სისტემა და მილიანად გარდაქმნეს დაპყრობილი ხალხები. ისინი არ აიძულებდნენ დაპყრობილ ხალხებს ესწავლათ ლათინური ენა, მაგრამ ისინი არ ფლობდნენ „ბარბაროსთა“ ენას და ისე მოაწყვეს ყველაფერი, რომ ლათინური გამხდარიყო აუცილებელი.

ადამიანები, რომლებსაც სურდათ ყოფილიყვნენ რომის სრულუფლებიანი მოქალაქეები, უნდა შეგუებოდნენ ცხოვრების წესებს, რელიგიასა და რომის ენას იმისათვის, რომ გამხდარიყვნენ რომის მოქალაქეები და სოციალური იერარქიის მაღალი საფეხურისათვის მიეღწიათ. მთელ იმპერიაში დამკვიდრდა ერთიანი რომაული ფულადი ერთეული.

ფინანსური კომპანიები მართავენ რომაულ ადმინისტრაციას, იყენებდნენ მხოლოდ ლათინურს. ესაჭიროებოდათ ძალიან დიდი რაოდენობა გადასახადების ამკრეფი და დაბალი რანგის მოხელეები. ადგილობრივი მაცხოვრებლები, ვისაც სურდა მაღალი თანამდებობებისათვის მიეღწია სწავლობდა ლათინურს. ლათინიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება არმიაც ვახდა. დაპყრობილი ხალხები ვალდებული იყვნენ მძიმე ხარკი ეხადათ რომაელებისათვის, რაც სამხედრო სამსახურს გულისხმობდა, სადაც ბრძანებებს გასცემდნენ ლათინურ ენაზე. გაწეული სამსახურისათვის, მრავალი რომაელი საჩუქრად ღებულობდა მიწებს. ახალმოსახლეებს უფლება ჰქონდათ უკეთესი მიწები მიეღოთ, რომლებიც განთავსებული იყო სტრატეგიულ ადგილებში. ის ადგილობრივი მაცხოვრებლები, რომლებიც აჯანყდებოდნენ, მათ მონებად ჰყიდნენ. ასეთი დასახლებები მნიშვნელოვანი იყო, რადგან მათ ხელი შეუწევს ლათინურის გავრცელებას სოფლებში.

რომაელებმა ააგეს ფართო მოკირწყლული საგზაო ქსელი, რომელიც საშუალებას იძლეოდა მიეღწიათ სწრაფად იმპერიიდან მოშორებულ ადგილებამდე. ამ გზებს იყენებდნენ სამხედრო ნაწილების, საქონლის გადასაადგილებლად და იმპერიის ფოსტის მიმოსვლისათვის. ასეთი ქსელი მოითხოვდა ცხენების, სახედრებისა და ხარების ყოლას, მსუბუქი და მძიმე ეტლების ყოლას, აგრეთვე შესაკეთებელი სახელოსნოების ქონას. ეს კიდევ ერთი ეფექტური საშუალება იყო ლათინური ენის გასავრცელებლად.

მთელმა რომაულმა იმპერიამ განვლო ბილინგვუზმის ხანგრძლივი პერიოდი ლათინურ-კელტური, ლათინურ-გერმანული ან ბერძნულ-ლათინური, რომელიც დაიწყო ქალაქებში, რათა ნელ-ნელა მიეღწია სოფლებამდე. V საუკუნეში დამკვიდრდა ლათინური, კელტური ენები გაქრა. მხოლოდ ვახალურმა ეთნიკურმა ჯგუფებმა, რომლებსაც იყენებდნენ იმპერიის დასაცავად, შეძლეს საკუთარი ენის შენარჩუნება. ამგვარად უკლსელებს დიდ ბრიტანეთში, ბრეტონელებს

ბრეტანში, ბასკებს ესპანეთში, ბერბერებს აფრიკაში, სომხებს, ალბანელებს და ებრაელებს აღმოსავლეთში ევალებოდათ ადგილობრივი პოლიციის ფუნქციის შესრულება და ამგვარად შეედგნოთ შენარჩუნებისათი თავიანთი ენა როგორც სხვადასხვა ენის მატარებელთა საკომუნიკაციო საშუალება. ამით აიხსნება ამ ენების არსებობა. ლათინიზაცია განხორციელდა ყველგან აღმოსავლეთის გარდა, სადაც ლათინური ჩანაცვლებული იყო ბერძნულით. მოსახლეობა ადგილობრივ ენებს იფიქვებდა და სწავლობდა დამპყრობთა ენას.

დაპყრობილ ტერიტორიებზე თანამდებობებზე ინიშნებოდნენ რომაელები. რომის სახელმწიფოს აყვავების პერიოდში ვაკევიდათ გზები, რომლითაც უკავშირდებოდნენ იტალიის სხვა ქალაქებს. პროვინციებში მიმდინარეობდა მშენებლობა, იქმნებოდა სკოლები და შენდებოდა თეატრები. ადგილობრივი მოსახლეობა ადვილად ითვისებდა ლათინურ ენას, რომაულ ტრადიციებსა და კულტურას. სოფელში ეს პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობდა, მაგრამ იქაც აღწევდა რომის გავლენა. მოსახლეობის რომანიზაციას ხელს უწყობდა რომაულ ლეგიონებში ვეტერანების მიწის ნაკვეთებით დასაჩუქრება იმ ადგილებში სადაც სამხედრო სამსახური გაიარეს. ეს პროცესი დაიწყო ჩვ. წთ-ით I საუკუნეში. მათ უფლებას აძლევდნენ ოჯახები სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს შეექმნათ. ადგილობრივი მოსახლეობა რომაული სამხედრო ლეგიონების გარშემო ქმნიდა მუდმივ დასახლებებს, რომლებიც ქალაქებად გარდაიქმნებოდა და შესაბამისად ადრე ხდებოდა მათი რომანიზაცია. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური იყო სასაზღვრო რეგიონებში, სადაც რომაელები ტოვებდნენ ჯარების კონტიგენტს, რომელთაც უნდა უზრუნველყოთ საზღვრების უსაფრთხოება. რომაელების მიერ ახალი ტერიტორიების დაპყრობას ყოველთვის როდი ახლდა თან მოსახლეობის რომანიზაცია. მაგალითად საბერძნეთში, რომელიც ელინისტურ სამყაროს განეკუთვნებოდა, შეინარჩუნა ბერძნული ენა და კულტურა. ბერძნული ენა შემორჩა ოფიციალური ენის

სტატუსით ლათინურთან ერთად. რომანიზაცია ყველგან ერთნაირი არ იყო. რომანიზაცია მყარი აღმოჩნდა თვით იტალიაში, პირენეის ნახევარკუნძულზე, გალიაში, დაკიასა და ნაწილობრივ რეციაში. რომის დამოკიდებულება იტალიის სხვა ქალაქებთან, რომლებიც რომაულ-იტალიური ფედერაციის შემადგენლობაში იყვნენ სხვადასხვა სახით მიმდინარეობდა. იტალიის ზოგიერთი ოლქი, როგორც იყო მაგალითად უმბრია, შედარებით მშვიდად შეხვდა რომის დომინირებულ მდგომარეობას, დანარჩენები მათ შორის ეტრუსკებით დასახლებული ტერიტორია პრაქაელჯერ შეეცადა შეეცვალა არსებული მდგომარეობა. რომი კი აგრძელებდა თავის პოლიტიკას და მისი წამყვანი მდგომარეობა სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა. მან დაიმორჩილა მთელი იტალია და თანაც შეინარჩუნა ქალაქი-სახელმწიფოს სტატუსი. ქალაქების უმეტესობა რომთან ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული, რომლითაც რომი ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო ამ ქალაქების შიდა საქმეებში. სამაგიეროდ, მათ რომისთვის უნდა მიეწოდებინათ სამხედრო გემები და დამხმარე ჯარები. რომის გამოცხადების, სამშვიდობო ხელშეკრულების დადების, მთავარსარდლების დანიშვნის უფლება ჰქონდა რომს. ძირითად ლეგიონებში რომის მოქალაქეები მსახურობდნენ. ყველა ომი, რომელსაც რომი აწარმოებდა მისივე გამარჯვებით მთავრდებოდა და მას დიდი ნადავლი ერგებოდა ხოლმე. გამარჯვების შემდეგ მიწის ნაკვეთს აძლევდნენ რომის მოქალაქეებს, ვისაც ლათინური მოქალაქეობა ჰქონდა. ამან გაართულა იტალიის შიდა მდგომარეობა. გამოიწვია უკმაყოფილება და მოხდა ანტირომაული აჯანყება, რომელიც მოკავშირეთა ომის სახელითაა ცნობილი (91-88 ჩვ.წთ-მდე). ეს ომი ყველაზე სისხლისმღვრელი ომი იყო რომის ისტორიაში. რომმა ჩაახშო აჯანყება, მაგრამ იძულებული იყო დათმობებზე წასულიყო. მათ გაამარტივეს რომის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი. ამან დააჩქარა რომანიზაციის პროცესი. რომანიზაციის პროცესის თავისებურება იმაში მდგომარეობდა,

რომ ლათინური ენის გავრცელება ხდებოდა ზეპირი ფორმით ამით შეიქმნა თავისებური სასაუბრო კონიქ, სადაც ლათინურ ენას შუერია ადგილობრივი მეტყველების ფორმები. რომში ვითარდებოდა ორატორული ხელოვნება, შეიქმნა სპეციალური როტორიკის სკოლა. განვითარდა ლათინური გასათლება, ხელოვნება და ლიტერატურა. ამან ხელი შეუწყო ლათინური ენის გავრცელებას ლიტერატურული ფორმით. თანდათანობით ზემოდასახელებული პროცესების შედეგად ადგილობრივი დიალექტები ნელ-ნელა გაქრა. უნდა აღვნიშნოთ, რომ კეისრისა თუ ციცერონის ენა ყველგან როდი დამკვიდრდა. ლათინური, რომელსაც იყენებდნენ ფუნქციონერები, ჯარისკაცები, ახალმოსახლე რომაელები, ასევე ასიმილირებული ადგილობრივი მოსახლეობა, ნელ-ნელა განსხვავდებოდა I საუკუნის კლასიკური ლათინურისაგან. ამ ენის პარალელურად, რომელიც განკუთვნილი იყო არისტოკრატებისათვის სკოლებში, განვითარდა ხალხური ლათინური, რომლის რეგიონალური შეფერილობა ძალზე შესამჩნევი იყო დამკვრობლებსა და დამკვრობილებს შორის კონტაქტის გამო. თანდათანობით, ლათინური გამოიყენებოდა კლერკებისა და გადაშწერების მიერ საჯარო აქტებისა და მთელი რიგი საეკლესიო თუ სამოქალაქო აქტების შესადგენად. ფაქტობრივად, გიგანტური იმპერიის სტრუქტურას დაშლის შემდეგ, ხალხურმა ლათინურმა აჯობა კლასიკურ ლათინურს.

მესამე საუკუნის ბოლოდან, რომაელი იმპერატორები, ქირობდნენ სულ უფრო და უფრო მეტ გერმანიკული წარმოშობის ჯარისკაცებს. ესენი იყვნენ: გუთები, საქსები, ალამანები და სხვ., რათა გაეზარდათ არმიის შემადგენლობა, რადგანაც წარმოშობით რომაელები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული ომების წარმოებით. გერმანიკული ტომები ვერ უწევდნენ სათანადო წინააღმდეგობას, სხვა გერმანიკული ტომების შემოსევას, რომლებიც აღწევდნენ იმპერიაში. ამას გარდა, რომი ტერიტორიებს უთმობდა გერმანიკულ

მოსახლეობას, რომლებიც კოლონიზაციის გამო მოკავშირეებად იყო მიჩნეული. თანდათანობით, გერმანიკულმა ტომებმა გადალახეს რომის მიერ მიღებული სტატუსი და დაარსეს სუვერენული სახელმწიფო იმპერიის მიწაზე. ხალხური ლათინური, რომელზეც საუბრობდნენ რომის სხვადასხვა პროვინციებში დაქუცმაცდა განსაკუთრებული სოციალური და გეოგრაფიული პირობების გამო, რომისგან მოშორებულ რეგიონებში, როგორცაა ჩრდილოეთში გალია და იქ, სადაც გერმანიკულ მოსახლეობასთან კონტაქტი ჰქონდათ, განავითარა სასაუბრო ლათინურის ფორმა რომელიც განსხვავდებოდა კლასიკური ლათინურასაგან.

375 წელს, მოხდა ჰუნების შეტაკება გერმანიკულ ოსტროგოთებთან, რომლებიც ცნობრობდნენ შავი ზღვის ჩრდილოეთით დუნაისა და დნებრს შორის. ჰუნები მეომარი ტომი იყო, რომლებიც ჩინელების მიერ 4 საუკუნის წინ განდევნილ იქნენ მონგოლეთიდან. განთავსდნენ რა უნგრეთში, მათ გადაწყვიტეს გამგზავრებულიყვნენ დასავლეთისაკენ, და დაემორჩილებინათ ოსტროგოთები. სწორედ 375 წელი ითვლება დიდი შემოსევების წლად, რითაც დაიწყო რომის იმპერიის დაშლის დასაწყისი. ეს ის პერიოდია, რომელსაც რომაელები უწოდებენ „ბარბაროსთა შემოსევას“, ხოლო ეს უკანასკნელი ამ პროცესს „ხალხთა მიგრაციას“ უწოდებდნენ. ენობრივი თვალსაზრისით, ეს შემოსევები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ენობრივი ექსპანსიის მოვლენა, სადაც ენები უპირისპირდებიან ცვალებად დინამიზმს.

395 წელს, იმპერატორი თეოდოზი გარდაიცვალა, რომის იმპერია ორ ნაწილად დაშალა: აღმოსავლეთი არკადიუსის გაზდა, დასავლეთი კი ონორიუსის. რომის იმპერიის ერთიანობა საბოლოოდ დაირღვა, მაშინ როდესაც იმპერია დაიყო დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიებად. ოსტროგოთების დამარცხების შემდეგ, ჰუნები გაემართნენ დასავლეთისაკენ და შეუტიეს სხვა გერმანიკულ ტომებს ვეროპის სხვადასხვა კუთხეში და გაიფანტნენ დასავლეთ რომის იმპერიაში. 447

წელს ქუნების მუყე ატილამ თავისი იმპერია გადაჭიმა კაპის ზღვიდან გალიამდე, მას შემდეგ რაც ევროპას ცეცხლი წაუკიდა და გაძარცვა ჩრდილოეთ იტალია. მისი სიკვდილის შემდეგ იმპერია დაიშალა და გაქრა.

დასავლეთში, ოსტროგოთები დამკვიდრდნენ იტალიაში, სარდინიასა და აზლანდელ იუგოსლავიაში. ვისიგოთებმა დაიკავეს ესპანეთი და საფრანგეთის სამხრეთი. ფრანკებმა კი საფრანგეთის ჩრდილოეთი და გერმანია. ანგლებმა და საქსებმა მიაღწიეს დიდ-ბრიტანეთამდე, მას შემდეგ რაც განდევნეს კელტები ბრეტანში. ბურგუნდებმა დაიპყრეს საფრანგეთის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი. ალამანები განდევნილ იქნენ პელვეციაში, სუევიები გალიციაში. ვანდალებმა დაიპყრეს ჩრდილო აფრიკის, ბალეარის, კორსიკისა და სარდინიის სანაპიროები და გახდნენ ზღვის ბატონ-პატრონი. V საუკუნის ბოლოს, დასავლეთ რომის იმპერია დაქუცმაცდა 10 გერმანიკულ სამთვაროდ. არც ერთ მათგანს არ შეუძლო შეექმნა სახელმწიფო ხანგრძლივი დროით ფრანკებისა და ანგლო-საქსების გარდა. ყოველ შემთხვევაში გერმანიკულმა შემოსევებმა ხელი შეუწყო თანამედროვე ევროპის შექმნას, განსაკუთრებით კი ზოგიერთი ფრანკი მეფის წყალობით. მათ შორის იყვნენ ქლოდვიკი (ფრანკების სამეფო დაარსა და კატოლიციზმი სავალდებულოდ გამოაცხადა) და კარლოს დიდი, კაროლინგების დინასტიის ჩამომყალი.

აღმოსავლეთში, რომაელების მიერ ელენიზებული მოსახლეობა განდევნილ იქნა გოთების, ვანდალების, არაბებისა და თურქების მიერ. ბერძნული ენა, შემორჩენილ იქნა მხოლოდ საბერძნეთში. თუმცა, დასავლეთ რომის იმპერიაში ის მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალური ენა იყო. აფრიკის კონტინენტზე, ვანდალებისა და განსაკუთრებით არაბების მოხვლამ ბოლო მოუღო მოსახლეობის ლათინიზებას. მოხდა მათი ისლამიზაცია. 550 წელს, ბიზანტიური ქრისტიანობა გამოეყო რომის პაპის რელიგიას და შექმნა მართლმადიდებლობა.

ენობრივი თვალსაზრისით, დასაუკლეთ რომის იმპერიის დაშლამ ხალხური ლათინურის დაქუცმაცება დააჩქარა. ეს პროცესი II საუკუნეში დაიწყო. იტალიასთან კავშირი გაწყდა, საბაქრო ურთიერთობები საფრთხეში აღმოჩნდა, გზები აღარ იყო უსაფრთხო, სკოლები გაქრა. VII საუკუნეში, ენობრივი მდგომარეობა განსაკუთრებულად რთული იყო ძველი რომის იმპერიაში. პოლიტიკური როლის შესრულების თვალსაზრისით გერმანიკული ენების ცოდნა სავალდებულო გახდა, რადგანაც ყველა მეფე ლაპარაკობდა მხოლოდ ერთ-ერთ გერმანიკულ ენაზე. ლათინური ენა მხოლოდ წერისას გამოიყენებოდა. საუბრისას ხალხი მას აღარ იყენებდა. გერმანიკული ტომების დაქუცმაცებამ და ცენტრალიზაციის არქონამ ხელი შეუშალა დამპყრობლებს თავიანთი ენა თავს მოეხვიათ დაპყრობილი მოსახლეობისათვის. გერმანიკულ ტომებსა და ზოგიერთ რომანიზებულ მოსახლეობას შორის ერთგვარი შერევა მოხდა. ადამიანებმა დაიწყეს საუბარი სხვა ენაზე, რომელიც არ იყო ლათინური, მაგრამ ჯერ არც ფრანგული, არც იტალიური, არც ესპანური და არც კატალონური იყო. ეს იყო რომანი, ენა სხვადასხვა ვარიანტებით, იმის მიხედვით თუ სად ლაპარაკობდნენ საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, პორტუგალიისა თუ რუმინეთის ტერიტორიებზე.

ლათინური გაქრა რომის იმპერიის ცენტრალურ ნაწილში (ბავარია, შვეიცარია, ავსტრია), ალბანეთში, იუგოსლავიაში, დიდ ბრიტანეთში, ფრანგულ ბრეტანში და ჩრდილოეთ აფრიკაში. სამაგიეროდ, ლათინური შენარჩუნებულ იქნა იმპერიის ნახევრაკუნძულიდან იტალიამდე საფრანგეთის გავლით.

საფრანგეთის ენა განსაკუთრებული შემთხვევა იყო, ლათინურიდან წარმოქმნილმა ენამ უფრო მეტად განიცადა სახეცვლილება ვიდრე სხვაგან (ესპანეთი და იტალია). 987 წელს პირველი დიდგვაროვანი ჰიუგ კაპეტიელი, რომელიც მხოლოდ ფრანგულად, ძველ ფრანგულად ლაპარაკობდა, კურთხეულ იქნა საფრანგეთის მეფედ.

რეგიონებსა და სხვადასხვა სამეფოებს შორის კონტაქტები იშვიათი გახდა, ენობრივმა განსხვავებამაც სულ უფრო მეტად იზინა თავი, რის შედეგადაც გაჩნდა განსხვავებული რომანული ენები. „ლინგვა რომანა რუსტიკა“, რომელზეც ლაპარაკობდნენ ჩრდილოეთ საფრანგეთში (ფრანკების სამეფო), განსხვავდებოდა იმ ენისაგან, რომელზეც სამხრეთ (ვიზიგოტების სამეფო) ნაწილში ლაპარაკობდნენ და ასევე იმ ენისაგან რაზეც ლაპარაკობდნენ იტალიაში (ოსტროგოთების სამეფო) ანდა დაკიაში. ხალხურმა სასაუბრო ლათინურმა სახეცვლილება განიცადა და რეგიონების მიხედვით დაიშალა სხვადასხვა ვარიანტებად. მაშინ როდესაც კლასიკური ლათინური უცვლელი დარჩა, სასაუბრო ენები, რომლებიც უნდა გარდაქმნილიყვნენ ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, კატალონურ ენებად, თანდათანობით ყალიბდებოდა. სწორედ ამ მნიშვნელობით საუბრობენ რომანულ ენებზე, რომელთა ძირი ენა გახლდათ ლათინური. ისინი სულ უფრო შორდებოდნენ ერთმანეთს, რომ განსხვავებული გამხდარიყო, რათა შეენარჩუნებინა საერთო ელემენტები. უკვე 400-დან 500-წლებამდე ხალხური ლათინური ენა განსხვავდებოდა პირველი ფრანგული ტექსტისაგან (XI საუკუნე). იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ფრანგული ენა. ის ჩამოყალიბდა მხოლოდ IX საუკუნეში და ატარებდა ვულგარული ანუ ხალხური ენის სახელს. მას იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც გერმანიკულ ენას, ანუ ლინგვა ტელესკას.¹

VI, VII საუკუნეებში, სამეფოები დასუსტდა. ოსტროგოთები დაპყრობილ იქნენ აღმოსავლეთ რომაელების მიერ, შემდეგ ლომბარდიელების მიერ. ვიზიგოთებმა გააღლიტეს სუვეები, რომლებიც თავიანთი მხრიდან განადგურებულ იქნა ფრანკების მიერ ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო არაბების მიერ ესპანეთში. ვანდალებმა იგივე რამ გადაიტანეს ჩრდილოეთ აფრიკაში და ის ვინც გადარჩა ისლამი მიიღო. საბოლოოდ, ამ დაპირისპირებიდან ფრანკები გამოვიდნენ გამარჯვებულნი,

¹ ლინგვა ტელესკა ნიშნავს „გერმანიკულ ენას“ (ქ. ჯაში).

რამდენიმე მონარქის ავტორიტეტის წყალობით დაიმორჩილეს მთელი რომანიზებული ევროპა. ქლოდვიგმა, ფრანკების მეფემ, ააგო სოასონი 486 წელს. გააფართოვა თავისი სამეფოები ლუარას ხეობაში რეინამდე, მიიღო კატოლიციზმი და გალო-რომაული ქვეშევრდომების მხარდაჭერა. ის პირველი მეფე იყო, რომელიც გერმანიკულ ენაზე საუბრობდა. ქლოდვიგი მეროვენგების დინასტიას წარმოადგენდა. გერმანიკული ენებიდან, რომლებზეც საფრანგეთში საუბრობდნენ, აღსანიშნავია ფრანცისკული, რომელმაც ფრანგულ ენაში სხადასხვა სიტყვების სახით თავისი კვალი დატოვა. გალო-რომაული მოსახლეობა, თავის მხრივ საუბრობდა იმაზე, რასაც უწოდებდნენ იმ დროს „ლინგვა რომანა რუსტიკა“²-ს. იმ დროს მოხდა ტერიტორიალური დაქუცმაცება, ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებს. სასაუბრო ენა სპონტანურად განვითარდა მის ფართო ტერიტორიაზე. რეგიონების მიხედვით მან სხვადასხვა ფორმა მიიღო. სწორედ ამგვარად მოხდა გალიის მიწაზე რომანული რეგიონალური სალაპარაკო ფორმების სპონტანური განვითარება, რომლებიც დაიყო დიალექტებად და კილოკაეებად. მეორე მხრივ, ფრანკებმა რომანულს მისცეს ახალი ენობრივი ტენდენცია მათი ჩრდილოეთის აქცენტის გამო და მათი ვოკალური (ხმოვანთა) სისტემის გამო, რომელშიც გრძელი ხმოვნები დაუპირისპირდა მოკლე ხმოვნებს, რაც აიძულებდა ფრანკებს რომანული ხმოვნები გაცილებით ძლიერად წარმოეთქვათ, ვიდრე ამას ადგილობრივი მოსახლეობა აკეთებდა.

როდესაც ფრანკების სამეფო გადაეიდა კარლოს დიდის ხელში 760 წელს, (კაროლინგების დინასტია), მან წამოიწყო ძველი რომის იმპერიის ხელახალი შექმნა. ამის განხორციელება თითქმის შესაძლებელი გახდა დასავლეთში, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის გარდა, რომლებიც ანგლოსაქსებმა და არაბებმა ჰქონდათ დაპყრობილი. კარლოს დიდის მცდელობა გაერთიანებინა აღმოსავლეთ იმპერია, მარცხით დასრულდა.

² ლინგვა რომანა რუსტიკა ნიშნავს „ხალხურ რომანულ ენას“ (ქ. ჯაში).

როდესაც ის 799 წელს გერმანიკული რომის იმპერიის წმინდა იმპერატორად აკურთხეს, მისი სამეფო გადაჭიმული იყო ესპანეთის ჩრდილოეთიდან დღევანდელი გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებამდე, ავსტრიასა და სლოვენამდე. პოლიტიკური გაერთიანება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც კარლოს დიდის ბრძანებით მის სამეფოში ფრანკისკულზე, მის მშობლიურ ენაზე უნდა ელაპარაკათ.

მისი გარდაცვალების შემდეგ, 814 წელს და შემდეგ მისი შვილის ლუი ღვთისმოსავის გარდაცვალების შემდეგ, მისმა შვილიშვილებმა პრეტენზია გამოთქვეს იმპერიის გადანაწილებაზე. ესენი იყვნენ: ლოთარი, პაპინია, ლუი, უფრო მოგვიანებით კი უკანონო ქორწინებიდან შარლი. პოლოს შარლ მელოტმა და ლუი გერმანიკელმა კავშირი შეკრეს მათი უფროსი ძმის ლოთარის წინააღმდეგ. იგი ისტორიაში „სტრასბურგის ფიცი“-ის სახელითაა ცნობილი და შედგენილია პირველად ხალხურ ლათინურზე.

843 წელს ვერდენის ხელშეკრულებამ კარლოს დიდის სამეფო საბოლოოდ დაყო სამ სახელმწიფოდ. შარლ II მელოტმა მიიღო დასავლეთი ნაწილი, დასავლეთი ფრანკია, ლუი I-მა აღმოსავლეთ ფრანკია ანუ გერმანია და ლოთარმა ცენტრალური, შუა ფრანკია, ანუ ლოტარინგია, ახვეუ სამეფო გვირგვინი. ლოთარის სამეფო გადაჭიმული იყო ჩრდილოეთის ზღვიდან იტალიამდე და მოიცავდა ბურგუნდიას, ნიდერლანდებს და დღევანდელ ბელგიას. შარლ II გახდა საფრანგეთის პირველი მეფე, მისი მეფობის დროს მოხდა ნორმანების პირველი შემოსევა. იმ დროს როდესაც ის იბრძოდა გერმანიაში, ნორმანებმა გადასწყვეს საფრანგეთის ყველაზე დიდი ქალაქები (პარიზი, რუანი, ნანტი, ბორდო და სხვა).

ლოთარის გარდაცვალების შემდეგ, ლოტარინგია სწრაფად დასუსტდა და საფრანგეთსა და გერმანიას შორის მუდმივი მტრობის საგანი გახდა. მოგვიანებით, ლოტარინგია გამოეყო საფრანგეთის სამეფოს. 875 წელს შარლ II-მ მოიპოვა დასავლეთ ფრანკიის მეფისა და დასავლეთის იმპერატორის

ტიტულს, ისე, რომ საფრანგეთი არ იქნა ინტეგრირებული გერმანიკულ იმპერიაში. ამას შემდეგ, თითოეული სამეფო დანაწევრებულ იქნა შემკვიდრების ნებით და რეჟიმების ცვლილების შესაბამისად. ყოფილი იმპერიის თითოეულმა ნაწილმა თავის გზა განვლო.

ყველა ამ პოლიტიკურ თუ სამხედრო მოვლენას ჰქონდა გადამწყვეტი შედეგი ენათა ფორმირების თვალსაზრისით. რომის იმპერიის ექსპანსიამ გამოიწვია ლათინურის გაფართოება, რომაელებს წარმატებები ჰქონდათ და აწარმოებდნენ დაპყრობით ომებს V საუკუნემდე. იმპერიის დაშლას ვერ გაუძლო ლათინურმა და დაქუცმაცდა მრავალ დიალექტად. გერმანიკულმა ენებმა ზეგავლენა მოახდინა რომანულ ენებზე, მაგრამ მათთან ასიმილაცია ვერ მოახდინა. მრავალი ფაქტორი ხსნის ამ მოვლენას, როდესაც დამპყრობელი ერი ახდენს დაპყრობილთან ასიმილირებას. გერმანიკული დამპყრობლები მათზე გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის მისახლეობის პირისპირ აღმოჩნდნენ. ადგილი ჰქონდა შერეულ ქორწინებას. უფრო მეტიც, მათ ვერ შექმნეს ხანგრძლივი დროით სახელმწიფოები და მუდმივად ხდებოდა პოლიტიკური ძალაუფლების ცვლილება. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ფრანკი არისტოკრატები იყენებდნენ ბილინგვიზმს, სანამ დაპყრობილთა ენას შეითვისებდნენ, მხოლოდ მათ შეინარჩუნეს თავიანთი ფრანცისკული ენა, რომლებიც რომანული და გერმანიკული ენების ზღვარზე იმყოფებოდა. დღეს შემორჩენილია ფრანციკულის 4 ფორმა მოზელში, ალზასში, რაინისპირზე, ლუქსემბურგში. საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში სასაუბრო ფრანციკული ფრანკების ენობრივი გადმოიხატოდა, რომლებმაც საფრანგეთი დაარსეს.

როდესაც ვაკვირდებით ევროპის ენობრივ გეოგრაფიას, შეიძლება დავადგინოთ, რომ დასავლეთ ფრანკიის ყოფილი ტერიტორია დღეს ემთხვევა რომანულ ენობრივ არეალს (გამონაკლისია ბრეტანი და ბასკების პროვინცია), დღევანდელი

საფრანგეთის 2/3, რაც ალბათ ადასტურებს ფრანკების ენის ასიმილაციას. სამაგიეროდ, აღმოსავლეთ ფრანკაში შენარჩუნებული იქნა ფრანცისკული, რადგანაც ეს ტერიტორია შეესაბამება დღეს გერმანიკულ ქვეყნებს, როგორებიცაა გერმანია, ელზასი, გერმანული შვეიცარია, ავსტრია. რაც შეეხება ლორატინგიას, ის აერთიანებს ჩრდილოეთით გერმანიკულ არეალს (ფლამანდიური ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი) და რომანულს (ვალონური ბელგია, საფრანგეთის დასავლეთი, ფრანგული შვეიცარია, იტალია). იქ, სადაც ფრანკები ჭარბობდნენ, მათ შეინარჩუნეს გერმანიკული ენა, რომელიც შემდეგ გარდაიქმნა და დახაწვევდა დიალექტებად. იქ, სადაც მათი რიცხვი მცირე იყო, მათი ასიმილირება და რომანიზებაც სწრაფად მოხდა. რომანიზებულ გალიაში, ლინგვა რომანა რუსტიკამ, შემდეგში რომანად წოდებულა, რომელზეც საუბრობდნენ VII საუკუნეში, VIII საუკუნეში დასაბამი მისცა ფრანგულს ენას.

იმ დროს ფრანკების არისტოკრატია ჯერ კიდევ გერმანიკულ ენაზე ლაპარაკობდა. სწორედ ჰიუგ კაპეტიელი 987 წელს საფრანგეთის მეფე გახდა და შემოიტანა ფრანგული, რომელიც მისი მშობლიური ენა იყო. საფრანგეთის სამეფო იმ დროს მხოლოდ ილ დე ფრანსის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. მას მეფე უწევდა კონტროლს. საფრანგეთში ბატონობდნენ გავლენიანი მთავრები: ფლანდრიის გრაფები, ჩრდილოეთში ნორმანდიის ჰერცოგები, აღმოსავლეთში ბურგუნდიისა და სამხრეთში კი აკვიტანიის ჰერცოგები. ამ მთავრებმა მადლიერების ნიშნად მეფისაგან დიდი ტერიტორიები მიიღეს საჩუქრად, უცხოელი ტომების შემოსევისას მათ მიერ გაწეული სამხახურისთვის.

აღსანიშნავია ორი დიდი ზეგავლენა ლინგვა რომანა რუსტიკაზე. ერთი მხრივ, დასავლეთში გერმანიკულის, მეორე მხრივ ლათინურის ზეგავლენა. ფრანცისკულის გავლენა მეტად მნიშვნელოვანი იყო იმ დროის რომანულ კილოკაეებზე. ძირითადად, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და

ლექსიკური ხასიათის.

რომანიზაციის პროცესი სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა. იტალიაში, რომანიზაციის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მოსახლეობა ეთნიკურად მსგავსი იყო და ხასიათობრივად ხაერაოდ იტალიკური ენა კონე შეიქმნა, ასევე ფედერაციული ტიპის ქალაქები გაერთიანდა. პირენეის ნახევარკუნძულზე კი რომანიზაცია არათანაბარი ტემპებით მიმდინარეობდა. გალიის რომანიზაციის პროცესი შედარებით თანაბრად მოხდა. მიუხედავად ამისა, გალიაში ჩამოყალიბდა ორი ენა, პროვანსალური და ფრანგული ენები.

პირენეის ნახევარკუნძულის რომანიზაცია. ესპანეთის რომანიზაციის პროცესი დაიწყო პირენეის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროდან. ესპანეთის დაპყრობა მიმდინარეობდა ადგილობრივ მოსახელობასთან შეუპოვარი ბრძოლის ფონზე. პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობა 200 წელი გრძელდებოდა (ჩვ.წთ.-მდე I საუკუნეში). რომანიზაციის პროცესი იქ არათანაბრად მიმდინარეობდა. ამან წარმოქმნა რამდენიმე რომანული ენა. პირენეები მდიდარი იყო სხვადასხვა სახის საბადოებით. ნახევარკუნძულზე რომაელ ჯარისკაცთა დიდი კონტიგენტი იქნა დატოვებული. რომაელები ატარებდნენ აქტიურ პოლიტიკას, რომ ქალაქის არისტოკრატია დაუფლებოდა რომაულ განათლებასა და კულტურას. ქალაქებში იქმნებოდა რომაული სკოლები. ლათინურის ცოდნა სავალდებულო იყო თანამდებობების დასაკავებლად. ესპანელებს შეეძლოთ განათლება მიეღოთ რომში. მათ შორის იყვნენ სენეკა, მწერალი, ფილოსოფოსი, პოლიტიკური მოღვაწე ჩვ. წთ.-ით I საუკუნეში, კვინტილიანე, ცნობილი მჭერმეტყველი, პედაგოგი და სხვები. რომაელები ცდილობდნენ გაემყარებინათ თავიანთი ბატონობა პირენეის ნახევარკუნძულზე და კეისრიდან მოყოლებული ატარებდნენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც ლათინურ უფლებას ანიჭებდა

ცალკეულ ადგილობრივ თემებს. ზოგიერთ მათგანს, რომლებიც რომაელებს უჭერდნენ მხარს, უფლება მიეცათ რომის მოქალაქეთა კოლონიებად ყოფილიყვნენ მოხსენიებული. რომანიზაციის პროცესი მიმდინარეობდა თანდათანობით, ამას მოჰყვა ადგილობრივი ენების ლათინურით ჩანაცვლება და ესპანური პროვინციების ერთიან-ადმინისტრაციულ მთლიანობად გადაქცევა, რომელსაც რომის სახელმწიფო ეწოდებოდა.

გალიის რომანიზაცია. გალიას რომაელები უწოდებდნენ ტერიტორიას, რომელიც გადაჭიმული იყო პატარა მდინარე რუბიკონიდან აპენინის ნახევარკუნძულზე აღებებს მიღმა დასავლეთით ატლანტიკის ოკეანემდე, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების რაინისა და დუნაის მიდამოებთან. იგი მოიცავდა ჩრდილოეთ იტალიას, საფრანგეთს, ბელგიას, ნაწილობრივ ნიდერლანდებსა და შვეიცარიას. ჩრდილოეთ იტალიის დაპყრობის შემდეგ რომაელებმა დაიწყეს ლათინულ და რომაელ მოქალაქეთა კოლონიების შექმნა. ხმელთაშუა ზღვისპირზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ როლს ასრულებდა მასილია ანუ დღევანდელი მარსელი, რომელიც ძველი ბერძნული კოლონია იყო. იგი რომის ყველაზე ერთგული მოკავშირე იყო და კულტებთან შეტაკების დროს ბევრჯერ უთხოვია დახმარება რომისათვის. მასილიამ შეინარჩუნა თავისუფალი ქალაქის სტატუსი და ბერძნული კულტურისადმი ერთგულება. ჩვ.წთ-მდე 120 წელს რომაელებმა ტრანსალპური გალიის ნაწილი, რომელიც გადაჭიმული იყო ხმელთაშუა ზღვისპირეთის გასწვრივ აღებებიდან პირენეებამდე თავიანთ პროვინციად გამოაცხადეს. მისი ცენტრი გახდა ძველი კულტური ქალაქი ნარბორნი. პროვინციას კი ნარბორნის გალიას უწოდებდნენ. ხშირად რომაელები მას მხოლოდ პროვინციის სახელით მოიხსენიებდნენ. სწორედ აქედან მოდის საფრანგეთის სამხრეთით განლაგებული მხარის პროვინციის სახელი. ჩვ.წთ-მდე 59 წელს კესარმა მმართველობაში ჩაიბარა

ჩრდილოეთ იტალია და ნარბორნის ვალია და 58 წელს თავისი ჯარით ჩავიდა პროვინციაში. ადგილობრივ ტომებს შორის არსებული კონფლიქტის ჩახშობის შემდეგ კეისარი აგრძელებს ვალიის დაპყრობას. ტრანსალპური ვალიის დაპყრობა 9 წელი გრძელდებოდა. დაიმორჩილა ბელგიკა, აკვიტანია, ბრეტანი. ვალია წარმოადგენდა მჭიდროდდასახლებულ ქვეყანას მაღალგანვითარებული მატერიალური კულტურით. ქალაქებს შორის გაყვანილ იქნა კარგი გზები. მდინარეებზე ნაოსნობამ ქალაქებს შორის ვაჭრობის განვითარებას შეუწყო ხელი. ტრანსალპურ ვალიაში ძალზე განვითარდა ხელოსნობა. რომი ვალიაში აქტიურ პოლტიკას აწარმოებდა კოლონიების შექმნის თვალსაზრისით. ვალიის ქალაქებში გაჩნდა ფუნქციონერთა, ვაჭართა, საქმოსანთა დიდი რიცხვი. გაიხსნა რომაული სკოლები. ადგილობრივ დიდგვაროვნებს რომის მოქალაქის სტატუსი მიენიჭათ, ხოლო მათ შვილებს შესაძლებლობა მიეცათ ესწავლათ რომში. ვალიის რომანიზაციის (ჩვ.წთ-მდე I საუკუნიდან ჩვ.წთ-ით I საუკუნემდე) პროცესის სწრაფი ტემპები დაკავშირებულია რომის სახელმწიფოს განვითარების მაღალ დონესთან. მოსახლეობა ლათინურ ენას დაეუფლა სკოლისა და ლიტერატურის მეშვეობით.

დაკიის დაპყრობით დასრულდა რომაელთა პროვინციების სია. იგი მდებარეობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. მის დაპყრობას შეეცადა იულიუს კეისარი, მან ორჯერ იომა მათ წინააღმდეგ მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ მარკ იულიუს ტრაიანმა შეძლო ორი ომის შედეგად დაეპყრო დაკია ჩვ.წთ-მდე 98-117 წლებში. დაკიას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავა და მდიდარი იყო მიწისქვეშა საბადოებით, რამაც უაპრაფი ადამიანი მიიზიდა. ისინი რომის იმპერიის სზვადასზვა ოლქებიდან გადასახლდნენ. ოლქს სასაზღვრო მდებარეობა ჰქონდა და ამიტომაც იქ რომის მიერ გამოგზავნილი მოხელეები და სამხედროები ცხოვრობდნენ. მათ მიწის ნაკვეთები საჩუქრად გადაეცათ. ამან ხელი შეუწყო დაკიის რომანიზაციის პროცესს, რომელიც მუტად ინტენსიურად

მიმდინარეობდა 500-ზე მეტი წლის განმავლობაში.

ძველი რომანია გვიანდელ პერიოდში. ახალი ტერიტორიების დაპყრობით პროვინციის მაცხოვრებლებთან ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის ფორმები ჩამოყალიბდა. თანდათანობით რომაელები სულ უფრო ადვილად ანიჭებდნენ პროვინციის მაცხოვრებლებს რომის მოქალაქის სტატუსს. ტრაიანიდან მოყოლებული, რომელიც ესპანელი იყო წარმოშობით, იმპერატორებად პროვინციის მაცხოვრებლების წარმომადგენლები ხდებოდნენ, ხოლო III საუკუნეში კი რომს მართავდნენ პროვინციის მაცხოვრებლები, რომელთაც თავიანთი კარიერა უბრალო ჯარისკაცის ჩინით დაიწვეს. სამხედრო სამსახურში უკვე პროვინციის მაცხოვრებლებიც მიჰყავდათ მონათმფლობელური წყობის წიაღში ყალიბდებოდა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია-ფეოდალიზმი. ჩუწით II საუკუნეში, რომი ნომინალურად დედაქალაქდ რჩებოდა, მაგრამ მან დაკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა. 330 წელს ბიზანტიის უძველესი ქალაქის ადგილას შეიქმნა სახელმწიფოს ახალი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, ხოლო 395 წელს მოხდა რომის იმპერიის ორ ნაწილად დაყოფა, დასავლეთ და აღმოსავლეთ იმპერებად. დასავლეთ რომის იმპერიამ იარსება 476 წლამდე, ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერიამ 1453 წლამდე, ანუ სერქების შემოსევამდე.

რომის ტერიტორიაზე სახელმწიფოთა წარმოქმნა. ჯერ კიდევ რომის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხდებოდა სხვადასხვა ბარბაროსული ტომების, უმეტესად გერმანიკული ტომების შემოსევა. გერმანიკული ტომების მიერ რომის ტერიტორიების დაპყრობა თანდათან ხდებოდა. II საუკუნის ბოლოს და III საუკუნის დასაწყისში გოთები ახალი მიწების ძიებაში შავი ზღვის სანაპიროებამდე ჩამოვიდნენ. III საუკუნეში ვესტგოთების შეტევის გამო რომაელებმა დატოვეს დაკია. V საუკუნეში დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამ

დაჩქარა ბარბაროსულ სახელმწიფოთა წარმოქმნა რომის ყოფილ მიწებზე. VI საუკუნეში იტალიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ დასავლეთგერმანიკული ტომები ლანგობარდები და შექმნეს ლანგობარდების სახელმწიფო. V საუკუნის ბოლოდან მოყოლებული და VIII საუკუნემდე ხდება ფრანკების (დასავლეთგერმანიკული ტომები) სამეფოს გაფართოება. ქლოდვიგის დროს, რომელიც შეროვინგების დინასტიის წარმომდგენელი იყო, მთელი ტრანსალპური გალია აღმოჩნდა ფრანკების სამეფოს შემადგენლობაში. VIII საუკუნიდან ძალაუფლება კაროლინგების დინასტიის ხელში გადავიდა, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომდგენელი გახლდათ კარლოს დიდი. კაროლინგების და განსაკუთრებით კარლოს დიდი დროს ფრანკების სამეფო ძალზე გაფართოვდა. თავიდან სამეფოს დედაქალაქი პარიზი იყო, ხოლო შემდეგ ააქენი. ფრანკების სამეფო იმპერიად, ხოლო კარლოს დიდი, რომის პაპის მიერ იმპერატორად იქნა გამოცხადებული. კარლოს დიდის დროს განვითარდა ხელოვნება, ლიტერატურა. კარლოს დიდის გარდაცვალების შემდეგ იმპერიას მართავდა მისი შვილი, რომელიც ძალე გარდაიცვალა და ფრანკების იმპერია მისმა სამმა შვილიშვილმა ვერდენის ხელშეკრულების საფუძველზე 843 წელს სამ ნაწილად გაჰყო. კარლმა მელიოტმა მისი იმპერიის დასავლეთი ნაწილი, ლოთარმა მისი ცენტრალური ნაწილი, ლუი გერმანიკელმა აღმოსავლეთი. ლოთარმა ნომინალურად შეინარჩუნა იმპერატორის ტიტული, თუმცა რეალურად სხვაგან მისი მმართველობა არ ვრცელდებოდა. რომანიზებული ტერიტორიების სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიერ დაპყრობამ, მათ შორის გერმანიკული, რომლებშიც ფრანკები შედიოდნენ, ლათინური ენის შევიწროება არ გამოუწვევია. დამპყრობლების ასიმილირება ადგილობრივ რომანულ მოსახლეობასთან მოხდა, რომელიც თანდათან საკუთარ ენას კარგავდა. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შედეგად რომანიზაციის პროცესი კი არ დასრულდა, არამედ სხვა ფორმა მიიღო. გერმანიკულმა ენებმა ზეგავლენა

მოახდინა ლათინურზე და მის საფუძველზე აღმოცენებულ რომანულ ენებზე. ამან გარკვეული ასახვა პპოვა ფონეტიკასა და ლექსიკაზე. VI-VII საუკუნეებში დაკიის ტერიტორიასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დასახლდნენ სლავური ტომები. VII საუკუნეში ჩნდება ბულგარეთის პირველი სამეფო, ხოლო IX-X საუკუნეებში ჩნდებიან მომთაბარე ტომები უნგრელები ანუ მადიარები და სახლდებიან დღევანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე.

რომანიზებულ ტერიტორიაზე სახელმწიფოთა ფორმირება. VIII საუკუნეში პირენეის ნახევარკუნძულზე ჩრდილოეთ აფრიკიდან შეიჭრნენ არაბები. IX-X საუკუნეებში არაბების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა კორსიკა, სარდინია, სიცილია, კრიტი, ნაწილობრივ პროუანსი და სამხრეთ იტალია. პირენეის ნახევარკუნძულის არაბების მიერ დაპყრობით დაიწყო მისი უკან დაბრუნების პროცესი, რომელსაც რეკონკისტა³ ეწოდა. იგი დაიწყო, ასტურიიდან, ჩრდილოეთ კასტილიიდან და კატალონიიდან. ეს ტერიტორიები არაბებს არ ჰქონდათ დაპყრობილი. XIII საუკუნეში მთელი ნახევარკუნძული განთავისუფლებულ იქნა არაბებისაგან. მათ მხოლოდ გრანადა რჩებოდა და რეკონკისტას პროცესი 1492 წელს გრანადის დაცემით დასრულდა. პორტუგალია არაბებისაგან განთავისუფლდა XI საუკუნეში და შევიდა ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო XII საუკუნიდან ის დამოუკიდებელი სამეფო გახდა. პორტუგალიამ შეძლო შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა. საფრანგეთს, ასეთი სახელწოდებით მოიხსენიება X საუკუნის დასაწყისიდან. IX-X საუკუნეებში, საფრანგეთის ტერიტორიას დროდადრო თავს ესხმიან ნორმანები, ჩრდილო დასავლეთში შეიქმნა ნორმანდიის საჰერცოგო მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მეფემ მათ ერთ

³ რეკონკისტა (ესპ.) ნიშნავს ხელახალ დაპყრობას, ხოლო ისტორიაში ის გულისხმობს პირენეის ნახევარკუნძულის არაბებისაგან განთავისუფლებას (ქ. ჯამი).

მეთაურს მიწა აჩუქა იმ მიდამოებში. ერთიანი სახელმწიფოს ფორმირება არათანაბრად მიმდინარეობდა. საფრანგეთის სახელმწიფო შეიქმნა XVI საუკუნეში. ბელგიის ჩამოყალიბება კი დაიწყო V საუკუნიდან. მხოლოდ XIX საუკუნეში 1830 წელს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დასრულდა ბელგიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებით იქ ცხოვრობდნენ ფლამანდიელები და ვალონები. შვეიცარიის მთელი ტერიტორია V-X საუკუნეებში ფრანკების სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. XIX საუკუნეში შეიქმნა ფედერალური სახელმწიფო. თანამედროვე შვეიცარიის მოსახლეობა შედგება გერმანელი-შვეიცარიელებისაგან, ფრანკო-შვეიცარიელებისაგან, იტალო-შვეიცარიელებისაგან და რეტორომანელებისაგან. იტალია VIII საუკუნის ბოლოდან შედიოდა ფრანკების სამეფოს შემადგენლობაში. იტალიის ტერიტორია თავის დროზე ლოთარს გადაეცა. პოლიტიკური ძალაუფლება იქ უფრო ნომინალურ ხასიათს ატარებდა, რადგანაც თითოეული რეგიონი დამოუკიდებელად ცხოვრობდა. ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება მხოლოდ XIX საუკუნიდან დაიწყო. ამ პროცესმა თავისი გამოხატულება განსაკუთრებით დიალექტური მრავალფეროვნებით მოახდინა. რუმინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფაშისტური დიქტატურის დამხობის შემდეგ 1947 წელს ჩამოყალიბდა. მოლდავეთი კი შეიქმნა 1924 წელს.

რომანული ენების გავრცელება ძველი რომანიის ტერიტორიის მიღმა. XVI საუკუნეში რეკონკისტას პროცესის დასრულების შემდეგ, ესპანეთი და პორტუგალია ჩამოყალიბდა როგორც საზღვაო სახელმწიფოები. პორტუგალიელებმა გზა გაკვალეს ინდოეთისაკენ. იმ დროს ტერმინით ინდოეთს მოიხსენიებდნენ ინდოეთს, ჩინეთსა და იაპონიას. ეს ქვეყნები ძალზე მიმზიდველი იყო თავიანთი სიმდიდრით ესპანეთიც მოიაზრებოდა როგორც ძლიერი საზღვაო სახელმწიფო. იმ დროს გაჩნდა მოსაზრება, რომ ღეღამიწა მრგვალია და რომ არსებობს დასავლეთის გზა ინდოეთისაკენ. პირველმა ეს გზა

კრისტეფორე კოლუმბმა განელო. მას დიდი დახმარება გაუწიეს ესპანეთის მეფემ ფერდინანდმა და დედოფალმა იზაბელამ. კოლუმბმა განახორციელა 4 მოგზაურობა და დარწმუნებული იყო, რომ ჩავიდა აზიაში, სინამდვილეში კი მიაღწა სამხრეთ ამერიკის სანაპიროებს. კოლუმბი წარმოშობით იტალიელი იყო. კოლუმბმა თავისი აღმოჩენით საშუალება მისცა ევროპელებს ახალი მატერიკი - ამერიკა აეთვისებინათ აღმოჩენილი მიწები ესპანეთის საკუთრებად გამოცხადდა. დაიწყო მათი ინტენსიური კოლონიზაცია. პორტუგალიამ კი მოახდინა ბრაზილიის კოლონიზაცია. იქ ჩაპყავდა დიდი რაოდენობით ზანგი მონები აფრიკიდან. დაიწყო მოძველი ლათინური ამერიკის დასახლება ევროპელებით, რომანული წარმოშობის ევროპელებითა და აფრიკის ეთნიკური ჯგუფებით. კოლონიზაცია მიმდინარეობდა ადგილობრივი მოსახლეობის დაუნდობელი განადგურებით, რომლებსაც ინდიელებს უწოდებდნენ. ამერიკის კოლონიზაციამ ხელი შეუწყო რომანული ენების ევროპის მიღმა გასვლას. თუმცა ეს ისტორიული პროცესები ერთმანეთისააგან განსხვავდებოდა. ლათინური ამერიკის ქვეყნები და კანადის ზოგიერთი ოლქი ენითა და კულტურით რომანული გახდა, ანუ ადგილობრივი მოსახლეობისა და აფრიკიდან შემოყვანილი ზანგი მოსახლეობის მიერ თანდათანობით დაიწყო დამპყრობთა ენისა და კულტურის ათვისება. თვით რომანული ენებისა და კულტურის მატარებელი ესპანელი, პორტუგალიელი და ფრანგი დამპყრობლები იყვნენ. XV საუკუნეში ვასკო და გამამ მოახდინა პირველი მოგზაურობა ინდოეთამდე. ამით პორტუგალიამ ახალი მიწები ჩაიგდო ხელში კიდევ აფრიკასა და აზიაში. XVI საუკუნეში კი ესპანელებმა დაიპყრეს ახალი ტერიტორიები. XIX საუკუნე კი საფრანგეთისათვის ცნობილია კოლონიზაციის პერიოდით აფრიკასა და აზიაში, ყრძოდ, ინდოჩინეთში. აფრიკის კოლონიზაციაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ბელგია და იტალია. XX საუკუნეში კი დაიწყო დეკოლონიზაციის პროცესი. XX საუკუნის 50-იან წლებში კი ეს პროცესი დასრულდა.

თავი III. რომანული ენების სათაგმებთან

ლათინურ-რომანული ენების ძირი ენა. ლათინური ენის ისტორიის ეტაპები. ხალხური ლათინურის რომანულ ენებად გარდაქმნა. რომანული ენების პირველი ლიტერატურული ძეგლები.

ლათინურმა ენამ განვითარების ხანგრძლივი პერიოდი განვლო, რომელიც არაერთგვაროვნებით ხასიათდება. ლათინური ენის ისტორია შეიძლება პირობითად დაეყოთ სამ პერიოდად. ესენია: არქაული, კლასიკური, გვიანდელი.

არქაული პერიოდი მოიცავს პერიოდს პირველი ხელნაწერებიდან ჩვ. წთ-მდე II საუკუნეს. პირველი პერიოდი არ გამოირჩევა დიდი რაოდენობა წარწერების არსებობით. ეს პერიოდი ხასიათდება იმით, რომ იმ ლიტერატურულ ძეგლებში (კომედიებში) მოცემულია ლათინური ენის მატარებელთა სასაუბრო მეტყველება. ამ პერიოდის ტექსტებში აისახა ენობრივი ნიშნები, რომლებმაც ვერ კპოვა ასახვა ლიტერატურულ ენაში, მაგრამ შენარჩუნებულ იქნა ლათინურ სალაპარაკო ენაში, რომლებიც გადავიდა შემდეგ რომანულ ენებში.

კლასიკური პერიოდი პირობითად თარიღდება ჩვ. წთ-მდე I საუკუნიდან ჩვ. წთ-ით I საუკუნემდე. ეს ლათინურისათვის ოქროს ხანა იყო. განვითარდა ლიტერატურა, კულტურა, ხელოვნება. ამ პერიოდს განეკუთვნება ციცერონის გამოსვლები, ავგუსტუსის გარდაცვალებამდე. იმ პერიოდის მწერალთა ნაწარმოებებმა მიიღო „კლასიკური“ ან „ოქროს“ ლათინურის სახელწოდება. ჩვ. წთ-ით I და II საუკუნეები მოიხსენიება „ვერცხლის საუკუნედ“, ცნებები ოქროსი თუ ვერცხლის გამოიყენება ლიტერატურათმცდონელობის განვითარებისა და არა ენობრივი მნიშვნელობით. კლასიკური ლათინურის

პარალელურად ვითარდებოდა სასაუბრო ლათინური. თუთა სასაუბრო ლათინური რომის საზოგადოების დიდგვაროვანთა სოციალური ფენებში როდი იყო ერთგვაროვანი. უმდიდრესი მასალაა მოცემული ციცერონის მიმოწერებში. ხალხურსა ლათინურმა განდევნა ადგილობრივი კილოკავები. ლათინური ენა გახდა მთელი იმპერიის ენად.

ლათინური ენის გვიანდელი პერიოდი მოიცავს ჩვ. წთ-ით III-VII სს, რომის იმპერიის კრიზისის ეპოქა იყო, როდესაც მოხდა მისი დაყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიად. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ მის ტერიტორიაზე გაჩნდა ბარბაროსთა სახელმწიფოები. ამან გამოიწვია ისტორიული ცვლილებები, რამაც ასახვა პპოვა კულტურულ ცხოვრებაზე. ლათინური ენა კვლავ რსება ყველა ოფიციალური დოკუმენტის ენად, როგორც მეფის კარზე, ისე ეკლესიისათვის. ეკონომიკური კავშირების გაფართოება ხმელთაშუა ზღვაში მოითხოვს ვაჭართა მიერ დამწერლობის ცოდნას. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაუნათლებელი იყო. როდესაც გვიანდელ ლათინურზე ვსაუბრობთ, იმ პერიოდში სასაუბრო ლათინურს ადეკვატური ასახვა არ ჰქონდა ტექსტებში. მაგრამ მათი აღდგენა შესაძლებელი იყო იმ შეცდომების მიხედვით, რომლებიც ამ ტექსტებში იქნა გაპარული. მაშასადამე, ლათინური ენა არაერთგვაროვანი იყო პირველი ლიტერატურული თხზულებებიდან მოყოლებული. მის პარალელურად არსებობდა ზეპირი სასაუბრო მეტყველება, რომელიც ენის მდგომარეობას, ასევე ლიტერატურული სამწერლობო ენის მდგომარეობას სხვადასხვა პერიოდში ასახავდა და რომელიც თანდათანობით ნორმად იქცა. თუმცა სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი ფორმები აღწევდნენ ლიტერატურულ თხზულებებში, ჟანრისა და მისი შექმნის პერიოდის მიხედვით. არისტოკრატებისათვის სკოლები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. იქ ისეთი საგნები ისწავლებოდა, რომლებიც აუცილებელი იყო ადმინისტრაციული პროცედურებისათვისა და ვაჭრობისათვის. რომის კულტურული

ტრადიციების გაქრობასთან ერთად განათლება გადავიდა ეკლესიის ხელში. ამასთან ერთად მოსახლეობის დიდი ნაწილი გაუნათლებელი იყო. ამ პერიოდის კლასიკური ლათინური ენა უფრო მეტად განსხვავდებოდა პროვინციებისა და იტალიის უბრალო მოსახლეობის ლათინურისაგან, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა რომის სახელმწიფოს აყვავების პროცესში. ლათინური ენა აგრძელებდა განვითარებას მისი გავრცელების მთელ ტერიტორიაზე. მოხდა ლიტერატურული და სასაუბრო ენის ერთმანეთისაგან დაშორება.

ლათინური ენა შუასაუკუნეებში. რომის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე აღმოცენებულ ბარბაროსულ სახელმწიფოებში დიდი ხნის განმავლობაში შემორჩა ლათინური ენა. ადამიანების უმეტესობა, ვინც ლათინურად წერდა ნაკლებად განათლებული იყო, სამწერლობო ენა თანდათანობით „ასტიუნად“ გადაიქცა. ეს ტერმინი იტალიელი ლინგვისტების მიერ იქნა შემოტანილი „*antilingua*“, ანუ ენა, რომელიც აღარ იყო კომუნიკაციის საშუალება. VIII საუკუნის ბოლოს განსხვავება კლასიკურ ლათინურსა და ხალხურს შორის იმდენად შესამჩნევი იყო, რომ აუცილებელი გახდა სამწერლობო ენის დარეგულირება. განათლების ასაღორძინებლად ფრანკების მეფემ კარლუს დიდმა (768-814 წლებში) მიიღო რიგი ზომები გაატარა. მან წერ-კითხვა გვიან ისწავლა. ფლობდა ლათინურ და ბერძნულ ენებს. მისი ბრძანებით, ხდებოდა უძველესი ლათინური და ბერძნული ხელნაწერების გადაწერა. გამოიყო სპეციალური დაწესებულებები *scriptoria*, სადაც ხდებოდა გადაწერების მიერ ერთი და იგივე ხელნაწერის გადაწერა. სწორედ ასე მოვიდა ჩვენამდე, ვირგილიუსის, ჰორაციუსის, ოვიდიუსის, ციცერონის თხზულებები. კარლოს დიდის მიერ დაარსებული «სამეფო აკადემია» აგრძელებდა სწორ ლათინურ ფორმებს, რომლებსაც მხოლოდ სამეფო კარი იყენებდა. ხალხი კი საუბრობდა ადგილობრივ დიალექტზე. კაროლინგების დინასტიის მმართველობის დროს სამწერლობო ლათინური

მიუახლოვდა კლასიკურს, სამაგიეროდ მასზე წერდა გაცილებით ნაკლები მოსახლეობა ვიდრე მანამდე. ორი სხვადასხვა ენა უკვე გააზრებული სახით გამოიყენებოდა. ადგილობრივმა დიალექტებმა მიიღეს საკუთარი სახელწოდება: **lingua romana rustica**-კილოკავური რომანული ენა. ეს ტერმინი ადრეც გამოიყენებოდა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ განესხვავებინათ ლათინური ენისაგან.

რომანული ენები, ეს ტერმინი შემოტანილ იქნა საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ვინაიდან ადგილობრივი ენები ძალზე დასცილდა ლათინურ ენას. იტალიაში კი, X საუკუნეში ადგილობრივ ენას „ვულგარული“-**volgare** უწოდეს. ეს ფორმა გამოიყენებოდა XVI საუკუნემდე სანამ წარმოიქმნებოდა ტერმინი «**lingua italiana**». X-XI საუკუნეებიდან დასაეღეთ ევროპის ყველა სახელმწიფოში ჩნდება წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც აღადგენდნენ ზეპირ რომანულ მეტყველებას. ამ პერიოდში ლათინური ინარჩუნებდა მეცნიერების, ადმინისტრაციისა და ეკლესიის ენის მდგომარეობას. გერმანიკულ ტომებს იმ პერიოდში არ ჰქონდათ სამწერლობო ენა, ამიტომ სამართლის დოკუმენტები ლათინურ ენაზე იწერებოდა. საფრანგეთში IX საუკუნეში გაჩნდა ძველ ფრანგულზე შედგენილი პირველი ტექსტები, მაგრამ ლათინური ენა მაინც რჩებოდა დოკუმენტების ოფიციალურ ენად. სამეფო კანცელარიამ ფრანგული ენის გამოყენება დაიწყო ლუი IX-ის მეფობისას, პირველი ტექსტი თარიღდება 1254 წლით. განათლება ეკლესიის ხელში იყო. XI საუკუნეში გაჩნდა მუნიციპალური სკოლები, სწავლების სისტემაში შეიჭრა საერო ელემენტი. შუა საუკუნეებში ფილოსოფია და თეოლოგია იყო სწავლების საფუძველი. XII საუკუნეში ჩნდება ახალი კულტურული ცენტრები და უნივერსიტეტები. თუმცა განათლებულ ხალხში ლათინური ურთიერთობის საშუალებად რჩებოდა, მხატვრული ტექსტების შედგენა ხდებოდა ანტიკური და რელიგიური კლასიკოსების ნიმუშების მიხედვით. მნიშვნელოვან როლს იკავებს ჰაგიოგრაფიული

ნაწარმოებები ანუ წმინდანთა ცხოვრება. ფართოდაა მოცემული ისტორიული ჟანრი, რომელთა ავტორები ბერები იყვნენ. XIII საუკუნეში ლათინურ ენაზე ითარგმნა არისტოტელეს ყველა თხზულება, მნიშვნელოვანი გეოგრაფიული, მათემატიკური, ასტრონომიული და სამედიცინო ნაშრომები, თარგმნილი ბერძნული და არაბული ენებიდან. XII საუკუნეში, სამეცნიერო თხზულებების თარგმნამ მათემატიკის, ასტრონომიის, ისტორიისა და სამართლის მიმართ გაზარდა ინტერესი. იქმნება ლიტერატურული ნაწარმოებები ნაციონალურ ენებზე. ჩნდება რაინდული ლიტერატურა, საერო ლირიკა, სამიჯნურო პოეზია, ვაგანტების სატირიკული პოეზია. XVI საუკუნეში ჩნდება პაროდული «მაკარონისეული პოეზია». ეს იყო ლიტერატურული რომანული ენების, დიალექტების, შუა საუკუნეების ლათინურისა და კლასიკური ლათინურის ნაზავი ენა. დღემდე ლათინური ენა გამოიყენება მედიცინაში. მისი ბუნებრივი სამეცნიერო ნომენკლატურა ეფუძნება ლათინურ და ბერძნულ ლექსიკას, გაფორმებულია ლათინური გრამატიკის წესების მიხედვით. სასაუბრო ენა და სამწერლობო ენა არსებობდა ერთმანეთის პარალელურად. ამა თუ იმ სახით ისინი ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენდნენ. ამ გავლენის ხარისხი და მამართლებლობა ვარირებდა ისტორიული და სოციალური პირობების შესაბამისად. IX საუკუნიდან მოყოლებული, შეიძლება დაბეჯითებით ვისაუბროთ ლათინურის ენის პარალელურად რომანული კილოკავების არსებობაზე, რომლებიც შემდგომში, დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდა. მათ დაიწყეს თანდათანობით ლათინურის განდევნა კულტურული ურთიერთობის ყველა სფეროდან.

ხალხური ლათინური. სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში რომანისტიკის განხრით ფართოდ გამოიყენება ტერმინი «ხალხური (ეულგარული) ლათინური». XIX საუკუნეში ტერმინით ხალხურ ლათინური გამოხატავდნენ რომის სახელმწიფოს სოციალური ფენების ენას, რომელსაც

უპირისპირებდნენ კლასიკურ ლათინურს, ანუ რომაელ მწერალთა ლიტერატურული ნაწარმოებების ნორმირებულ ენას. ამ ორ ცნებას შორის იგულისხმებოდა ლათინური ენის ურთიერთგამომრაცხავი სახესხვაობები, ზოგჯერ კი უბრალოდ ორი განსხვავებული ენა.

ხალხური ლათინური საერთო სასაუბრო ლათინური ენაა, მისი არსებობის ყველა პერიოდში, ყველა ინოვაციის გათვალისწინებით, რომლებიც გაჩნდა მისი განვითარების გვიანდელ პერიოდში, რომელიც უშუალოდ წინ უწრებდა რომანული ენების ფორმირებას. რომანული ენების ძირ ენას წარმოადგენს ლათინური ენის ლექსიკური და გრამატიკული ფონდი, რომელიც საერთოა ყველა სტილისათვის. რომანული ენების გენეზისის შესწავლისას, საჭიროა გავითვალისწინოთ ლათინურის ყველა სახესხვაობა, იქნება ეს ქრონოლოგიური თუ სოციალური, და ენობრივი მასალის ასპექტები, რადგანაც მხოლოდ მას თუ ერთიანად განვიხილავთ, მან შეიძლება მოგვცეს ენობრივი განვითარების რეალური სურათი.

ის, რომ რომანული ენები წარმოიქმნა ლათინურიდან, მეცნიერები მიიყვანა იმ აზრამდე, რომ ლათინური ენა განსხვავდებოდა ტერიტორიების მიხედვით. ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, რომანული ენების დიალექტება დასაბამს იღებს ხალხური ლათინურიდან, რომელიც გამოირჩევა პეტეროგენულობით. ის აზრი, რომ სასაუბრო ლათინური ენა არ იყო ერთიანი, არამედ ხასიათდებოდა რეგიონალური თავისებურებებით, იტალიის ყოველ ოლქში, თითოეულ პროვინციაში, დამაჯერებელია და ნაყოფიერი. სამეცნიერო ლიტერატურაში შეიძლება შევხედეთ მსჯელობას იმის შესახებ, რომ ლათინური ენა «მოკვდა». საქმე ეხება არა სასაუბრო, არამედ სამწერლობო ლათინურს, რომლის კვდომა ხდებოდა ერთდროულად ზეპირი ლათინური ენის რომანულ ენებად გადაქცევის პროცესში. სასაუბრო ხალხური ლათინურისათვის, მისი არსებობის ყველა პერიოდში დამახასიათებელი იყო ლიტერატურული ნორმისაგან გადახვევა.

ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა გვიანდელ პერიოდში. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გვიანდელი პერიოდის ხალხური ლათინურის კონსონანტიზმში. მორფოლოგიაში ხდება ზოგადად სინთეზური ფორმის ანალიტიკური ფორმით ჩანაცვლება. სინტაქსი კი ხასიათდება «სიტყვათა პირდაპირი რიგით», რომელიც გვიანდელი პერიოდის ნორმას განეკუთვნება. სიტყვათა რიგი იწყებს გრამატიკული ფუნქციის შესრულებას. ბრუნვითი ფორმების დანაკარგების აღდგენით. ენის ლექსიკური შემადგენლობა იცვლება მთელი რიგი ახალწარმონაქმნებისა და სიტყვათა მნიშვნელობების გადაადგილების შედეგად. ფართო გამოყენება პპოვა «ემოციურმა ლექსიკამ», რომლითაც სიტყვებმა დაკარგა საკუთარი სტილისტური შეფერილობა ყოველდღიური გამოყენების შედეგად. მაგალითად: მოხდა აღწერითი ფორმების შეკვეცა. ლათ. **tempus hibernum** - ზამთრის დრო, იტალ. **inverno**, ესპან. **invierno**, ფრანგ. **hiver**. ადგილი აქვს სიტყვების სესხებას მეზობელი ქვეყნების ენებიდან.

სხვადასხვა ეტაპზე ხალხური ლათინურის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია შეიძლება წარწერების მეშვეობით მოიპოვოთ. მათი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ერთადერთი ძეგლია, რომლებმაც ჩვენამდე მოადწია «ორიგინალში», სხვა ხელნაწერებისაგან განსხვავებით, რომელთა გადაწერა ხდებოდა გადამწერების მეშვეობით. ჩვენამდე მოადწია ყველა დროის, არქაული, კლასიკური თუ გვიანდელი პერიოდის ლათინურმა წარწერებმა.

უნიკალური მასალები იქნა აღმოჩენილი, უძველესი რომაული ქალაქის პომპეუსის გათხრების დროს, რომელიც დაიღუპა ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის დროს ჩვ.წთ-ით 79 წელს. გაქვავებულმა ლავამ ჰაერი არ გაატარა, რამაც შემოგვიინახა იმ დროის ყოველდღიური ცხოვრების დამადასტურებელი წარწერები, ფრესკები, კედლის ლიტერატურა. ყველაზე სრული მასალა ლათინური წარწერების შესახებ შესრულებულ იქნა ბერლინის მცნციერებათა აკადემიის მიერ, ლათინური

ეპიგრაფიკის სფეროში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცნიერი თეოდორე მოშენი. მას ეწოდება **Corpus inscriptionum latinarum, CIL**. მის კალსიფიკაციაში დევს ტერიტორიალური პრინციპი. 100 000 წარწერა მოთავსებულია 16 ტომში, რომლებიც შედგება ცალკეული ნაწილებისაგან, აქვთ დანართები. გამოცემულ იქნა სამი აღბომი, აღდგენილ იქნა წარწერების შრიფტი. წარწერების უფრო მოხერხებული ვარიანტი გაკეთდა პერმან დესაუს მიერ. ის შედგება 3 ტომისაგან, მოიცავს 9522 წარწერას. მათი კლასიფიკაცია განხორციელდა შინაარსისა და ქრონოლოგიის მიხედვით. ტექსტს ახლავს დაწვრილებითი კომენტარები, სადაც მითითებულია წარწერის დრო, ადგილი და შენახვის ადგილი, რთული შემთხვევების ახსნა.

არსებობდა ასევე სპეციალური ლიტერატურა. ესენია ტრაქტატები მედიცინაში, კულინარიაში, სოფლის მეურნეობაში, არქიტექტურასა და სხვა სფეროებში. იმ პერიოდის ცნობილი კულინარებიდან აღსანიშნავია ცნობილი გასტრონომი აპიციუსი (ჩვ. წი. I ს.). ადრეულ შუა საუკუნეებში არსებობდა ისტორიული თხზულებანი, ქრონიკები. მათი ავტორები აცნობიერებდნენ თავიანთი ნაშრომების მწიგნობრულ ხასიათს. ხალხური ლათინურის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოვიპოვოთ ძველი ტექსტებიდან. ადრეულ შუა საუკუნეებში არსებობდა აგრეთვე იურიდიული ტექსტები. ისინი შედგენილი იყო ლათინურ ენაზე, გერმანიკული ტომებისათვის, რომლებიც ცხოვრობდნენ რომის ტერიტორიაზე. გადამწერთა განათლების დაბალი დონის გამო, მათში მოცემულია ზეპირი ლათინური მეტყველების თავისებურებანი, რომლებიც ბარბარიზმებითაა სავსე. გავრცელებული იყო აგრეთვე რელიგიური ხასიათის თარგმანები. ბერძნულიდან თარგმნილ იქნა ბიბლია ბერი იერონიმეს მიერ IV საუკუნეში, რომელიც ადაპტირებული იყო ფართო მასებისათვის. მას დაერქვა «**Vulgata**». მისი ენა მარტივი იყო და გახდა ნორმისა და სტილისტიკური ნიმუშის ახალი წყარო. გაჩნდა ქრისტიანიული ლიტერატურის

ტექსტები წმინდანებზე, რომლებიც განკუთვნილი იყო ხალხის ფართო მასებისათვის.

რომის გრამატიკის სახელმძღვანელოებში არ იყო საუბარი ლათინური ენის არც სასაუბრო და არც დიალექტურ მოვლენებზე. ეს იმით აიხსნება, რომ გრამატიკა იწერებოდა სკოლებისათვის და ორიენტირებული იყო ლიტერატურულ ნორმაზე.

ანსხვავებდნენ გლოსებსა და სქოლიოებს. გლოსები (მკითხველისათვის გაუგებარი სიტყვებია), კეთდებოდა თხზულების მინდვრებზე, ანდა ძირითადი ტექსტის ხაზებს შორის, რაც უმდიდრესს მასალას წარმოადგენს ნორმატიული ლიტერატურული და სასაუბრო ფორმების შედარებისათვის. რომანისტიკისათვის საინტერესოა რეიპაკუს გლოსები (შვეიცარია VIII-IX სს.) კრებული ორი ნაწილისაგან შედგება. I ნაწილში მოცემულია 821 გლოსა, რომელიც ხსნის სიტყვა ვულგატას. მეორე ნაწილში კი მოცემულია ანბანური გლოსები. სქოლიო კრიტიკული, ფალოსოფაური, ისტორიული, ასევე გრამატიკული და სტილისტური ხასიათის კომენტარია. ყველაზე მეტად ცნობილია ელია დონატას სქოლიოები.

ლათინური ენის არსებობის მანძილზე, ბევრი ფაქტია იმის დამადასტურებელი, რომ სასაუბრო ლათინური ენა არსებობდა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს გვიანდელ პერიოდში, როდესაც მოხდა სასაუბრო და კლასიკური ლათინურის დაახლოება. ბევრი თავისებურება დარჩა წერილობით დაუფიქსირებელი. ვინაიდან რომანულ ენები ხალხური ლათინურის პირდაპირი გაგრძელებაა, ამ თავისებურებებზე შეიძლება ვისაუბროთ უშუალოდ რომანული ენების შეპირისპირების საფუძველზე. ბევრი რომანული სიტყვა ერთი და იმავე ეტიმონს უკავშირდება, რომლებიც არაა დაფიქსირებული ლათინურ ძეგლებში. შედარებით-ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებიც მიღებულია თანამედროვე რომანული ენების ისტორიის შესწავლის საფუძველზე, ტექსტებში ხდებოდა აღმოუჩენელი ფორმების აღდგენა, და მათი გამოქვეყნება ვარსკვლავით.

ამ მეთოდს შედარებითი რეკონსტრუქციის მეთოდი ეწოდა. მაგალითად: იტალიურად – **vecchio**, ესპანურად – **viejo**, ფრანგულად – **vieil**. რუმინულად – **vechi**, პორტუგალიურად – **vehlo**, პროვანსალურად **vielh** – ძიხუცი. შედარებითი რეკონსტრუქციის მეთოდის წყალობით შესაძლებელი გახდა ხალხური ლათინურის ვოკალიზმის აღდგენა, რომელიც რაოდენობრივი განსხვავების თვისობრივ განსხვავებაში გადასვლით ხასიათდება. ასევე სიტყვის მახვილის ცვლილება, დიალექტური განსხვავების დადგენა. ამ მეთოდის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ის საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ცალკეული სიტყვის თუ ცალკეული ფონეტიკური თუ გრამატიკული ცვლილების და არა მთლიანად ენის განვითარების ეტაპების აღდგენა. ამიტომ ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დამხმარე საშუალება.

XX საუკუნის შუა წლებში, საბოლოოდ იქნა გარკვეული იმის აუცილებლობა, რომ გამოყენებინათ კვლევის როგორც შედარებითი, ისე ფილოლოგიური მეთოდები. მეცნიერთა მიერ ხალხური ლათინურის დიფერენციაციის ფაქტორები და მათ საფუძველზე რომანული ენების ფორმირების პროცესი პირობითად იყოფა ეთნიკურ, ქრონოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებად.

ეთნიკური ფაქტორები ის ფაქტორებია, რომლებიც ლათინურზე ზემოქმედებენ, რომლებთანაც რომაელები ხანგრძლივ კონტაქტში იყვნენ.

ქრონოლოგიურ ფაქტორებში იგულისხმება ის გარემოება, რომ რომაული პრეფიქსების დაპყრობა და რომანიზაცია ხდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც თვით ლათინურმაც განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

როდესაც ვსაუბრობთ სოციალურ ფაქტორებზე, იგულისხმება რომის ყოფილი იმპერიის ცალკეული ნაწილების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თავისებურებანი.

ხალხური ლათინურის რომანულ ენებად გარდაქმნის პროცესი. ეთნიკური ფაქტორები. სუბსტრატი, სუპერსტრატი, ადსტრატი. სუბსტრატს უწოდებენ ენას, რომელიც ამა თუ იმ მიწების გამო შეიძლება გაძევებულ იქნეს სხვა ენის მიერ, რომელზეც მას ზემოქმედება მოახდინა და რომელშიც დარჩა მისი კვალი. ზოგადლათინურის ხასაუბრო ენის სუბსტრატი აპენინის ნახევარკუნძულზე იყო იტალიკური და ადგილობრივი მოსახლეობის სხვა ენები. გალიის ლათინურის სუბსტრატი კელტური ენები იყო. იბერიის ნახევარკუნძულის რეგიონალური ლათინურის სუბსტრატი კი – იბერიული ენები. ბალკანური ლათინურის სუბსტრატი ფრაკო-დაკიური ენების ჯგუფი იყო.

სუპერსტრატია ის ენა, რომელიც ეშრევება სხვა ენას და შემდეგ კი მასში მთლიანად ითქვიფება. სხვადასხვა რეგიონების ლათინური ენისათვის სუპერსტრატები იყო გერმანიკული ტომების ენები. მათ ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა ლათინურისათვის, რომელსაც დიდი კულტურული ტრადიცია ჰქონდა. ისინი გააიჭვიფა ლათინურში, რის საფუძველზე აღმოცენდნენ რომანული ენები, თუმცა გერმანიკულმა ენებმა თავიანთი კვალი დატოვეს ფონეტიკასა და ლექსიკაში.

ლათინურის გამოყენება ხალხური კილოკავების მატარებლების მიერ, ხელს უწყობდა ლექსიკური ფონდის შევსებას, ახალი რომანული ენების გრამატიკული და ლექსიკური ნორმის გამოქვეყნებას. ამ შემთხვევაში საუბრობენ ლათინურის კულტურულ სუპერსტრატზე.

ადსტრატი, როგორც ისტორიული ცნება ნიშნავს ენას, რომელიც ხანგრძლივ კონტაქტშია სხვა ენასთან, რომელმაც დატოვა მასში კვალი, სუპერსტრატისაგან განსხვავებით, მასში არ შერეულა, არამედ განაგრძობს არსებობას და განვითარებას, მჭიდრო ურთიერთობის შესწევების შემდეგაც. იმ ენასთან მიმართებაში, რომლის მიმართაც მას იხილავენ როგორც ისტორიულ ადსტრატს. ლათინურთან მიმართებაში, ადსტრატად შეიძლება ჩაითვალოს ძველი ბერძნული ენა,

ხოლო იბერო-რომანულ ენებში, ძირითადად კი მათი ლექსიკის სფეროშია, შეიმდგება ჩაითვალოს არაბული ენა.

სუბსტრატის თეორია შეიმუშავა იტალიელმა ლინგვისტმა ასკოლიმ XIX საუკუნეში. სუპერსტრატის ცნება შემოიტანა ვარტბურგმა XX საუკუნის 30-იან წლებში, ხოლო აღსტრატის ცნება კი ბარტოლიმ. სტრატების პრობლემას ვერც ერთი ლინგვისტი გვერდს ვერ აუვლის, ვისაც სურს განსაზღვროს ენობრივი ცვლილებების ბუნება.

აპენინის ნახევარკუნძულზე მიუხიბველ ტომებთან მათი კონტაქტის შედეგად სასაუბრო ლათინურში იტალიკური ენიდან ბევრი სიტყვა შემოიჭრა. აპენინის ნახევარკუნძულზე ეტრუსკების დიდი გავლენა იგრძნობოდა, რამაც თავი იჩინა თვით ლათინურზე. თვით სახელწოდება **Roma** ეტრუსკული წარმოშობისაა. იგი წამოიქმნა ეტრუსკთა ტომის **ruma** სახელწოდებიდან.

კელტურიდან პირველი ნახესობები განეკუთვნება ჯერ კიდევ ჩვ. წთ-მდე V-IV სს, როდესაც კელტებმა გააყრცულეს თავიანთი ძალაუფლება ჩრდილოეთ იტალიაზე. მაგალისთად: ლათინურად **caballus**, ფრანგულად **cheval**, იტალიურად **cavallo**, ესპანურად **caballo**, პორტუგალიურად **cavalo**, პროვანსალურად **caval**, რუმინულად **cal**. კელტური წარმოშობისაა სიტყვა ვასალიც, რომელიც საერთო ხმარებაში შემოვიდა ფეოდალური ურთიერთობის გამოსახატავად.

იბერიის ნახევარკუნძულის სიტუაციის შესახებ, რომაელების მოსვლამდე მცირე რამ იყო ცნობილი. ვიცით, რომ რომის ექსპანსიისათვის ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა ენოვანი იყო და ეთნიკურად რა თქმა უნდა არაერთგვაროვანი. დღეს რომანულ ესპანურ, პორტუგალიურ, კატალონურ, გალიციურ ენებთან ერთად არსებობს ბასკური. მისი ნათესაური კავშირის შესახებ ბევრი ჰიპოთეზა არსებობს. იგი არაინდოევროპული წარმოშობისაა და მას უკავშირებენ იბერიულ-კავკასიურ ენებს. აქ არსებობს ლათინურ ენამდე წარმოქმნილი ელემენტები, ანუ წინარე

რომანული. ასეთ ელემენტებს მსაკუთვნებენ მაგალითად: ბასკურში **ezker**(r), ესპანურში **izquierdo**, პორტუგალურად **esquerdo**, კატალონურად **esquerre**, პროვანსალურად **esquet**, გასკონურად **esquerr** – მარცხენა.

აღმოსავლური რომანიკლი ენების სუბსტრატი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულის ძველი ადგილობრივი ენები და მასთან მიმდებარე ჩრდილო დუნაის ტერიტორიები. მათ პირობითად უწოდებენ ფრაკო-დაკიურ ენებს და ახლო მონათესავე ინდოევროპულ ენებად ითვლება. ამბობენ, რომ ალბანური ენა წარმოადგენს უკვე გამქრალი ფრაკიული ენის უშუალო გაგრძელებას.

რომაელების კონტაქტი გერმანიკულ ტომებთან რომის ისტორიის ადრეულ ეტაპზე სავაჭრო ურთიერთობით შემოიფარგლებოდა. პროვინციების რომანიზაციის შემდეგ, გერმანიკულ ტომებთან კონტაქტებს გაძლიერდა. რომაელთა ჯარში გაიზარდა გერმანიკული ტომებიდან დაქირავებულ ჯარისკაცთა რიცხვი. მოგვიანებით, როდესაც დაიწყო გერმანიკული ტომების შემოსევა, რომანიის მაცხოვრებლები წააწვდნენ გერმანიკული ტომების სზუადასხვა ენებს, იმის მიხედვით, რომელი გერმანიკული ტომი, რომელ ნაწილში იყო განთავსებული. გერმანიკული ენებიდან იქნა ნასესხები სიტყვა: გერმ. **suppa**, ფრანგ. **soupe**, პროვან. კატალ. პორტ. ესპან. **sopa**, იტალ. **zuppa**. – წვნიანი. გერმ. **blank**, ფრანგ. პროვან. კატალ. **blanc**, ესპან. **blanco**, პორტ. **branco**, იტალ. **bianco** – თეთრი. ფრანკული წარმოშობისაა ზოგიერთი შუასაუკუნეობრივი ცნება: **haro** – თავისუფალი ადამიანი, ფრანგ. **haron**, ესპან. **varón**, იტალ. **barone**. სიტყვიდან **marka** – სასაზღვრო ტერიტორიაზე აწარმოეს ტერმინი ფრანგულში **marquis**, ესპანურში **marquès**, იტალიურში **marchese** – ნიშნავდა სასაზღვრო ტერიტორიის დამცველს.

ლათინურმა ენამ, რომელსაც დიდი ლიტერატურული ტრადიცია ჰქონდა, სასაუბრო კილოკავიდან ლიტერატურულ ენამდე რომანული ენების პარალელურად ხანგრძლივი და

როული გზა განვლო. ლათინური ენა გამოიყენებოდა, როგორც მეცნიერების, დიპლომატიის, ეკლესიის ენა, რომელიც რეგულარულ შემოქმედებას ახდენდა ახალ რომანულ ენებზე. თუმცა ამ გავლენას მწიგნობრული ხასიათი ჰქონდა, ბევრი ნასესხები ელემენტი შემდგომში სასაუბრო ენაში გავრცელდა, და ასევე თვით დიალექტებშიც. შუა საუკუნეების ლათინურმა ახალი რომანული ენების სინტაქსზე მოახდინა ზეგავლენა. უფრო აშკარაა, ლათინიზმების შემწვეობით რომანული ენების ლექსიკური ფონდის გაფართოების მრავალრიცხოვანი მაგალითები. მათ «განსწავლულ სიტყვებს» უწოდებდნენ. ძირითადად მასამ რომანულ ენებში XV-XVI სს, აღორძინების პერიოდში შეაღწია.

ძველ ბერძნულიდან ნასესხობებმა, რომლებიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს განეკუთვნება, მიიღო სხვადასხვა ელერადობა და გრაფიკული გამოხატულება, როგორც ლათინურში, ისე რომანულ ენებში. ძველ ბერძნულ ტერიტორიებზე არ მომხდარა ლინგვისტური რომანიზაცია. ადამიანები საუბრობდნენ ორ ენაზე, ლათინურსა და ბერძნულზე. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ბერძნული ენის ზეგავლენა ლათინურზე, არ შემოიფარგლებოდა მრავალრიცხოვანი ლექსიკური ნასესხობებით, მან კვალი დატოვა ასევე ლათინურ გრამატიკაზე.

არაბებმა VIII საუკუნეში ბერბერებთან ბრძოლის შემდეგ შეაღწიეს იბერიის ნახევარკუნძულზე. საფრანგეთის ხელში ჩაგდების მცდელობა კრახით დამთავრდა განსაკუთრებით პიპინია მოკლეს დროს და მათ პირენეებს შეაფარეს თავი. არაბების ხანგრძლივმა ყოფნამ იმ ტერიტორიაზე ზეგავლენა მოახდინა ლათინურზე. ასევე მწიგნობრულ ლათინურზე, რასაც ხელი შეუწყო არაბულიდან ლათინურზე სამეცნიერო შრომების თარგმანების დიდმა რაოდენობამ. გავლენა მოახდინა არაბულმა ტოპონიმებზეც. მაგალითად: გიბრალტარი – არაბი მთავარსარდლის სახელისაგანაა წარმოქმნილი, რომელმაც ესპანეთის დაპყრობა დაიწყო. გვადალახარა – ქვის მდინარე.

ზოგიერთი ლათინური ტოპონიმი შემორჩა არაბული ფონეტიკური ისტერპრეტაციით: *Zaragoza* – ხარაგოხა; იბერიულ-რომანულმა ენებმა არაბული სიტყვები ახესხეს არაბული განსაზღვრული არტიკლით, რასაც ნაკლებად აქვს ადგილი სხვა რომანულ ენებში. მაგალითად: არაბ. (as-) **sukkar** > ესპან. **azúcar**, პორტ. **açucar**, ფრანგ. **sucre**.

რომანული და სლავური მოსახლეობის მჭიდრო კონტაქტების გამო ბალკანო-დუნაის რეგიონში, ენათა ურთიერთგავლენას პქონდა ადგილი. აღმოსავლეთ რომანულ ენებში დაიწყო სამხრეთ სლავური წარმოშობის სიტყვების შეღწევა. მაგალითად: რუმ. **nevasata** – ცოლი, **obraz** – სახე, **drag** – ძვირფასი. აღმოსავლეთ რომანულ ენებზე განსაზღვრული ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ისინი ვითარდებოდა სხვა ენებთან მუდმივი მეზობლობით, რომლებიც გავრცელებული იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

რომანული ენები ერთმანეთზეც ახდენდენ ზეგავლენას. მაგალითად: ფრანგულიდან იტალიურში შევიდა სიტყვები: **marchese-marquis** – მარკიზი, **conte-comte** – გრაფი, **trovatore-trobador** (პროვან.)-**troubadour**. ესპანურიდან იტალიურში შევიდა შემდეგი სიტყვები: **mozzo-mozo** – ბიჭი, გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად ესპანურის მეშვეობით სხვა რომანულ ენებში შემოვიდა სიტყვა **patata** – კარტოფილი, იტალიურის ესპანურზე ზემოქმედება განსაკუთრებით ძლიერი იყო რენესანსის პერიოდში. **pedestal-piedistallo** – კვარცხლბეკი, **buffon-buffone** – მასხარა. ფრანგულიდან ნახესობები ესპანურ და პორტუგალიურში განეკუთვნება XIII და XIV საუკუნეებს. მაგალითად: **jardin-jardin-jardin** – ბაღი. რუმინულშიც XIX საუკუნიდან ხდება ლექსიკის გამდიდრება ფრანგულის ხარჯზე. მაგალითად: **a copia-copier** – კოპირება, მიბამვა, **tablou-tableau** – ტილო(ნახატა). ფრანგულმა ესპანურიდან ისესხა სიტყვა **adjudant** < **ayudante** – დამხმარე.

რომანული ენების ერთი საერთო ენიდან წარმოშობის

პრობლემა არ იწურება სტრატეგიის თეორიით. პარტიის, ბევრი ლინგვისტი თავიანთი კოპოთუხას გვათვაზობს. დღეს, რომანული ენების ფორმირებას საკითხი შეიძლება აუხსნათ მთელი რიგი სოციალინგვისტური ფაქტორების ურთიერთქმედებით

- ა) რაშის მიერ მოცემული ტერიტორიის დაპყრობით, რომელიც გამოხატავს თვით ლათინურის განვითარების ეტაპს რომანიზაციის პერიოდში;
- ბ) მოცემული არეალის რომანიზაციით;
- გ) სუბსტრატის ბუნებითა და მისი ზეგავლენით ლათინურზე;
- დ) რომის იმპერიის აღორძინების პერიოდში, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული კონტაქტების ხარისხით ცენტრალურ იტალიასა და მეზობელ რომანულ არეალებთან;
- ე) რომის იმპერიის დამლის პერიოდში მოცემული რომანიზებული ტერიტორიის იზოლაციის პერიოდით;
- ვ) სუპერსტრატის ბუნებითა და მისი შემოქმედების ხარისხით;
- ზ) ადსტრატის ბუნებითა და მისი შემოქმედების ხარისხით.

გარდა ამისა, რომანული ენების ფორმირება მიდაენობრივი ტენდენციების განვითარების შედეგია, რომელსაც უკვე ხალხურ ლათინურში მისი არსებობის ადრეულ ეტაპებზე ჰქონდა ადგილი, თითოეულ რომანიზებულ ოლქში საერთო ტენდენციები სხვადასხვანაირად გამოვლინდა. რომანული ენების სისტემების თავისებურება აიხსნება მოცემულ შემთხვევებში მიდაენობრივი პროცესებით. რომანული ენების პირველი წერილობითი დოკუმენტები იურიდიული შინაარსის იყო. ამ დროს, ახალ სახელმწიფოებრივ და ეკონომიკურ განვითარებას მოჰყვება ხალხური კილოკაუების გავრცელება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

პირველი სამწერლობო ძეგლები რომანულ ენებზე. პირველი ტექსტი რომანულ ენაზე თარიღდება IX საუკუნის შუა წლებით. იგი გაჩნდა საფრანგეთის ტერიტორიაზე. ეს არის ცნობილი «სტრასბურგის ფიცის». იგი შედგენილია ლათინურ ენაზე. IX საუკუნის ბოლოს, საფრანგეთში ჩნდება ლიტერატურული ტექსტი რომანულ ენაზე «სიმღერა წმინდა ევლალიას შესახებ», რომელიც ეძღვნება წმინდა ქრისტიან წამებულ ევლალიას და თარიღდება III ს. ბოლოსა და IV ს. დასაწყისით. XI საუკუნეში ჩნდება ისტორიული ჟანრი-გმირული ეპოსი. XII საუკუნის ნაწარმოებია «სიმღერა როლანდზე». ჩვენამდე მოაღწია 90-მან პოემამ. პირველი ტექსტები პროვანსალურ ენაზე გაჩნდა საკმაოდ ადრე. ცალკეული სიტყვები და ფრაზები ჩნდება VIII-IX საუკუნეების დოკუმენტებში. უძველესი დოკუმენტი, რომელიც მილიანად დაწერილია პროვანსალურ ენაზე იურიდიული დოკუმენტია და დათარიღებულია 1102 წლით.

კატალონიაში, ისევე როგორც ძველ დასავლურ რომანული ოლქების დოკუმენტებში, რომლებიც შედგენილია ლათინურ ენაზე, საკმაოდ ადრე ჩნდება სასაუბრო ხალხური ენის ელემენტები. ადრეული პერიოდიდან მოყოლებული XII საუკუნემდე ჩვენამდე მოაღწია შერეულმა ლათინურ-კატალონურმა ტექსტებმა. უძველესი ლიტერატურული ძეგლია კატალონურ ენაზე დაწერილი, ორგანიას ეკლესიის ქადაგებათა წიგნის ფრაგმენტი. პირველი ლექსები კატალონურ ენაზე გაჩნდა XV საუკუნეში. ესაა პოეტ აუზიას მარკის პოეზია, რომელიც კატალონური პოეტური ენის ფუძემდებელი იყო. XII საუკუნეში ჩნდება ეპიკური პოემა კასტილიურ ენაზე, «სიმღერა სიდზე», თქმულება შუა საუკუნეების ესპანეთის გმირის შესახებ. სიდი, კასტილიის დიდგვაროვანთა წარმომადგენელი როდრიგო დიასი იბრმოდა თავიდან კასტილიასთან პოლიტიკური პეგემონიისათვის, შემდეგ კი ესპანეთის მავრებისაგან გასანთავისუფლებლად.

გალიციის პორტუგალიასთან დიდი ხნის კავშირის გამო,

ესებში გაჩნდა საერთო ნიშნები. XII საუკუნეში პორტუგალია დამოუკიდებელი გახდა, ხოლო გალიცია ესპანეთის შემადგენლობაში დარჩა. ძველ ტექსტებში შეუძლებელია განვაცალკევოთ პორტუგალიური გალიციურისაგან. უძველესი გალიციურ-პორტუგალიური ტექსტია «ბარათი უსამართლობის შესახებ».

იტალიური ენის პირველ ლიტერატურულ ძეგლადაა მიჩნეული «ვერონის გამოცანა», რომელიც VIII ან IX საუკუნეებით თარიღდება. ძველ იტალიურ ტექსტებს განეკუთვნება XI საუკუნის წარწერები რომის სან-კლემენტეს ეკლესიაში. XII საუკუნის ბოლოს პირველად ჩნდება ლიტერატურა ვოლგარზე. XIII საუკუნე აღინიშნება სამი სკოლის, სიცილიის, ბოლონიის და ტოსკანის ლირიკული პოეზიის განვითარებით. თითოეულმა მათგანმა თავისი დიალექტის ნიშნები შეიტანა. ტოსკანის სკოლას განეკუთვნება იმ დროის საუკეთესო პოეტები, პირველ რიგში კი დანტე ალეგიერი. დანტეს შემოქმედების წყალობით იტალიაში გაჩნდა პოეტური ლიტერატურული ენა, რომელსაც პოეტმა უწოდა **volgare illustre**, რომლის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პეტრარკამ, ბოკაჩომ და ალორძინების პერიოდის პოეტებმა და მწერლებმა. ჩვენამდე მოაღწია ძალზე ბევრმა უძველესმა ტექსტმა, რომლებიც სარდინიულ ენაზე იყო დაწერილი, ძირითადად იურიდიულმა დოკუმენტებმა, რომელთა უმეტესობაც XI-XII საუკუნეებს განეკუთვნება.

რეტორომანულის ცნება გულისხმობს სხვადასხვა დიალექტებს, რომლებიც გავრცელებულია რომის ყოფილი პროვინციის, რეციის ტერიტორიაზე. უძველესი დამწერლობითი ტექსტის ნიმუშია ავგუსტინეს ქადაგების ინტერლინეარული სარგმანი, რომელიც ეიზიდელნის მონასტერს განეკუთვნება.

XV საუკუნეში, სამწერლობო ძეგლებში შეიძლება შევხვდეთ ხალხური აღმოსავლეთ რომანული მეტყველების კვალს. პირველი ლიტერატურული ძეგლი რუმინულ და

მოდდაგურ ენებზე იყო XVI ს. თავად ნიაკშუს წერილი, რომელშიც საუბარია დუნაიზე თურქების გადაადგილების შესახებ. XVI საუკუნეში ვაქქეს მოული რიგი რელიგიური ტექსტების თარგმანი.

დაღმადმადური ენის თვალსაზრისით, ცნობილია ორი სახესხვაობა: ჩრდილოეთის და სამხრეთის. ყველაზე ძველი ლიტერატურული ძეგლი თარიღდება X საუკუნით, რომელიც ლათინურზეა დაწერილი. სამხრეთის დიალექტებზე შექმნილი ძეგლები განეკუთვნება XIII-XVI საუკუნეებს. ჩრდილოეთის დიალექტის შესახებ მონაცემები თარიღდება XIX საუკუნით.

თავი IV. რომანულ ენათა სისტემის ისტორიული განვითარება და სტრუქტურული პრობლემა

ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებები ძველფრანგულ ენაში. ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებები საშუალო და ახალფრანგულ ენაში. ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებები ესპანურ და პორტუგალიურ ენებში. ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებები იტალიურ ენაში. ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებები რუმინულ ენაში. ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებები რეტორომანულ ენაში.

გენეტიკურად მონათესავე რომანულ ენებს ბევრი საერთო ტიპოლოგიური ნიშანი აქვთ გრამატიკის სფეროში. ინარჩუნებენ შედარებით მსგავსს ლექსიკურ ფონდს, რომლებიც მათ შემკვიდრობით ლათინურიდან მიიღეს, სამაგიეროდ მაქსიმალური განსხვავებაა ფონეტიკის სფეროში. მაგალითად: ლათ. **aqua**, ესპან. **agua**, ფრანგ. **eau**, რუმ. **apă**; ლათ. **oculus** < **ochu**, იტალ. **occhio**, რუმ. **ochi**, ესპ. **ojo**, პორტ. **olho**, ფრანგ. **œil**. საქმე იმაში გახლავთ, რომ ფონემები, რომლებიც საგანაც შედგება სიტყვის მატერიალური გარსი, უშუალოდ არაა დაკავშირებული სიტყვის მნიშვნელობასთან. სიტყვის ფონეტიკურ ვარიაციას კი არავითარი კავშირი არა აქვს მის მნიშვნელობასთან. სიტყვის ბგერითი ცვლილება დაკავშირებულია პირველ რიგში კომუნიკაციის საარტიკულაციო მექანიზმთან, მეორე მხრივ, ბგერა დაკავშირებულია ფონემების განმასხვავებელ ფუნქციასთან, რომლებიც საშუალებას

გვაძლევს ერთი სიტყვა მეორისაგან მისი ბგერითი გარსით განვასხვავოთ, მესამე კი ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან, ანუ იმ ისტორიულ-კულტურულ და პოლიტიკურ მოვლენებთან ენობრივი კოლექტივის ცხოვრებაში, რომლებიც ხელს უწყობს ახალი ენობრივი ნორმების გავრცელებას. ყველა ამ ფაქტორის ზემოქმედება განსაზღვრავს თითოეული ენის ფონეტიკური სტრუქტურის განვითარების ტენდენციებს. კლასიკური ლათინურის ნორმის დარღვევა წარმოიქმნის თვალსაზრისით, რომელსაც აკრიტიკებდნენ ამ ენის ნორმის პრესტიჟის შენახვის პერიოდში, გამოიძირყოდა რეგულარულობით, თითოეულ სფეროში პქონდა თავისი მამართულება, რომელმაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანა რომანული ენების ფონეტიკური სისტემების შექმნამდე, რომლებიც არანაკლებ რთულია ვიდრე ლათინური.

ანსხვავებენ ტერმინს «ფონეტიკური კანონი». ეს ცნება პარობითია. ის გულისხმობს ერთი ბგერის განსხვავებულ ევოლუციას სხვადასხვა ფონეტიკურ პირობებში. ფონეტიკური ცვლილებები შეიძლება იყოს კონტექსტუალურად განპირობებული ანდა სპონტანური. პირველნი შეიძლება გამოწვეული იყოს ბგერის ფონეტიკურ გარემოცვაზე საარტიკულაციო ზემოქმედებით, რომელსაც იწვევს ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზა, აფერეზა, სინკოპა, აპოკოპა, პროტეზა, ეპენტეზა და ეპიტეზა. ასიმილაციის მაგალითებია: **capra** – თხა ლათინურად, ხოლო პორტ, პროვანს. ესპან. **cabra**; **nocte** – ღამეა ლათინურად, ხოლო ფრანგ. **nuît**. დისიმილაციის მაგალითია: ლათ. **bonus** > იტალ. **buono**, ესპან. **bueno**, ფრანგ. **bon**. მეტათეზა ბგერათა გადაადგილებას ნიშნავს. ხალხ. ლათ. **potere** > **poder** > **poueir** > **pouvoir** > თან. ფრანგ. **pouvoir**. აფერეზა, სინკოპა და აპოკოპა, ნიშნავს ბგერათა გაქრობას სიტყვის თავში, შუაში და ბოლოში. აფერეზა-**Hispania** > იტალ. **Spagna**; სინკოპა – **manica** > ფრანგ. **manche**, ესპან. **manga**. აპოკოპა – **bene** > ფრანგ. **bien**, ესპან. **bien**, რუმინ. **bine**. ბგერითი ცვლილებები, როგორც სპონტანური

ისე განპირობებულია, დამოკიდებულია კანონზომიერებაზე, ანუ ენის ფონეტიკურ სისტემაში ბგერა-ფონემის ადგილზე, ბგერის ადგილზე სიტყვის პროსოდული სტრუქტურაში, ბგერის განმასხვავებელი ნიშნების ფუნქციურ დატვირთვაზე. სტანდარტული ფონეტიკური განვითარებიდან გადახრა ბგერათა ანალოგიური ჟღერადობის წყალობით ხდება. რეგულარულ ცვლილებებს განიცდის ხალხური ლათინურის სიტყვები. ფონეტიკური ცვლილებების გავრცელება დაკავშირებულია ენობრივი კოლექტივის სოციალურ და ისტორიულ ბედთან, რომლებიც გახდა ინოვაციების პირველ კერად. ფონეტიკური მოვლენების გეოგრაფიული გავრცელება მჭიდროდაა დაკავშირებული მის ქრონოლოგიასთან. რაც უფრო ფართოა ფონეტიკური ცვლილების გავრცელების არეალი, მით უფრო ძველია იგი.

თუკი შევადარებთ ერთმანეთს სიტყვათა ფონეტიკურ ფორმებს ლათინურსა და სხვადასხვა რომანულ ენაში, ჩანს, რომ ლათინური ფორმები ყველაზე უკეთესად შენარჩუნებულ იქნა იტალიურ ენაში, კერძოდ, ტოსკანურ დიალექტში. იმისათვის, რომ ობიექტურად დავადგინოთ ის ხარისხი, რომლითაც ესა თუ ის ენა დაშორდა ძირ-ენას, უნდა განვსაზღვროთ ამ ენა-ძირის „მდგომარეობა“, დროში, სივრცესა და მის სოციალურ გარემოცვაში, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის მოვლენა, რომელიც წინ უწრებდა ამ მდგომარეობას, შემორჩენილ იქნა ცალკეულ ოლქში. მათ შეიძლება ვუწოდოთ არქაული. ამ წინარე ენა-იტალიონის ოპტიმალურ პირობით სინქრონულ ჭრილს დროისეულ მიმართებაში წარმოადგენს IV საუკუნის ბოლო V საუკუნის დასაწყისი. იტალიურ ენაში შენარჩუნებულია ხალხური ლათინურის 21 ნიშან-თვისება. რემინ-ელში 10 ნიშანი; ფრანგულში 6. ყველა ბოლო უმახვილო მარცვლების დაკარგვა, ისევე, როგორც ბოლო ზმოვნების, თანამედროვე ფრანგულ ენაში საშუალებას იძლევა მახვილი შევინარჩუნოთ სიტყვის ბოლო მარცვალზე. ესპანურში არ არის არქაული ფორმები. იგი გამოხატავს განვითარების სპეციფიკურ მიმართულებას.

პორტუგალიურში არ არის დისკონგები. მისი სპეციფიკურობა ვლინდება იმაში, რომ ნაზალიზებული ხმოვნები არსებობს, ხდება ხმოვნების კარმონიზაცია. კატალონური ენა ინაწილებს ესპანურ და პორტუგალიურ ენებთან იბერო-რომანული ენების კონსერვატიულ და ინოვაციურ ნიშან-თვისებებს. ლათინური ფონეტიკური სისტემის რომანულ ენებად გარადაქმნამ, ბგერებსა და გრაფიკულ გამოსახულებებში გამოიწვია ცვლილებები.

ლათინურის გრამატიკული სისტემისა და რომანული ენების შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ გრამატიკული რომანიზმები ეხება როგორც სახელის ასევე ზმნის თითქმის ყველა კატეგორიას. როდესაც ტექსტს, რომელიც კლასიკური ლათინურიდან დაწერილი ვუდარებთ მისივე თარგმანს ნებისმიერ რომანულ ენაზე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ლათინურ ენაზე დაწერილი ორიგინალი შეიცავს სიტყვათა ნაკლებ რაოდენობას. როდესაც ვადარებთ რომანულ ენების გრამატიკულ სისტემებს, მათ გააჩნია საერთო ნიშან-თვისებები, რომლებიც არაა დამახასიათებელი კლასიკური ლათინური ენისათვის. მაგრამ დამახასიათებელია ზოგიერთი რომანულიათვის. მაქსიმალური საერთო ნიშან-თვისებებია ესპანურ და პორტუგალიურ ენებში. ისინი უფრო მეტად ახლოს დგას იტალიურთან. ფრანგული და რუმინული ენებისათვის უფრო ახლოსაა იტალიური. ყველაზე ნაკლები საერთო ნიშნები აქვს ფრანგულსა და რუმინულს.

საერთო ტიპოლოგიური დახასიათების დროს, რომლითაც რომანული ენები განსხვავდება ლათინურისაგან, გრამატიკული დატვირთვა მორფოლოგიური საშუალებებიდან გადატანილია სინტაქსურზე, შექმნილია ახალი ლათინური სათვის უცნობი სინტაქსურ-ანალიტიკური ფორმები (არტიკლი+არსებითი სახელი+ნაცვალსახელი+ზმნა), გაზრდილია მორფოლოგიური ანალიტიკური ფორმები (რთული ზმნური დროები, ზმნური კონსტრუქციები ასპექტუალური და კაუზატიური მნიშვნელობებით, ანალიტიკური ტიპის შედარებითი

ხარისხები). ყველა ამ ნიშნით, რომანული ენები შეიძლება ანალიტიკური ტიპის ენებს მივაკუთვნოთ, ლათინურისაგან განსხვავებით, რომლებიც სინთეტურ ენებს განეკუთვნება. გრამატიკაში მთელი რიგი ცვლილებები მოხდა. ვაქრა საშუალო სქესის მორფოლოგიური კატეგორია. არსებით და ზედსართავ სახელებს გაუქრათ ბრუნების კატეგორია. გაჩნდა განსაზღვრული არტიკლი, რომელიც მიუთითებდა არსებითი სახელის კონტექსტუალურ კავშირზე. განსაზღვრული არტიკლი ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან წარმოიქმნა. რომანულ ენებში ჯგუფი არსებითი სახელი+ზედსართავი უფრო მეტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. პრეპოზიცია ან პოსტოპოზიცია უფრო ხშირია რომანულ ენებში, ვიდრე ლათინურში. ნაცვალსახელი, ერთადერთი სახელადი ქვეჯგუფია, რომელმაც შეინარჩუნა ბრუნვის პარადიგმა ყველა რომანულ ენაში.

რომანული ენების გენეტიკური საფუძველია ეგრეთწოდებული „ძირეული სიტყვები“, რომლებიც ხალხური ლათინურიდან რომანულ ენებში გადავიდა და ამიტომაც მათ ყველა სახის ფონეტიკური ცვლილება განიცადა, რომლებიც ტიპურია თითოეული მოცემული არეალისათვის. ეს სიტყვები აღნიშნავს ყოველდღიურ საგნებსა და ცნებებს. როგორც ეტიმოლოგია, ისე სიტყვათა გეოგრაფიული განაწილება არაერთგვაროვანია. მათში თავმოყრილია:

1. თვით ლათინური წარმოშობის სიტყვები ანდა ადრეული ბერძნული წარმოშობის სიტყვები, როგორიცაა **scola, camera**, სტილისტურად ნეიტრალურია, ერთნაირად გამოიყენება, როგორც ლათინურში, ისე ბერძნულში. ყველა მათგანი ერთნაირადაა ასახული რომანულ ენებში. მსგავსი ფორმებია მაგალითად: ლათ. **terra**, იტალ. **terra**, ესპან. **tierra**, ფრანგ. **terre** – მიწა.
2. თვით ლათინური ან ნასესხები სიტყვები, რომლებიც გამოიყენება უმეტესად სასაუბრო ან მხოლოდ სასაუბრო ლათინურში. მნიშვნელობით მათი

შესატყვისი კლასიკური ლათინურის სიტყვები, გაქრა ზეპირი ტრადიციიდან, რომელთაც გაგრძელება არ ჰქონია რომანულ ლექსიკაში: ლათ. lapis, ხალხ. ლათ. **petra**, იტ. **pietra**, ესპ. **pedra**, ფრანგ. **Pierre** – ქვა.

3. ნასესხები ან თვით ლათინური სიტყვები, რომლებიც გამოიყენება რომელიმე ცალკეული არეალის გვიანდელ ლათინურში. იტალიურში: **dimenticare**, ფრანგულში – **oublier**, ესპანურში – **olvidar** – დაიწყება.

განსხვავება რომანული ენების ლექსიკურ მარაგში ჩადებული იყო ჯერ კიდევ ხალხური ლათინურის ლექსიკაში. ის ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ხალხურ ლათინურში, და ცვლილებები, რომლებიც განეკუთვნება ადრინდელ რომანულ პერიოდს არ შეიძლება მკაცრად გაემიჯნოთ, იზოგლოსების⁴ ისტორიული ცვალებადობის გამო.

პირველადი ლათინური სიტყვების შეცვლა ხდებოდა:

1. სესხების შემწვევობით მაგალითად: ლათ. **bellum**, გერმანიკ. **wirra**, ფრანგ. **guerre**, იტალ. **guerra**, ესპან. **guerra**.
2. აფიქსალური სიტყვათწარმოების გზით მაგალითად: ლათ. **sol**, ხალხ. ლათ. **soliculum**, ფრანგ. **soleil**, იტალ. **sole**, ესპან. **sol**. სიტყვათა ცვლილება ხდება საერთო ფონეტიკური კანონების შესაბამისად: ა) მნიშვნელობის გაფართოებით თუ შევიწროებით; ბ) მეტონიმის გამოყენებით; გ) მეტაფორის გამოყენებით.

სიტყვათა მნიშვნელობების შენახვა ან შეცვლა, ანდა ახალი ლექსიკური მნიშვნელობების გაჩენა, რომლებიც ახალ ცნებებს გამოხატავს განპირობებულია როგორც გარე სოციოლინგვისტური ფაქტორებით, ისე შიდა ენობრივი ფაქტორებით. სოციოლინგვისტურ ფაქტორებს განეკუთვნება:

⁴ იზოგლოსა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს (ლინგვ)-ერთნაირ ენობრივ თავისებურებათა გაერთიანების აღმნიშვნელ ხაზებს რუკაზე (ქ.ჯამა).

1. უცხო ენის მქონე ხალხთან კონტაქტები; 2. პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები ძველი რომის იმპერიის პერიოდში და ადრეულ შუა საუკუნეებში. პირველ რიგში ეს განპირობებული იყო კულტურული ღირებულებების გადაფასებით, რაც დაკავშირებული იყო ქრისტიანობის გავრცელებასთან. მეტყველების ნიმუშად «უბრალო ხალხის» მეტყველების მიღება და სოციალური ლექსიკის გავრცელება. სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ფეოდალიზაცია. შიდა ლექსიკური ცვლილების მიზეზად შეიძლება დაფასავდეს ფონეტიკურად მოკლე სიტყვების გამოყენება და ახალი «არახელსაყრელი» თმონიშების წარმოქმნა ფონეტიკური ცვლილებების დროს. აღსანიშნის შეცვლა აღმნიშვნელით სხვა ერთეულებში ჩანაცვლების ჯაჭვურ რეაქციას იწვევს. მაგალითად: ლათინური სიტყვა **os** – პირი – გაქრა, მოხდა სიტყვის **bucca** გადააზრება, ადრე ის ნიშნავდა ღოყას, იტალ. **bocca**, ესპ. **boca**, ფრანგ. **bouche**.

გაჩნდა აღსანიშნის მოტივირების ტენდენცია, ნაწარმოები და ანალიტიკური სახელდების წარმოქმნის თვალსაზრისით. სასაუბრო მეტყველებაში ელიპსური ფორმების გამოყენების ტენდენცია. სასაუბრო მეტყველების ემოციურობისა და ექსპრესიულობის მიხედვით არსებობს ცნებასა და მის სახელდებას შორის მყარი კავშირი, რომელიც დამოკიდებულია აღსანიშნის ცნების ხასიათზე.

რომანული ენების სალიტერატურო ფორმების თვალსაზრისით უფრო მეტი მსგავსი სიტყვები არსებობს, მეცნიერების, პუბლიცისტიკის, ლიტერატურის განვითარების მიხედვით, საერთო რომანული ლათინიზმების, გალიციზმების, იტალიანიზმების წყალობით. მაგალითად: ლათ. **cultura**, იტალ. **cultura**, ესპ. **cultura**, ფრანგ. **culture** – კულტურა; ლათ. **natura**, იტალ. **natura**, ესპ. **natura**, ფრანგ. **nature** – ბუნება.

ძველფრანგული და პროვანსალური ენები. პიუგ კაპეტიელის ტახტზე ასვლიდან (987წ) მოყოლებული შუა საუკუნეების

ბოლომდე და ლუი XI-ეს დროს საფრანგეთის ისტორია არსებითად იყო სამეფო ძალაუფლების ფეოდალებთან ბრძოლის ისტორია. თავიდან მეფე უზენაესს ფუნქციას მხოლოდ იღ ღე ფრანსისა და ორლეანის ტერიტორიაზე ასრულებდა. ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე კი მსხვილი ფეოდალები ბატონობდნენ. მეფესა და ფეოდალებს შორის ბრძოლა პირველად ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ დაიწყო, ლუი VI-ეს დროს (1108-1137). ლუი VI-ემ თავისი ვაჟი აკვიტანიის პერცოვის ასულ ელენორაზე დააქორწინა. თუმცა, ეს ქორწინება განქორწინებით დასრულდა. ელენორა ქმარს გაეყარა და ანრი პლანტაგენეტზე იქორწინა. მიუხედავად ამისა, ფილიპ ავეუსტის დროს სამეფო გაიზარდა სამხრეთით შარანტამდე და ცენტრალურ ზეგანამდე, რასაც XIII საუკუნის დასაწყისში ნორმანდიაც მიემატა. წმინდა ლუის მეფობის დროს საფრანგეთის სამეფოს მიემატა პროვანსის ტერიტორიაც, მოგვიანებით კი, ფილიპ ლამაზის დროს – შამპანისა და ლიონის ტერიტორიები. ისტორიული განვითარება გრძელდებოდა ასწლიანს ომის დროსაც. სწორედ ამ ომმა ერიოვნული გრძნობები გააღვიძა ფრანგებში. სამეფო ხელისუფლება არასოდეს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც იმ დროს. შარლ VII-ემ ჟანა დარკის წყალობით, თავისი სამეფო ინგლისელებისაგან გაანთავისუფლა. საბოლოოდ კი, ლუი XI-ემ, ბურგუნდიის პერცოვის გარდაცვალების შემდეგ, საფრანგეთის გაერთიანება შეძლო. ისტორიულმა მოვლენებმა, რა თქმა უნდა, ენაშიც შეიტანა ცვლილებები. მათ თავისი ასახვა ჰპოვა პროვანსალურსა და ძველ ფრანგულ ენებში. უძველესი გალიის მცხოვრებთა ენაში მისი ერთი ნაწილისათვის, ლათინური **a** ღია მახვილიან მარცვალში შეიცვალა **e**-თი, ხოლო მეორე ნაწილისათვის ეს **a** შემორჩა: **chanter** – ძვ. ფრანგულში – სიმღერა; **cantar=cantare** პროვანსალურში. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის ტერიტორიაზე გაჩნდა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ენა. ერთი ჩრდილოეთში, ხოლო მეორე სამხრეთში; ამ ენებს შემდგომში ეწოდა: **langue**

d'oil (ძვ. ფრანგული) და **langue d'oc** (პროვანსალური). „Oil“ და „Oc“ ნიშნავდა: „დაახ“, „კი.“ ფრანგულ ენაზე დაწერილი ჩვენამდე მოღწეული უძველესი ტექსტებია: 842 წლით დათარიღებული „სტრასბურგის ფიცა“, რომელსაც ქრონოლოგიურად მოსდევს „წმინდა ვლალდიას სეკვენცია“, 24-29 სტროფისაგან შემდგარი, ჩრდ. აღმ. დიალექტზე დაწერილი ლიტურგიული გალობა, რომელიც 900 წ.-ით, ე.ი. IX საუკუნით თარიღდება. X საუკუნიდან საღმრთო თემებზე იქმნება უფრო ვრცელი ნაწარმოებები; მაგალითად: „ქრისტეს ენებანი“ („*Passion du Christ*“), „წმინდა ლეჟეს ცხოვრება“ („*Vie de Saint Léger*“), „წმინდა ალექსის ცხოვრება“ („*Vie de Saint Alexis*“), რომელიც წინამორბედებთან შედარებით უფრო დახვეწილი ნაწარმოებია. ის თარიღდება 1040 წლით. XI საუკუნის ბოლოს იქმნება „სიმღერა როლანდზე“ – **Chanson de Roland**. ეს არის ეპიკური ჟანრის პოეზიის აღორძინების პერიოდი. მომდევნო საუკუნეებში შეიქმნა ყველა ლიტერატურული ჟანრი პოეზიის ჩათვლით, რასაც ხელი შეუწყვეს გადამწერებმა. იმ დროს იქმნება ძრავალი დიალექტი. დიალექტები იცვლებოდა მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. მათ ახასიათებდა სხვადასხვა წარმოთქმა და ისინი სხვადასხვა გრამატიკულ ფორმებს იყენებდნენ. ძირითადი დიალექტები იყო: ჩრდილო-დასავლური – ნორმანდიული; ჩრდილო-აღმოსავლური – პიკარდიული და ვალონული; აღმოსავლეთით – შამპანის, ლოტარინგიული და ბურგუნდიული; დასავლეთით – სენტონჟის, პუატიეს და ანჟუს დიალექტები; ცენტრალურ ნაწილში (მდ. სენის შუა აუზში, სენასა და ლუარას შორის ტერიტორიაზე) – ილ დე ფრანსისა და ანგლო-ნორმანდიული დიალექტები. სწორედ ილ დე ფრანსის დიალექტი დაედო საფუძვლად ფრანგულ სალიტერატურო ენას, რომელზეც ლაპარაკობდნენ პარიზში; ის მეფის ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე. ჩამოთვლილ დიალექტთა

შორის მხოლოდ პროვანსალურს გააჩნდა ენის სტატუსი, სხვა დიალექტები კი „კილოკავებად“ დარჩა. პროვანსალურ ენაზე შექმნილი უძველესი ნაწარმოებებია: XI საუკუნეში, ლიმუზენის რეგიონში დაწერილი პოემა ბოეციუსის შესახებ — **“Poeme de Boccius”** და ამავე საუკუნეში, ნარბონის რეგიონში დაწერილი „**Chanson de Sainte Foy d’Angen.**“ როგორც ჩრდილოეთში, ასევე სამხრეთში გვხვდება პროვანსალური ენის სხვადასხვა დიალექტები, რაც XII საუკუნიდან გახდა ლიტერატურული ნორმა და მასზე შეიქმნა ტრუბადურების ცნობილი ლირიკული პოეზია. ეს პოეზია გავრცელდა ლიმუზენის რეგიონიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე. ტრუბადურების პოეზიის ავტორები არიან: პუატიე, რიუდელი, ვენტადური, ვიდალი, ბორნელი, ბორნი, დანიელი და სხვ. პროვანსალური ენა ყველაზე პარმონიული და სრულყოფილი იყო იმდროინდელ რომანულ ენებს შორის. ტრუბადურების წყალობით, ეს ენა აღჰკებსა და პირეხეუძსაც გასცდა. ის სარგებლობდა სამეფო კარზე დამსახურებული დიდებით. მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ, რომელთაგანაც მთავარი იყო: რომანული ენა, ლიმუზენის, დ’ოკის ენა, დაბოლოს, პროვანსალური ენა, «პროვინციელების» სახელის მიხედვით, რომლებიც ჩრდილოეთის მოსახლეობისაგან განსხვავდებოდნენ და ფრანკების შთამომავლები იყვნენ. ფაქტია, რომ პროვანსალური ენა გაჩნდა XI საუკუნის ბოლოს, თუმცა, ზუსტად არავინ იცის, თუ სად? ენათმეცნიერია უმრავლესობის აზრით ის პუატუსა და ლიმუზენის რეგიონებში უნდა გაჩენილიყო. უდავოა, რომ პროვანსალური ენა სამხრეთის ენაა. XIII საუკუნეში, კლასიკური პროვანსალური ენის გრამატიკა შეიქმნა. ეს პროცესი უკავშირდება „პოეტური ხელოვნების საფუძვლების“ ავტორს — რაიმონ ვიდალს. XIV საუკუნიდან ოფიციალური ენა ფრანგული გახდა, რამაც არ გამოიწვია დიალექტების გაქრობა, ისინი ხალხმა შეინარჩუნა. შემდეგ კი დიალექტები შეერწყა ერთმანეთს და ჩამოყალიბდა „თანამედროვე პროვანსალური ენა.“ პროვანსალური ენის დიალექტებზე დაპარაკობდნენ ანჟენიდან,

ტულუზის გავლით, კარკასონამდე გადაჭიმულ ტერიტორიაზე. მონპელიეს რეგიონში არსებობდა ქვემო ლანგედოკური დიალექტი; პროვანსალური დიალექტი იყოფოდა რონის მარსელისა და ალპების დიალექტებად; ჯერ კიდევ ადრინდელ ეპოქაში, რონის შუა აუზში წარმოიშვა ფრანკო-პროვანსალური დიალექტი, რომლისათვისაც დამახასიათებელი იყო **a-**ს შენარჩუნება ღია მახვილიან მარცვალში და მისი გადასვლა **ie-**ში: **portar**=**portáre**; **jugier**=**judicáre**. სამხრეთ-დასავლეთით, გარონასა და პირენეებს შორის გაჩნდა გასკონური მეტყველება, რომლის ლიტერატურული ფორმაც არის ბეარნული; მას განსაკუთრებულად გამოყოფენ პროვანსალურისაგან მისი თანხმოდანთა თავისებური ხისტიემის გამო. XIV საუკუნის ნაწარმოები: „**Leys d'amors**“ („სიყვარულის კანონები“) შექმნილია ბეარნულ ენაზე. საბოლოოდ, აღმოსავლეთის პირენეების ორივე მხარეს, რუსილონის რაიონში და ბარსელონის საგრაფოში წარმოიშვა კატალონური ენა. კატალონური და პროვანსალური ენების მსგავსება ვანაპირობა როგორც ესპანეთისა და საფრანგეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ისე ამ ქვეყნებს შორის არსებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა. არაგონისა და ბარსელონის საგრაფოების გაერთიანების შემდეგ (1137 წ.) კატალონური ენა გახდა არაგონის მონარქიის ოფიციალური ენა და გავრცელდა სიცილიაში, ნეაპოლსა და სარდინიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

ბგერები. ხმოვნები. XI საუკუნეში სამხრეთ გალიაში შენარჩუნებული იყო ლათინური ენის მახვილიანი თანხმოვნები; ჩრდილოეთ გალიაში კი მათ მხოლოდ ღია მარცვალში განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილებები. უმნიშვნელოვანესი განსხვავება ჩრდილოეთისა და სამხრეთის ზონებს შორის იყო **a-**ს გადასვლა **e-**ში, ღია მახვილიან მარცვალში: **pré** – მდელი, **perc** – მამა (ძვ. ფრანგული), პროვანსალურში **prat**, **cantar**, **paire**; ფრანგ. **arc**, **cheval** – ცხენი (ძვ. ფრანგული); **arc**, **caval** – ცხენი (პროვანსალურში). თავდაპირველად **e**

წარმოითქმოდა გრძლად, რაც შემდეგ გადავიდა მოკლე e-ში. XIII საუკუნიდან მოყოლებული, ჩრდ. რეგიონებში დიფტონგიზაციის შედეგად მივიღეთ: **chanteir** – სიმღერა; **portei** – ტარება. ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელი იყო ღია მარცვალში e, o – ს ადრეული დიფტონგიზაცია და გადასულა **ie, ue** – ში: **miel, pié, lievrc** – ძველ ფრანგულში; **mel, pe, lebre** – პროვანსალურში; **euer** – გული; **puet** – შეუძლია (ძვ. ფრანგულში); **cor, pot** – პროვანსალურში. XIII საუკუნეში, ჩრდ. საფრანგეთში „ie“ ეტაპობრივად გადავიდა „ye“–სა და „yi“–ში, მიუღეს დასავლეთ ნაწილში კი მოხდა მისი რედუცირება „i“–ში; ძველფრანგული დიფტონგი **uk**, რომელიც XI საუკუნის დასაწყისში „uo“–სგან წარმოიქმნა, მერვეობდა „woe“–სა და „ŷoe“–ს შორის. XIII საუკუნის ბოლოს ის უკვე იქცა „oe“–დ, და იწერებოდა როგორც „eu.“ თანხმონები შენარჩუნებულ იქნა ორივე ენაში ძვ. ფრანგულშიც და პროვანსალურშიც: **set, perdre, porc, mort**. ისეთი ფორმები კი როგორცაა: **terre** – მიწა, **fieste** – დღესასწაული XIII საუკუნეში ჩნდება დიალექტიზმების სახით საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და ვალონიაში. სამხრეთ საფრანგეთში კი მსგავსი დიფტონგები გვხვდება ჩვენს დროში, პროვანსში: **pwor, pwar** – ღორის ხორცი; **mwart= porcun mörtem** – მკვდარი. სამხრეთ საფრანგეთში ხმოვნები e, o შემორჩა: **cre - croire, flor - fleur, sol - seul**. პროვანსალური e ადვილი განსასხვავებელი არ იყო კატალონური e–სგან. მახვილიანი e რედუცირება განიცადა და გახდა **oe: hocmne** – ქალი; **hémne** – ს მაგიერად. თუ XII საუკუნეში, ჩრდილოეთ საფრანგეთში ძველფრანგულში გვხვდება ხიტყვები: **teile, seite, seit, creit, flor, sol, vot**, დასავლეთ და ცენტრალურ საფრანგეთში, ნორმანდიის დასავლეთ ნაწილის გარდა, **ei** გადადის **oi** – ში: **toile, soif, croit**. გამონაკლისს წარმოადგენს თანხმონები: **n, l** – რომელთა წინაც **ei** რჩება უცვლელი: **veine, merveille**. მხოლოდ შამპანში **mervoille**, ლოტარინგიის დასავლეთით და პურგუნდიაში კი: **voine**, რამაც თანამედროვე

ფრანგულში მოგვცა **foin, avoine**; “**meins**” გადავიდა “**moins**”—ში, რაც თანამედროვე ფრანგულშიც შემორჩა. XIII საუკუნეში **oi** წარმოითქმოდა როგორც: **oē**. ნორმანდიაში მოხდა სიტყვების რედუცირება: **rei = rē; fei = fē**; რაც შეეხება **ou**-ს შემორჩა აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ხოლო დანარჩენ რეგიონებში XIII საუკუნეში გადავიდა **oēu, oē**-ში, რომელიც ზვეულებისამებრ იწერება როგორც **eu** სიტყვაში **fleur, seul, vœu**. დახურულ მარცვალში გვხვდებოდა **vert, sec, cort**, XII საუკუნეში, დახურულ მარცვალში **ყ** გახდა ღია: **vērt, sēc, o** გახდა უფრო დახურული და XIII საუკუნეში გადავიდა **u**-ში: **cort** გახდა **court**. რაც შეეხება ხმოვანს **i**, სიტყვის ბოლოს ის შემორჩა ძვ. ფრანგულშიც და პროვანსალურშიც: **venir, mil**; ხოლო **u** (მახვილიანიც და უმახვილოც) გადავიდა **ū**-ში; ორივე ენაში მივიღეთ: **mur, nul**, წარმოითქმა შეიცვალა და სიტყვის ჩაწერა კი ისევ ისე ხდებოდა. კატალონურში, რომელიც ძალიან ჰგავს პროვანსალურს, ეს ცვლილება არ მომხდარა. გასკონურში კი მოხდა: **u** გადავიდა **ū**-ში მოგვიანებით შემდეგ კი **i**-ში: **libe = lūna** (მთვარე).

ჩრდილოეთ საფრანგეთში დიფტონგი **au** რედუცირდა **o**-დ: **or, chose**; სამხრეთში კი შენარჩუნებულია შუა საუკუნეებამდე: **aur, causa** (ინტერვოკალური **s** შერბილდა). თუმცა, დროთა განმავლობაში, პროვანსალურშიც **au** გადავიდა ჯერ **oe**-ში, შემდეგ **oēū**-ში, საბოლოოდ კი **o**-ში. XIII საუკუნით დათარიღებულ ლიტერატურულ ნაწარმოებში გვხვდება ე.წ. პარაზიტული „**i**“, რომლის წარმოშობაც გაურკვეველია. მაგალითად, სიტყვაში „**aisne**“, **i** აღნიშნავს ძალიან ღია **ā**-ს (**asne**); **enfier, deit (enfer, dette)**, **i** გამოიყენება ღია ხმოვნის გამოსახატავად. სიტყვებში **pluis = plus; vertuit = vertu**, გამოიყენება იმისათვის, რომ გვიჩვენოს **u**-ს მსგავსება **ū**-სთან და ასეთი სახით ჩაწერა მიუთითებს ფრანკულ წარმოშობაზე. ჩრდილოეთ გალიაში **e**-ს დიდს დრო დასჭირდა იმისათვის, რომ გადასულიყო **i**-ში. ფრანგულ ენაში გვაქვს “**merci**”, ხოლო პროვანსალურში – “**merce**.” ჩრდილოეთში **a** (**tš, dž,**

I-ის შემდეგ) გადავიდა **ie** -- ში და არა **e**- ში: **chievre** - თხა; **vengier** - შურისძიება (ძვ. ფრანგული). ჩრდ. დას.- ში კი **ieę** რედუცირდა **ie** -დ: **vengiee** - **vengie**; **maisniee** - **maisnie**. იხვევ როგორც **ieu** რედუცირდა **iu** -დ: **diu-dieu**, **liu** - **lieu**. **R** -ის წინ **a** გადაიქცა **e** - დ: **portar** = **porter**. სამხრეთში კი გვხვდება ფორმები: **leit**=**lait** ; სუფიქსი „**arru**“ ჩრდილოეთში (ძვ. ფრანგულში) გადავიდა „**ier**“ ან „**iere**“ - ში, ხოლო სამხრეთში (პროვანსალურ ენაში) - „**cira**“ ან „**icira**“ - ში. პროვანსალურ ენაში ხშირად გვხვდება ჰიტყუები, რომლებშიც: 1) **e** ხმოვანი მოქცეულია ორ **i**-ს შორის: **pieitz** - ძველი; 2) **e** ხმოვანს უძღვის **i**: **vielh** - ძველი; 3) **e** ხმოვანს მოხდევს **i**: **nucit** - დამე. დროთა განმავლობაში **uci** გადავიდა „**wi**“ - ში, ხოლო **iei** - „**i**“ - ში. ჩრდილოეთ საფრანგეთში: **noyt** - დამე. პროვანსალურში იყო **brieu** = **bref** (მოკლე); **nueu** = **neuf** (ახალი), შემდეგ კი სამხრეთ-დასავლეთში მოხდა შემდეგი ცვლილება, **nau** - **neuf**; **plau** - **il pleut**. ძველ ფრანგულში **au** ზოგ შემთხვევაში გადავიდა „**ou**“ - ში, **aurelha** - **ourelho**. უმნიშვნელოვანესია ტრიფტონგის **eau** გაჩენა. ძველ ფრანგულ ენაში იყო: **beaus** - ლამაზი; პიკარდიულში კი **hiau**, რადგანაც **eau** - გადავიდა **iau**-ში. დასავლეთ საფრანგეთში კი **eau** რედუცირდა **ea**-დ ან **a**-დ. სამხრეთში კი „**i**“ -სა და „**l**“ -ს შორის და „**i**“ -სა და „**u**“ - შორის ჩაისმის „**e**“, **biele** - ქალაქი; **rieu** = **riu** - მდინარე. მნიშვნელოვანია ცხვირისმიერი თანხმოვნები **n, m**. პროვანსალურში გვხვდება: **ben, bon, vent, pont, pan, man**. ზოგიერთ თანამედროვე დიალექტში ცხვირისმიერი **a** გადავიდა **o**-ში: **po** - პური, **lono** - შალი; შემდეგ კი ცხვირისმიერი ბგერა გადავიდა **e**-ში: **pain, laine**. ძველ ფრანგულში იყო „**bene**“ რომელიც გადავიდა „**bieu**“ - ში, იხვევ როგორც „**plenum**“ - გადავიდა „**plein**“ - ში. ცხვირისმიერ ბგერას + თანხმოვანი - ამ კომბინაციის შემთხვევაში ხშირად ვხვდებით დიფტონგ **au** -ს: **graunt** = **gront** - დიდი; **chaunte** = **chante** - მღერის; **Fraunce** = **France**-საფრანგეთი. თავდაპირველად, XI საუკუნეში, ნაზალიზაცია გვხვდებოდა მხოლოდ ჩრდილოეთში,

სიტყვებში: **grant, vendre, enfant, fame**. ის საკმაოდ დიდი ხნის წინ გაჩნდა და კულტებისათვის იყო დამახასიათებელი. XII საუკუნეში გვხვდება ცხვირისმიერი **o, bō** - კარგი, **corōne** - გვირგვინი, **pōme** - ვაშლი. ამ დროისათვის *i* ხმოვნის უმნიშვნელო ნაზალიზაცია ხდებოდა, თუმცა უკვე არსებობდა ცხვირისმიერი დიფტონგები: **ai, ei, oi. pāyu** - პური; **plēyn** - სავსე; **vēyne** - ვენა; **cōy** - კუთხე. XII საუკუნეში **ai** გადავიდა **ey** - ში და ასევე **āy** გადავიდა **ēy**-ში. ნაზალიზაცია საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე როდი გამოიყენებოდა.

თანხმოვნები. თანხმოვნების თვალსაზრისით ძირითადი ცვლილებები განიცადეს ხორხისმიერმა თანხმოვნებმა, რომლებიც სიტყვის თავში დგანან. გალიაში თანხმოვანი **e, e, i** ხმოვნების წინ წარმოითქმის როგორც **ts**. გამონაკლისი იყო პიკარდიის რეგიონი ჩრდილო-დასავლეთით, სადაც ის გადავიდა **tš**-ში: **cherf, chitc**. თანხმოვანი **g, e, i, y** ხმოვნების წინ გადავიდა **dž**-ში. XIII საუკუნიდან **ts**, რომელიც წარმოიქმნა ფორმიდან **c+e** ანდა **c+i**, ყველგან რედუცირდა **s**-ში. მაგალითად: ფრანგულად **cerf** - ირემი, **cité** - ქალაქი, პროვანსალურში **cer, ciutat**. შეთანხმებებმა **kw, gw**, რომლებიც ლათინური ან გერმანიკული წარმოშობისაა და კარგა ლაბიალურობა, თუმცა არა ერთდროულად. პროვანსალურად **quatre** - ოთხი, **guarder** - დაცვა, **guerra** - ომი. სამხრეთ-დასავლეთის დიალექტებში საწყის მდგომარეობაში მდგომმა თანხმოვნებმა განიცადა ცვლილებები, რითაც ეს დიალექტები განსხვავდებიან პროვანსალურისაგან. ინტერვოკალურმა თანხმოვნებმაც განიცადა ცვლილებები, რამაც გამოიწვია ჩრდილოეთ გალიის სამხრეთისაგან გამოყოფა. სამხრეთში ყრუ მსკდომი თანხმოვნები გადაიქცა მუდურ თანხმოვნებად. მაგალითად: **pagar** - გადახდა, დამშვიდება; **riba** - ნაპირი. ჩრდილოეთში კი ლათინური ფორმა **pacare=pagare** ფრანგულში მოგვცა **payer**; **ripa=riba** ფრანგულში კი **rive**. მსკდომი თანხმოვნები **r**-ის წინ იგივე ცვლილებებს განიცდის, როგორც ინტერვოკალური თანხმოვნები. მაგალითად: **lacrima=lacrema=lairme** -

ცრემლი, ფრანგულში **larme, nigrum=negre=noir** – შაკი. ინტერვოკალური **s** ვველგან დარბილდა. მაგალითად: პროვანს. **cauza**, ფრანგ. **chose**. IX საუკუნიდან მოყოლებული ორმაგი ინტერვოკალური თანხმოვნები გამარტივდა. მაგალითად: ლათ. **gutta, flamma, bella**, პროვანს. გახდა **gota, flama, bella**, ძვ. ფრანგ. **gote, flame, bele**. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თანხმოვანი **r**-ს გაერთმაგება არ მომხდარა; პროვანსალურშიცა და ძვ. ფრანგულშიც გვექონდა: **terra** – მიწა. გამარტივდა II-ის წაკითხვის წესი: **estoile = stela** – ვარსკვლავი (ძვ. ფრანგულში); **vile=vila=biele** – ქალაქი (ძვ. გასკონურში). სამხრეთ-დასავლეთში კი II გახდა **r**: **appellare – apera** – დაძახება, მოხმობა; **gallina-garie** – ქათამი; **bella - here** – ლამაზი. ამავე ტერიტორიაზე ეხვდებით **t**-ში გადასულ II-საც: **bellum-bet** – ლამაზი. პირენეებში კი II გადავიდა **ts**-ში: **castellum – castets** – გასაღები. რაც შეეხება ასოთშეთანხმებას **cl, gl**, იკითხება ჩვეულებრივ: **cercle (serkl)**- წრე; **sangler (sangle)** – (ძვ. ფრანგული = **senclar** – ტახი (პროვანსალური). **gn, ng** იკითხება, როგორც **n + y**: **aignel (ainiel)** – კრავი, ბატკანი. აღსანიშნავია ის, რომ პროვანსალურისა და ძვ. ფრანგულის წაკითხვის წესი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან: **oreille (auric'la)** – ყური (ძვ. ფრანგული); **aurelha (aurelia)** – ყური (პროვანსალური). სუფიქსი **aticu** გაღაიქცა ჯერ **adyu** შემდეგ კი **adze** და მოვიდეთ პროვანსალურში: **fromatge** – ყველი; **ribatge** – ნაპირი; ძვ. ფრანგულში კი: **fromage, rivage**. XIII საუკუნეში ამ სუფიქსში ჩაჯდა პარაზიტული **i**: **froumaige, visaige, aurai – ge?** – მექნება კი? **s** + თანხმოვანი – ამ წყობიდან ამოვარდა **s** მთელ რიგ სიტყვებში: **isle – ile** – კუნძული. შენარჩუნდა მხოლოდ ყრუ თანხმოვნების წინ: **teste** – თავი; **ostel** – სასტუმრო; **peschier** – თევზაობა (ძვ. ფრანგული). დროთა განმავლობაში აქაც გაქრა **s**, ხმოვანი დაგრძელდა, მასზე განჩნდა მახვილი და, ამრიგად, თანამედროვე ფრანგულში მოვიდეთ **tête, hôtel, pêcher**; **et** გადაიქცა **yt**: **factum – fait**; **es** გადაიქცა **ys**: **laxare – laisser** (პროვანსალურში), **laissier**

(ძველ ფრანგულში). ასოთშეთანხმებამ **mn** ჩრდილოეთ საფრანგეთში ასიმილაცია განიცადა: **damnatum—damage**. სამხრეთში, სალიტერატურო ენაში შენარჩუნებულ იქნა, ხოლო დიალექტში ვახდა **nn: femna—fenna**. მაგრამ სიტყვის ბოლო **n** საკმაოდ ადრე გაქრა სამხრეთში; თუ ძვ. ფრანგულში იყო **larron**, პროვანსალურში იყო **lairro**. ტრუბადურები ხან წერდნენ სიტყვის ბოლოს **n** თანხმოვანს და ხან არა; ის განსხვავდებოდა ლათინური **n**—ისაგან, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნებულ იქნა: **gran—დიდი**. პროვანსალურში **nt**—ასოთშეთანხმების რედუცირება მოხდა და მივიღეთ **n: ventum—ven**; მაგრამ შენარჩუნებულ იქნა ძვ. ფრანგულში, ჩრდ. საფრანგეთში სიტყვის ბოლო **l** გაქრა ადრეულ ხანებში, თუმცა შემორჩა სამხრეთში: **miral—სარკე; soulel—შუე**. XIV საუკუნეში, ტულუზასა და დასავლეთ საფრანგეთში **l** შესუსტდა: **souleu, soulei**. ასოთშეთანხმებაში: **m'r, m'l, n'r, l'r** ორ თანხმოვანს შორის გაჩნდა ბგერა **b**:

ძვ. ფრანგულში:

1. **chambre = cam(e)ra**
2. **sembler = sim(u)lare**
3. **cendre = cin(e)rem**

პროვანსალურში:

1. **cambra**
2. **sembler, semlar**
3. **cenre**

ძვ. ფრანგულში ორ **r** შორის **g** გაქრა და მის ნაცვლად ჩაჯდა **d: surg(e)re = sordre**. პროვანსალურ ენაში კი გაქრა სიტყვის ბოლო **r: canta(r), parti(r)** და **r**-ს შემდეგ, რისი შედეგიცაა დიფტონგის **ey, ei**-ს შექმნა: **plasei = planher, plazer**. კატალონურში, როგორც წერის დროს, ასევე ზეპირში, **r** შენარჩუნებულ იქნა. XI საუკუნეში გაქრა ლათინური დაბოლოებისათვის დამახასიათებელი **t: canta(t) – cantan(t); chantet – chante** (მხ.რ. III პირი). მრავლობით რიცხვის III პირში დაბოლოება **nt** შენარჩუნდა წერის დროს: **chantent** და ზეპირში კითხვით ფორმაში ელერადობისათვის: **chantent- ils?** პიკარდიულში კი **t** შენარჩუნებულია XIII საუკუნეშიც კი.

XIII საუკუნეში, ჩრდილოეთ საფრანგეთში **s** გაქრა: **omes** – **ome** – ხალხი; თუმცა სამხრეთში (პროვანსის გარდა) შემორჩა. სიტყვები, რომლებიც მხოლოდით რიცხვში **o**-ზე ბოლოვდება, მრავლობითში ამ ხმოვანს ინაცვლებდა **a** – თი: **vatso** – ძროხა; **vatsa** – ძროხები.

როგორც ჩრდილოეთში ასევე სამხრეთში, სიტყვის ბოლოს ხმოვნის მომდევნო თანხმოვნების შეხარჩუნება ხდება. ძველ ფრანგულსა და პროვანსალურში გვაქვს: **drap, tot, sac, chaup=camp, part, cleric**. საინტერესოა [ts] ბგერის წერითი ვარიანტები: პროვანსალურ ენაში გვექონდა **tz: patz** – მშვიდობა; ხოლო ძვ. ფრანგულში **z: paiz** – მშვიდობა. ჩრდილოეთში **ts** რედუცირდა და მივიღეთ **s-u**. შემდგომში ის ხმარებიდან საერთოდ გაქრა, იუმცა კი სამხრეთში ხანგრძლივად შემორჩა. ამ თვალსაზრისით დიდი განსხვავებაა კატალონურსა და პროვანსალურ ენებს შორის. **XIII** საუკუნეში კატალონურ ენაში **ts** გადაიქცა **w** ან **u**-დ: **notz** – **nou** – კაკალი, თხილი; **amatz** – **amau** – გიყვარდეთ. საერთოდ, კატალონურ ენას ახასიათებს სიტყვის ბოლოს ამგვარი ცვლილებები.

სიტყვათა შერჩევა და ნახესობები. ჯერ კიდევ ლათინურ ეპოქაში და რომანიზაციის დასაწყისში გალიის ლექსიკა ერთგვარად განსხვავდებოდა მეზობელი რეგიონების ლექსიკისაგან. შეიძლება დავასახელოთ ის სიტყვები, რომლებიც სპეციფიკურია გალიისათვის. მაგალითად: **infanzia** – ბავშვობა, **juventa** – ახალგაზრდობა, **solacium** – სიამე, **respectus** – პატივისცემა, **somniculus** – ძილი. ძვ. ფრანგულში მას შეესაბამება: **enfance, jovente, solaz, respite, someil**; პროვანსალურში: **enfansa, joventa, solatz, respetch, somelh**. ზმნებიდან უნდა აღვნიშნოთ **irascere** – განრისხება, ძვ. ფრანგ. – **iraistre**, პროვანს. – **iraiser, decipere** – მოტყუება, ძვ. ფრანგ. – **decoivre**, პროვანს. – **decebre** და სხვა. ლექსიკური განსხვავება ჩრდილოეთ და სამხრეთ გალიაში ძალიან ადრე გაჩნდა და შემდგომში ის უფრო გაღრმავდა. შუასაუკუნეების ფრანგულში

გვხვდება ბევრი ლათინური წარმოშობის სიტყვა, რომელიც შემდეგ ხმარებიდან გამოვიდა. მაგალითად: **flum** – მდინარე, **rain** – ტოტი, **ester** – ყოენა, **toldre** – წართმევა და სხვა. იგივე დაემართა გერმანიკული წარმოშობის ზოგიერთ სიტყვას. მაგალითად: **guenchir** – ყოყმანი, თავის არიდება; **gandir** – თავის შევლა და სხვა. ამ ორი ენიდან ნასესხები სიტყვების თანაარსებობამ ძველ ფრანგულში წარმოქმნა ისეთი სინონიმები როგორებიცაა: **brant, espee (spatha)** – მახვილი, **bacon, lart (lardium)** – ქონი, **eschame (scamnum), banc** – გრძელი სკამი. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის განსხვავება, რაც ძველ ენაში იყო განყენებული ცნებების გამოყენების თვალსაზრისით. ის არ ანსხვავებდა გონებასა და სურვილთან დაკავშირებულ ცნებებს. მაგალითად: ძველ ფრანგ. **entente** – განზრახვა, **sens** – აზრი, **raison** – გონება, **talent** – მიდრეკილება ა.შ. ორივე ენა ერთმანეთისაგან ახდენდა სიტყვების შესხებას. პროვანსალურ ენაში ისეთი სიტყვების არსებობა როგორებიცაა **palais, vergier, joia, tenir**, შეტყვევებს მათ შესხებას ფრანგული ენიდან. პროვანსალურიდან ფრანგულმა ისესხა **balade, rossignol, faisan, figue**. რაც შეეხება სიტყვების შესხებას მუზობელი ქვეყნებიდან, ის ძალიან სუსტია. გერმანიკული ენებიდან ნასხები სიტყვები გაჩნდა ძველფრანგულში. ესენია: **agrafe, bride, breche, faloise, galloper** და ა.შ. ამავე პერიოდს განეკუთვნება ნასხეობები არაბულიდან და სპარსული ენებიდან. მაგალითად: **azur, amiral, tabor, caravane, elissir, amber, safran, sirop, cotton, orange, jupe** და სხვ.

სიტყვაწარმოება და სიტყვათშეერთება. გალიის ენებში, ჯერ კიდევ უძველეს დროში ხდებოდა ნაზმნარი არსებითი სახელების წარმოება. ასეთ არსებით სახელებს მამრობით სქესში, როგორც წესი, არ აქონდათ დაბოლოება: **crier – le cri; oublier – l'oubli**; მდედრობით სქესში არსებითი სახელები წარმოადგენს ზმნის ინფინიტის ფუძეს: **demande – la demande**. თუმცა, გვხვდება ზმნის პირიანი ფორმისაგან

წარმოებული არსებითი სახელი: **le maintien**. პოეზიაში თვით ინფინიტივსაც კი იყენებდნენ არს. სახ. – ის ფუნქციით: **lo celar** - ფარულობა; **lo blandir** – სიამოვნება; ძირითადად, როგორც პროვანსალურში, ასევე ძვ. ფრანგულში, ზმნის პირიანა ფორმისაგან წარმოებული არს. სახ. ბოლოვდება **ator** – ზე: **pescaire = pescador = piscator** – მეთევზე; **trobaire = trobador** – ტრუბადური.

პროფესიის აღმნიშვნელ არსებით სახელებში, რა თქმა უნდა, განასხვავებდნენ სქესს: **chanteresse** – მომღერალი ქალი (ძვ. ფრანგულად); **cantairitz** – (პროვანსალურად). სამხრეთში ზმნისაგან წვეულებრივ წარმოებდნენ არს. სახ.: **defendeire** – დაცვა; **defendador** – დამცველი; მხოლოდ **ar** – დაბოლოების მქონე ზმნებისაგან არ ხდებოდა არს. სახელის წარმოება;

არსებითი სახელების სუფიქსებად გვხვდება: **eir, ieira, art, aut, ement, iment, ance: consirier** – ოცნება; **caitivier** – უბედურება; **charetier** – მზიდავი; **vestment** – ტანსაცმელი; **sentiment** – გრძნობა; **sovenance** – ვახსენება; **pesance** – სევდა, დარდი.

ზედსართავისაგან არსებითი სახელის საწარმოებლად გამოყენებული იყო სუფიქსი **ia, itatem** – ის რედუცირებული ფორმები: **tat, te, edat, etat: cortezia, castetat, castedat**. ძველ ფრანგულში გამოიყენებოდა არსებითი სახელის სუფიქსის **itia** – ს ორი ფორმა: **eee, ise: sagece** – სიბრძნე; **cointise** – ელეგანტურობა; **sofise** – სისულელე; **tendrece** – სინაზე. როგორც ძველ ფრანგულში, ასევე პროვანსალურში, ბევრ სიტყვაში გვხვდება სუფიქსი **orem** – ის რედუცირებული ფორმა **or: folor** – სიგიჟე; **laidor** – სირცხვილი (ძვ. ფრანგ.); **ricor** – მადლიერება; **santor** – სიწმინდე (პროვანს.). სამხრეთ საფრანგეთში, პროვანსალურ ენაში **ada** სუფიქსიც საკმაოდ გავრცელებული იყო: **jornada** – მთელი დღე; **mainada** – ოჯახი; ამ სიტყვების ძვ. ფრანგულ შესატყვისებში სუფიქსი **ada** შეცვლილია სუფიქსი **ee** – თი: **journee, maisniee**.

ფრანგულა ენის საინტერესო მახასიათებელია ის, რომ

ერთსა და იმავე ფუძეს შეიძლება სხვადასხვა სუფიქსი დაერთოს: **fol-ie, fol-or, fol-ete, fol-ece, fol-age, fol-iete, fol-inc, fol-oi, fol-oiement, fol-oiance, fol-oison** სა ა.შ. ამავე მოვლენას შეიძლება შევხვდეთ პროვანსალურ ენაშიც: **alegr-etat, alegr-amen, alegr-ia, alegr-eza, alegr-or, alegr-ier, alegr-atge, alegr-ansa.**

ფართოდ გამოიყენებოდა (ძვ. ფრანგულსა და პროვანსალურ ენებში) კნინობით-ალერსიანი ფორმები, რომლებიც იწარმოებოდა სუფიქს **ittus** - ის სახეცვლილი ფორმით **et**, აგრეთვე, **el** - ითა და **on** - ით: **poissonet** - თევზი; **ceinturet** - ქაშარი; **matinet** - აღრიანი დილა; **auzelet** - ჩიტუნია; **pradel** - მინდორი; **ramel** - ტოტი; **chaton** - ფისუნია; **asnon** - ჩოჩორი, აღსანიშნავია, რომ ამგვარი ფორმები განსაკუთრებით სამხრეთში დამკვიდრდა.

საინტერესოა ძვ. ფრანგულსა და პროვანსალურში არსებული ფერის აღმნიშვნელი ზმნები; ძვ. ფრანგულში იყო: **blanchoier** - გათეთრება; **rojoier** - გაწითლება; **vordoier** - გამწვანება; **indoier** - განაცისფრება; **persoier** - გაციხფრება. პროვანსალურში გვქონდა განსხვავებული დაბოლოებები: **blanquejar** - გათეთრება.

ორივე ენაში განჩნდა ორფუძიანი სიტყვები; ძვ. ფრანგულში: **vert jus** - მუავე ყურძენი; **chief lieu** - რაიონული ცენტრი; **chauve-soriz** - ღამურა **boncur** - ბედნიერება, **Ostel Dieu** - სააუადმყოფო; **chief d'nevre** - შედევი; **arc en ciel** - ცისარტყელა; პროვანსალურში კი იყო, მაგ.: **aigancu** - თოვლჭყაპი; **prozome** - პატიოსანი კაცი; **meijorn** - შუადღე. ძალიან საინტერესოა სიტყვა „აზრის“ - „avis“ შექმნა; იყო წინადადება: „**Ce m'est a vis**“ - რაც ნიშნავდა: „როგორც მე მგონია,“ - შემდეგ კი ერთ სიტყვად იქცა.

პროვანსალურ ენაში, ზედსართავ და არსებით სახელებს ერთვოდა ნაწილაკი **sobre**, რაც აღმატებით ხარისხს აღნიშნავდა: **sobrebel** - ულამაზესი; **sobrefort** - უძლიერესი; **sobramor** - დიდი სიყვარული; **sobrardimen** - თავგანწირვა; **sobradezir** - დიდი სურვილი.

თავდაპირველად, რთული არსებობის სახელები მხოლოდ საკუთარი სახელები იყო; მაგ.: ცხენის სახელი **Passcerf** - პირდაპირი თარგმანით ნიშნავდა „ცხენის გაგდებას.“ ქალაქის სახელები: **Pierre Engoulevant** – “პიერ ქარიყლაპია;“ **Guillaume Boute-feu** – “გიიომ, დაანთე ცეხცელი;“ **Ivcs Gaignepain** – “ივ, პური იშოვე;“ შემდგომში კი ასეთი რთული სახელები დაერქვა საგნებსაც: **garde-mangier** – კარადა სურსათ-სანოუგაგისათვის; **garde-robe** – ტანსაცმლის კარადა (ძვ. ფრანგულში); **cobricap** – თავსაბურავი (პროვანსალურში).

ზმნები იქმნებოდა თავსართისა და ბოლოსართის (პრეფიქს - სუფიქსის) დართვით:

1. **en -tau-lar** – მაგიდაზე დადგმა.
2. **a- reond-ir** – მომრგვალება.
3. **em-poison-er** – მოწამვლა.
4. **en-soleil-ler** – მზით განათება.
5. **de-raill-er** – ლიანდაგებიდან გადასვლა.

ძვ. ფრანგულში ზმნას დასრულებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავსართები: **par, tres: parprendre** – ალება; **trespenser** – მოფიქრება. საურთიერთო მოქმედებას კი აღნიშნავდა **contre** და **entre: contrainmer, contre-flatter, entracoler, entrevouloir, entrepayer**. არსებობდა თავსართი **re**, რომელიც ერთვოდა დამხმარე ზმნებს: **rester, ravoir**, ხოლო სხვა ზმნებზე დართვისას აღნიშნავდა ხელახლა მომხდარ მოქმედებას: **revucil** – ხელახლა ნახვა; დღესაც უამრავი ასეთი ზმნა არსებობს ფრანგულ ენაში: **revoir, repartir** და ა.შ. თუმცა, მნიშვნელოვანია, ფონეტიკური კუთხითაც შევხედოთ ამ საკითხს: არსებობს თავსართი **re** რომელიც ზმნებს განსხვავებულ მნიშვნელობებს ანიჭებს; მაგალითად: **reformer** – ფორმის შეცვლა; **reformer** – გაუმჯობესება, რეფორმირება.

სიტყვათა მნიშვნელობის ცვლა. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა უმნიშვნელოაქანესი მოვლენაა ენაში. თუ XII საუკუნემდე ძვ. ფრანგულში სიტყვა „**place**“ ნიშნავდა „მოედანს“, დროთა განმავლობაში მას დაემატა ახალი მნიშვნელობა: „ადგილი“; თუ „**vile**“ ნიშნავდა „ფეოდალთა ჯგუფს“, დღეს ის ნიშნავს „ქალაქს.“ პროვანსალურში „**caire**“ ნიშნავდა „კუადრატული ფორმის ქვას“, დღეს ის ნიშნავს „სოფელს.“ ზოგი სიტყვა ადრე აღნიშნავდა აბსტრაქტულ სახელს, დღეს კი აღნიშნავს კონკრეტულს: **pitance** — ძვ. ფრანგულში ნიშნავდა „კეთილშობილებას“, დღეს კი ნიშნავს „ერთ პორცია საკვებს.“ პროვანსალურად სიტყვა „**miralh**“ ნიშნავდა „საოცრებას“, დღეს კი ნიშნავს „სარკეს.“ უფრო ზშირი იყო კონკრეტულიდან აბსტრაქტულ მნიშვნელობაზე გადასვლა. ძვ. ფრანგულში: „**talent**“ ნიშნავდა: „ზომა, წონა;“-ს შემდეგ — „სურვილი“-ს, შემდეგ კი ლანგედოკურად: „ჭამის სურვილს.“ ძვ. ფრანგულშიც და პროვანსალურშიც „**nauza**“ ნიშნავდა „ღებინებას;“ თავდაპირველად კი ნიშნავდა „ჩხუბს.“ XIII საუკუნიდან სიტყვა „**voirre**“ გარდა იმისა, რომ ნიშნავდა „მინას“, მიიღო ახალი მნიშვნელობაც — „ჭიქა.“ სიტყვა „**separare**“ თავდაპირველად ნიშნავდა „განცალკევებას“, შემდეგ კი „ბავშვის მოშორებას დედის მუძუსაგან.“ გასკონიაში „**maynatge**“ აღარ ნიშნავდა „ოჯახს“, არამედ „ბავშვს.“ სიტყვა „**bade**“ აღარ ნიშნავდა „გაშურებას“, არამედ „დაბადებას, ქვეყნად მოვლინებას.“ „**dangier**“ აღნიშნავდა „ყოვლისშემძლეობას“, შემდეგ კი, ჩრდილოეთში მიიღო ახალი მნიშვნელობა: „სიფრთხილე.“ სიტყვები ასოციაციურად იცვლიდნენ მნიშვნელობას; მაგალითად: „**vasselage**“ ჯერ „ვასალურ დამოკიდებულებას“ ნიშნავდა, შემდეგ კი „სიმაძაცეს.“ იმ დროს, ორივე ენისათვის, როგორც ძვ. ფრანგულიათვის, ასევე პროვანსალურიათვის, დამახასიათებელი იყო სიტყვებისათვის მეტაფორული მნიშვნელობების მინიჭება: „**chat**“ — უწოდებდნენ ერთგვარ საბრძოლო მანქანას, კატასთან მსგავსების გამო. „**cais**“ ლათინურად ნიშნავდა „პირს“, შემდეგ კი — „ყუთს, ბადეს.“

ძვ. ფრანგულში “mesel” = “miselum” ნიშნავდა „უბედურს,“ ასევე უწოდებდნენ „კეთიროვანსაც,“ ვინაიდან ამ დაავადებას, როგორც უბედურებას, ისე აღიქვამდნენ. სიტყვა „image“ თავდაპირველად ნიშნავდა „წმინდანთა ქანდაკებას,“ შემდეგ კი შეიძინა ახალი მნიშვნელობა „ღირსეული.“

ზმნა. ძვ. ფრანგულ ენაში ზმნას აქვს სამი ჯგუფი; I ჯგ. -ის ზმნები პოლოდებდა -er-ზე; II ჯგ. -ის ზმნების დაბოლოებაა -ir, ხოლო III ჯგ. -ის ზმნებისა – oir, re. პროვანსალურში კი ზმნის შემდეგი დაბოლოებებია: ar – I ჯგუფის ზმნებისათვის; ir – II ჯგუფის ზმნებისათვის; და ér, re – III ჯგუფის ზმნებისათვის. თემცა, გვხვდება ზმნები, რომელთა დაბოლოებაც არის ier; მაგალითად: **cerchier** – წრის შემორტყმა; **laissier** – დატოვება. თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ საწყისი ფორმები, შემდეგ კი ძვ. ფრანგულში დამკვიდრდა დაბოლოებები, რომლებიც ქვემოთ არის ნაჩვენები:

I ჯგუფის ზმნა **chanter** - სიმღერა თხრობითი კილოს აწყობა დროში:

მხ.რ.:	მრ.რ.:
chant	chant-ons ან - iens
(დაბოლოება არ აქვს) - ემღერო	
chanz	chant-ez
chante(t)	chant-ent
(ეს t გაქრა XI საუკუნის ბოლოს).	

II და III ჯგუფის ზმნები ასე იუღლებოდა:
(ზმნა „vendre - გაყიდვა“)

vende - ვყიდი	vend-ons
vendes	vend-ez
vende	vend-ent

იმავე ზმნების უღლება პროვანსალურად:

can(t) - ვძლერი	cant-am
cant-as	cant-atz
cant-a	cant-an

ven(t) - ვყიდი	vend-em
venz	vend-etz
ven(t)	vend-on

მრ.რ. – ის I პირში, დაბოლოება **ons** – ის ნაცვლად ნორმანდიაში იყო **om**, ხოლო შამპანის რეგიონში – **omes**. ე.ი. თუ თანამედროვე ფრანგულში გვაქვს ფორმები: **faisons, disons, sommes, êtes**, ძვ. ფრანგულში გვქონდა: **faimes, dimes, somes, estes**. მრ. რ. – ის II პირის დაბოლოება **ez** – ის ნაცვლად ჩრდილოეთში იყო **eiz, etis, oiz**. ეს ფორმები არსებობდა მხოლოდ XIII საუკუნემდე. XIII საუკუნის შემდეგ ზმნებმა დაბოლოებები შეიცვალა და ძვ. ფრანგულში, თხრობითი კილოს აწმყო დროში მევიღეთ შემდეგი ფორმები:

chant-e	chant-ons
chant-es	chant-ez
chant-e	chant-ent

პროვანსალურში:

can(t)	cant-em
cantz	cant-etz
can(t)	cant-en

vend-a	vend-am
vend-as	vend-atz
vend-a	vend-an

paroles – ლაპარაკობ; parlez – ლაპარაკობთ;

პროვანსალურში კი გვქონდა: muers – კედები; moretz – კედებით.

საინტერესოა ზმნებისაგან მიმღეობების წარმოება: ძვ. ფრანგულში მიმღეობები ბოლოვდებოდა: e, i, u – ზე: **vengie-e**; პროვანსალურში კი: **at, it, ut; conogut** – ცნობილი; **agut** – მქონე; **reccubut** – მიღებული. ძვ. ფრანგულში გვხვდება **s, t** – ზე დაბოლოებული მიმღეობები: **clos** – დაკეტილი; **mis** – მიღებული; **pris** – აღებული; **remes** – დატოვებული; (ზოგან ვხვდებით ფორმას: **remanoit** – დატოვებული); **fait** – გაკეთებული; **dit** – ნათქვანი; **escrit** – დაწერილი; **mort** – მკვდარი; **overt** – ღია; **joit** – მიმაგრებული. პროვანსალურშიც იათქმის იგივე ფორმებს ვხვდებით **remas; pres; mes=mis; responsum** – პასუხგაცემული; **dit** – [dich]; **fait** – [fach]; **vist, vczut, vegut** – არის ზმნის „ზედა“ – „**vezer**“ მიმღეობა.

არსებითი სახელი. გალიაში არც ისე მკაცრად ხდებოდა არსებითი სახელების კლასიფიკაცია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ესპანეთსა და იტალიაში. ძველფრანგულსა და პროვანსალურ ენებში განასხვავებდნენ არსებითი სახელის მამრობით და მდედრობით სქესს; მაგალითად: ძვ. ფრანგულში იყო: **murus** – კედელი (მამრ.სქ.); **porta** – კარი (მდ.სქ.). არს. სახ. ბრუნების მიხედვით იცვლიდა ფორმას: ორივე ენაში, მამრ. სქესის სიტყვებს, მხ. რ.-ში, სუბიექტურ ანუ ქვემდებარის პოზიციაში გააჩნდა შემდეგი ფორმები: **murs, murus**; ობიექტურში კი – **mur, murum**; მრრიცხვში სუბიექტურში – **mur, muri**; ობიექტურში – **murs, muros**. ძვ. ფრანგულში, მდედრობითი სქესის სიტყვებს მხ.რიცხვში, სუბიექტურ და ობიექტურ პოზიციაში გააჩნდა ფორმა: **porte**; მრ.რ.-ში **portes**; პროვანსალურში, მხ.რ.-ში – **porta, portam**; მრ.რ.-ში – **portas**. თუმცა, ორივე ენაში არსებობდა სიტყვები, რომლებიც არ იბრუნებოდა; ესენია: 1. ძველი ლათინური უნის სამუალო სქესის სიტყვებისაგან წარმოებული მამრობითი სქესის სიტყვები,

როგორცაა, მაგალითად: „**corpus**” - ისაგან მიღებული „**cors**,” (გვხვდება ძველ ფრანგულშიც და პროვანსალურშიც). 2. ლათინური წარმოშობის მდევრობითი და მამრობითი სქესის სიტყვები, რომელთა ფუძეც **s** -ზე ან **c + e, i** -ზე მთავრდება: „**mensem**” - ისაგან მიღებული „**mois**”; „**brachium**” - ისაგან მიღებული „**bras**” (ძვ. ფრანგულად); „**mes**”, „**bratz**” - პროვანსალურად. 3. ზოგიერთი ნაზმნარი არს. სახ.; მაგ.: „**csforcier**” - ისაგან მიღებული ძვ. ფრანგული სიტყვა: „**esforz**” - ძალისხმევა, რომლისაგანაც შემდგომში შეიქმნა ობიექტური ბრუნვის ფორმა: „**esfort**.” ბრუნვის ფორმები ენიდან საკმაოდ ადრე გაქრა, განსაკუთრებით კი სამხრეთში. შემორჩა მხოლოდ ლიმუზენის რეგიონში ტრუბადურების წყალობით. გასკონიაში ეს მოვლენა საერთოდ არ არსებობდა, რაზეც მეტყველებს ამ რეგიონში შექმნილი უძველესი დოკუმენტი. ლანგედოკის სამხრეთ-დასავლეთით და გასკონიის აღმოსავლეთ ნაწილში საკმაოდ ადრე გაჩნდა **s**-ზე დასრულებული არაბრუნებადი არსებითი სახელები: **nostre mas** - ჩვენი სახლი; **nostre mases** - ჩვენი სახლები. როგორც ვხედავთ, **s**-ზე დასრულებულ არს. სახელს მრავლობით რიცხვში მიუმატა **es**. იგივე მოვლენა ფიქსირდება XII საუკუნეში სამხრეთშიც: **cors** - **corses** - სხული, ტანი; **bras** - **brasses** - მკლავი; **mes** - **meses** - თვე. საინტერესოა, რომ მრავლობითი რიცხვის ამგვარ ფორმებს ვხვდებით ძვ. კატალონურშიც: **brasses**, რომლებიც XV საუკუნეში, კასტილიური ენის ზგავლენით შეიცვალა: **brasses** გახდა **brassos**.

ზედსართავი სახელი. ძვ. ფრანგულსა და პროვანსალურში ზედსართავ სახელს აქვს მამრ. და მდ. სქესი და ისევე იბრუნება, როგორც არსებითი სახელი. მაგალითად: ძვ. ფრანგულში გვქონდა: **bons** - კარგი (მამრ. სქ. მხ. რ.); **bon, bone** (მდ. სქ.). **forz, fort** - ძლიერი (ორივე სქესისათვის); პროვანსალურში: **bons, bon** (მამრ. სქ.), **bona** (მდ. სქ.); **fortz, fort** (ორივე სქესისათვის). საშუალო სქესი შემორჩენილია მხოლოდ ასეთ

ფრანგებში: „cist livres est escriz” – “ეს წიგნები დაწერილია...”
 ლანგედოკის რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში
 მამრობითი სქესში, მრავლობით რიცხვში, სუბიექტურ ბრუნვაში
 სახელები ძირითადად ბოლოვდებოდა **i** – ზე: **aquesti** - ესენი;
autri - სხვები; **escriuti** - დაწერილი; **efanti** - ბავშვები; **lifrairi** -
 ძმები. მოგვიანებით ეს ფორმები შეიცვალა; მაგალითად: **aqueli**.
 დროთა განმავლობაში II კლასის ზედსართავებმა I კლასში
 გადაინაცვლეს; მაგალითად: ძვ. ფრანგული **cortois**, **cortois**
 და პროვანსალური **cortes**, **corteza**. როგორც ძვ. ფრანგულში,
 ასევე პროვანსალურშიც ფონეტიკური წესების მიხედვით ძირდა
 მამრ. და მდედრ. სქესის ზედსართავი სახელების დაბოლოების
 შეცვლა: **chaut** – **chaude** - ცხელი; **bas** – **basse** - დაბალი; **nuef** –
nueve - ახალი; **chauf** – **chauve** – მელოტი; **sec** – **seche** –
 მშრალი; **larc** – **larga** – განიერი; ძვ. ფრანგულში არსებობდა
 ზედსართავები, რომლებიც ორივე სქესისათვის ერთი იყო: **large** –
 განიერი, **roide** – სწრაფი. გალიის ენებში ზედსართავ სახელს
 ჰქონდა 4 შედარებითი ხარისხი: **mieudre** – უკეთესი; **meillor** –
 უარესი; **peior**, **maire** – მეტი; **maior**, **meindre** – ნაკლები;
joindre – უმცროსი; ვხვდებით ობიექტური ბრუნვის ამგვარ
 ფორმებს: **halzor** – უფრო მაღალი; **forzor** - უფრო ძლიერი.
 ძალიან იშვიათად ვხვდებით აღმატებითი ხარისხის ფორმებს:
grandisme – დიდებული; **hautisme** – უმაღლესი.

რიცხვითი სახელი. გალიის ენებში პირველ ორ თველად
 რიცხვით სახელს განასხვავებდნენ სქესის მიხედვით;
 ძვ. ფრანგულში იყო: **un**, **une**, **uns**, **doi**, **dous**, **doues**;
 პროვანსალურში კი: **u(n)s**, **u(n)**, **una**, **dui**, **dos**, **doas**.
 მსიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ფრანგულისაგან
 განსხვავებით, ძვ. ფრანგულსა და პროვანსალურ ენებში
 წყვილი არსებითი სახელები მრავლობით რიცხვში ჩანსისას
 პირდაპირ მიიწერდნენ მრავლობითობის აღმნიშვნელ **s**-ს;
 მაგალითად, **unes levres** – ტუჩები; **unes fourches** - ჩანგლები
 (ძვ. ფრანგული); **unas sabatas** – ჩექმები (პროვანსალური).

დანარჩენი რიცხვითი სახელები კი ასე გამოიყურებოდა:

ძვ. ფრანგული:	პროვანსალური:
trois = troi,	tres = trei
quatre	quatre
cinc	cinc
sis	seis
set	set
uit	och = ueit
nuef	nou
dis	dctz
onze	onzc

არსებობდა რთული ზედსართავების ასეთი ფორმები: **soissante-dis, quatre-vint, quatre-vint-dis, cent, dous cens, mil, milie** (ძვ. ფრანგულში); **cent, dozent, trezent, quatre cens, mil, dos milia** (პროვანსალურში). XVII საუკუნეში კი გაჩნდა ეს ფორმები: **septante - 70, nonante - 80, octante - 90**. რაც შეეხება რიგობით რიცხვით სახელებს, არსებობდა მათი ამგვარი ფორმები: **prim = premier - პირველი, secont = altre - მეორე, tierz - მესამე, quart - მეოთხე, quint - მესხუთე, siste - მეექვსე, semte - მეშვიდე, uitme - მერვე, nuefme - მეცხრე, disme - მათე**. ამავედროულად, გვხვდება „**isme**” და „**iesme**” სუფიქსებით წარმოებული რიგობითი რიცხვითი სახელებიც, გარდა „პირველისა“: **deusisme, troisisme; deusiesme -** საიდანაც შემდგომში მივიღეთ თანამედროვე „**deuxième**”.

ნაცვალსახელი. გალიის ენებში მოხდა მახვილიანი და უმახვილო პირის ნაცვალსახელების შერევა. I და II პირის ნაცვალსახელებს არ გააჩნდათ მიცემით ბრუნვაში განსაკუთრებული ფორმები. ძვ. ფრანგულში მხ. რ. - ის I პირის ნაც. სახ. სუბიექტურ ბრუნვაში იყო **gie, je**, საიდანაც თანამედროვე ფრანგულში მივიღეთ **je**. ჩრდ. აღმოსავლეთის

დიალექტებში კი — **jo, jou**. პროვანსალურში იყო **eu, ieu**. მხ.რ II პირის ნაცვალსახელები ყველგან იყო **tu**. ობიექტური ბრუნვის მახვილიანი ფორმები ძვ. ფრანგულში, ჩრდილოეთში იყო: **moi, tei, soi**. აღმ. — ში კი: **mi, ti, si**; დას.-ში: **mi, tu, si** — უმახვილო ფორმები კი იყო: **me, te, se**. მთელს საფრანგეთში, მრავლობითი რიცხვის I და II პირში, სუბიექტურ და ობიექტურ ბრუნვაში გამოიყენებოდა: **nos, vos**. XII საუკუნიდან კი ძვ. ფრანგულში გაჩნდა უმახვილო ფორმები: **nous, vous**. სართულეს წარმოადგენდა III პირის ნაც.სახელები; ძვ. ფრანგულში, მხ.რ — ში, III პირში, სუბიექტურ ბრუნვაში იყო: **il** — მამრ. სქ. — ში და **ele** — მდ. სქ. — ში; მრ.რ.- ში: თავდაპირველად: **il**; XIV საუკუნიდან კი: **ils, eles**. პროვანსალურში, მხ.რ.- ში: **el, elh** აგრეთვე **il, ilh**; მრავლობით რიცხვში: **il, ilh, ela, elha, elas**. ძვ. ფრანგულში, თანდებულების შემდეგ მხ.რ. — ის ნაცვალსახელები: **el, el** იცვლებოდა მიცემითი ბრუნვის ფორმებით: **lui, li**. პროვანსალურში კი **el, elh** — ის ნაცვლად გამოიყენებოდა **lui, liei**. მრავლობით რიცხვში კი ორივე ენა იყენებდა **lor**, საიდანაც XIII საუკუნეში, ჩრდ.-ში გაჩნდა **leur**. ობიექტური ბრუნვის უმახვილო ფორმები იყო: — ძვ. ფრანგულში: **lc, la, les**; — პროვანსალურში: **lo, la, los, las**. მიცემით ბრუნვაში გაჩნდა **li = illi**, რომელიც XIV საუკუნეში შეერია **lui** —ს და ის მუდამ ზმნის წინ გამოიყენებოდა და არასოდეს — თანდებულის შემდეგ. ამ ეპოქაში გაქრა მდ. სქ. — ის ნაცვალსახელის ფორმა **li**; შენარჩუნდა მხოლოდ და მხოლოდ იმ რეგიონების დიალექტებში, სადაც **ei** არ გადავიდა **i** — ში (ვალონა, ლოტარინგია, ნორმანდია, პუატუ). ლიტერატურულ ენაში, ორივე ენა: ძვ. ფრანგულიცა და პროვანსალურიც, მიცემითი ბრუნვის მრავლობით რიცხვში იყენებდა ფორმას **lor**. რაც შეეხება პირდაპირ დამატებას **o = hoc**, რომელიც სამუალო სქესს გამოხატაუდა, ჩრდილოეთში ადრევე გაქრა ხმარებიდან, ცოტა უფრო დიდხანს შემორჩა სამხრეთში.

საინტერესოა უმახვილო პირის ნაცვალსახელების წაკითხვის

წესი: ჯერ კიდევ XII საუკუნეში, ნაცვალსახელები: **me, te, se, lo, le, les**, (თუმცა არა **la**), ჩამოიშორებდნენ ხოლმე ბოლო ხმოვანს ამ სიტყვების შემდეგ: **ne, si, se, jo, je, qui, que, ja, co**: „**Se-l pois trover**“ – „სუ შევძელი მისი პოვნა“; „**Ne-s puet tenir sages ne fous**“ – „ის არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო არც ჭკვიანად და არც ბრძვად.“ შემდეგში კი გამოსაყენებოდა მხოლოდ რაული ფორმები: **nel, sil, jel, nes, jes**. თუმცა, XIII საუკუნის ბოლოს ეს ფორმებიც გაქრა. სამხრეთში არსებობდა პირის ნაც. სახ. - ის – **me, te, se, mi, ti, si** – ს რედუცირებული ფორმები: **m, t, s**; აგრეთვე: **nos, vos, lo, li, los** – ს რედუცირებული ფორმები: **ns, us, l, lh, ls**; მაგალითად: „**Nons auriaz meiltz gazainatz**“ – „თქვენ ვერ შესძლებდით ჩვენზე უკეთესად გამარჯვებას;“ „**Sobetz per que-lh port amor tan coral?**“ – „იცით, ვისდამი აქვს მას ასეთი დიდი სიყვარული?“ რედუცირების მსგავსი მოვლენები ბევრნულ დიალექტში დღემდე არსებობს. ძველ პროვანსალურში, ძველი ფრანგული საგან განსხვავებით, მრავალმარცვლიან სიტყვებში ხშირად ვხვდებით სიტყვის ბოლო მარცვლის რედუცირების შემთხვევებს: „**Membre-t del gan**“ – „გახსოვდეს ხელათმანი, ე.ი. ღუელი; „**E mala mortz de vida-l trai**“ – „ვერაგი სიკვდილი გამოასალმებს მას სიცოცხლეს.“ რაც შეეხება კუთვნილებით ნაც. სახელებს, მათაც გააჩნდათ მახვილიანი და უმახვილო ფორმები. ძველ ფრანგულში გვექონდა კუთვნილებითი ნაცვალსახელების შემდეგი ფორმები: **miens, tuens, suens** – მხ.რ. (ჩემი, შენი, მისი); **moie, toe, soe**, რომელიც XIII საუკუნეში გახდა: **moie, teue, seue = toie, soie**. პროვანსალურში კი იყო: **mieus, mieu, mia, mias**. მრავლობით რიცხვში კი გვექონდა: - ძვ. ფრანგულში: **nostre, vostre** და არაბრუნებადი **lor**. არსებითი სახელის წინ ეს ნაცვალსახელებიც რედუცირდებოდნენ: **nosts, vosts**, საიდანაც შემდეგ პიკარდიაში შეიქმნა ფორმები: **no, vo**; ისინი, ზოგჯერ, არსებითი სახელის ფუნქციითაც გამოიყენებოდა: „**Tu n'ies mie des noz**“ – „შენ ჩვენიანი არ ხარ.“ პროვანსალურშიც არსებობდა ბრუნებადი ფორმები: **nostres, nostra, vestres**

და არაბრუნებადი ფორმები: **lor, lur**, რომლებიც გაქრა ხმარებიდან. შემდგომში კი მოხელს საფრანგეთში დამკვიდრდა ობიექტური ბრუნვის შემდეგი ფორმები: **noutron, voutron = nostron, vostron**.

ჩვეულებითი ნაცვალსახელები ორივე ენაში ადრეულ ხანაში არსებობდა. სამხრეთში იყო მარტივი ფორმები: **est, esta, eis, eissa**; და რთული ფორმები: **ecce-iste, ecce-ille**, რომლებიც ბრუნებისას კარგავენ პირველ მარცვალს: **cist, cis, cest, cez, ceste, cesti, cestes**. საბოლოოდ კი ვიღებთ რედუცირებულ ფორმას: **ce** – თანხმოვანზე დაწყებული არსებითი სახელის წინ. სამხრეთშიცა და ჩრდილოეთშიც ეხვდებით ფორმებს: **cest, cist, cetz, cesta, cestas, cel, cil, cels, cela, celas**. ძვ. ფრანგულში ეხვდებით ამგვარ ფორმებს: „**ce senefie**” – “ეს ნიშნავს;” „**se me plaist**” – “ეს მე მომწონს;” პროვანსალურში: „**so-m platz**.” II – ნაცვალსახელი გამოიყენებოდა უპირო გამოთქმებში: **il me plaist** – მომწონს; **il apert** – როგორც ჩანს; **il ajorne** – თენდება. გალიის ენებში არსებობდა მიმართებითი ნაც. სახ. – ის სხვადასხვა ფორმები. ძვ. ფრანგულშიცა და პროვანსალურშიც გვქონდა სუბიექტური ბრუნვის **qui** და ობიექტური ბრუნვის ფორმები **que, cui**. თუმცა, პროვანსალურში **que** სუბიექტურ ბრუნვაშიც გამოიყენებოდა: „**Om qe sempre vol fugir**” – “ადამიანი, რომელსაც სულ სიარბილი უნდა.” ფართო გამოყენება ქქონდა, განსაკუთრებით ჩრდილოეთში, ნაცვალსახელს **dont**, რომელსაც იგივე მნიშვნელობა ქქონდა, რაც **li quels = li quieus** (ძვ. ფრანგულში) და **lo quals** (პროვანსალურში). ბოლოს კი სამხრეთში დამკვიდრდა ფორმები: **quin = quinh** (მამრ.სქ.) და **quina = quinha** (მდ.სქ.). უპირო ნაც. სახ. – დან ძვ. ფრანგულში გვხვდება **un** – რომელიდაც; **autre** – სხვა; **quel que** – ზოგიერთი; **aucun** – არცერთი; **chascun = cheun** – ყოველი; **tel** – ისეთი; **nesun** – არავინ; **rien** – არაფერი; რომელთა პროვანსალური შესატყვისებიცაა: **altre, qual que, alcu, caesu, cadau, cade, quisque, quees, tal, neisu, negu, re, nulha**. მაგალითად: „**Per nulha ren que-usdiga**” – “ოდონდ მან

თქვენ ეს არ გითხრათ.

წინადადება. წინადადების აგებულება. როგორც ძვ. ფრანგულში, ასევე პროვანსალურში ზედსართავ სახელს არსებითი სახელის შემდეგ ათავსებდნენ; მაგალითად, XIII საუკუნეში იყო: „**Une robe noire.**“ მხოლოდ დიალექტებში თუ შევხვდებით „**Une noire robe.**“ ძვ. ფრანგულსა და პროვანსალურ ენებში არსებით სახელსა და ზედსართავ სახელს შორის თავსდებოდა „**de**“: „**Mon las de cuer**“ – „ჩემი უბედური გული;“ „**Sa vieille de mere**“ – „მისი მოხუცებული დედა“ (ძვ. ფრანგული); „**Praube de mi**“ – „მე – პატიოსანი,“ – რაც შემდეგ იქცა: „**preudome, prud'homme**“ – „პატიოსანი კაცი“; „**prodis**“ – პატიოსანი, „**homme**“ – „კაცი“; „**de**“ – სიყვებდნენ როდენობის აღსანიშნავად: „**molt de terres**“ – „ბევრი მიწა;“ „**mantas de manieras**“ – „მრავალი საშუალება.“ თუქცა, დროთა განმავლობაში ეს **de** გაქრა ხმარებიდან და ამბობდნენ: „**gaire companhos**“ – „ბევრი მეგობარი.“ ძვ. ფრანგულსაცა და პროვანსალურშიც ჰქონდათ პირდაპირგარდამავალი ზმნები: **livrer bataille** – ბრძოლის დაწყება; **prendre congie-** დაშვებობა; **doner sentence** – ვაჩაჩენის გამოტანა; (ძვ. ფრანგული): **portar escut** – იყო შეიარაღებული; **passar mar** – ზღვის გადალახვა; **aver paraulas** – წაკამათება; **metre alas** – გასაცურად მოშხადება; საინტერესოა ის, რომ აბსტრაქტული არსებითი სახელების წინ არ იყენებდნენ არტიკლს; ძვ. ფრანგულში: **fortune** – ბედნიერება, **orgueil** – ამპარტავნება, **felonie** – დაუნდობლობა, **desconfort** – მწუხარება, **povrete** – სიღარიბე. პროვანსალურში: **amors** – სიყვარული; **joi** – სიხარული; **ira** – რისხვა, მრისხანება; ამგვარ სიტყვებს ვხვდებით გამონათქვამებში: „**Pechiez est ordure** – ცოდვა სირცხვილია;“ მართალია, უარტიკლოდ ამბობდნენ ზოგად ფრაზას: „**folie est male chose,**“ მაგრამ, როდესაც კონკრეტული ადამიანის თვისებაზე იყო საუბარი, ამ შემთხვევაში, აბსტრაქტული სახელის წინ სვამდნენ არტიკლს: „**La folie**

Tristan. არტიკლი არასოდეს გამოიყენებოდა საკუთარ და ეროვნების აღმნიშვნელი არსებითი სახელების წინ: **Paris, Rome, Grece, Egipte, Seine, Francois** (ფრანგი), **Anglois** (ინგლისელი), **Catalan** (კატალონელი). ამავედროულად, უარტიკლოდ გამოიყენებოდა ისეთი არსებითი სახელებიც, რომლებიც ერთადერთია დედამისწახე: **paradis** – სამოთხე, **enfer** – ჯოჯოხეთი, **jour** – დღე, **nuît** – ღამე, **soleil** – მზე. ძველ ფრანგულსათვისაც და პროვანსალურისათვისაც დამახასიათებელი იყო **de** ან **a** წინდებულებით ან მათ გარეშე ამგვარი ფრაზების გამართვა: „**La fille du roi,**“ „**la fille au roi**“ და „**la fille le roi**“ – “მეფის ასული;“ „**filha a l'emperador**“ – “იმპერატორის ასული.“ წინდებული **a** გამოიყენებოდა ადამიანის თვისების გამოსახატავად: „**la fille au cler vis**“ – გონებაგახსნილი გოგონა. თანამედროვე ფრანგულში კი ამ წინდებულს ვიყენებთ საგნის დასახასიათებლად: „**panier à anse**“ – სახელურიანი კალათი; „**fruit à noyau**“ – “კურკიანი ხილი.“ ძველ ფრანგულშიცა და პროვანსალურშიც, როდესაც ქვემდებარე შეიცავდა სიტყვას „**tout**“ – ყველა, მთელი, ამ შემთხვევაში შემასმენელი მრ. რ.- ში ჩაისმებოდა: „**Toute la poissance deu soudan se logierent su le flum**“ - “სულთანმა მთელი ძალები მდინარეზე განალაგა;“ მაშინ როდესაც თანამედროვე ფრანგულში ამ შემთხვევაში შემასმენელი აუცილებლად მხ. რიცხვში უნდა იყოს. თუმცა თანამედროვე ფრანგულში შემორჩა ძველი წესი სიტყვა „**plupart**“-თან მიმართებაში: როდესაც ეს სიტყვა წინადადებაში ქვემდებარის როლშია, შემასმენელი ყოველთვის მრავლობით რიცხვში უნდა იყოს: „**La plupart de mes amis habitent en France.**“ ჩრდილოეთ საფრანგეთში არსებობდა განუსაზღვრელი ნაცვალსახელი, რომელიც წინადადებაში ქვემდებარის როლს ასრულებდა: „**On croit;**“ „**On dit.**“ ადრეულ ხანებში ნაცვალსახელი „**on**“ გამოიყენებოდა „**home** – კაცი“-ს მნიშვნელობით. ტრუბადურები „**home**“-ს ნაცვლად წერდნენ „**om.**“ პროვანსალურ ენაში ქალის საკუთარი სახელის წინ

იყენებდნენ „domina“-ს შემოკლებულ ფორმას „na;“ ხოლო
 კაცის სახელის წინ: „dominus“ – ის შემოკლებულ ფორმას:
 „en“: **na Faidida; en Guilhem.** თუ თავდაპირველად ამ
 წინადადებაში: „**bone chose est de pais**“, **de pais** – იყო
 დამატება, შემდგომში, ის გახდა ქვემდებარე; **bone chose** – კი
 შემასხმენელი. ასეთი აგებულების ფრაზები ხშირად
 გამოიყენებოდა ძვ. ფრანგულში: „**Mout est male chose d'envie**“
 – “შური დიდი ბოროტებაა;” „**Laide chose est de mentir**“ –
 “ტყუელი საშინელებაა;” „**Granz folie seroit de le croire**“ – “დიდი
 სისულელე იქნებოდა ამის დაჯერება.” ძველ ფრანგულშიცა
 და პროვანსალურშიც პირდაპირ დამატებას წინ უძღვოდა
 წინდებული **a**: „**Charlon elistrent a roi**“ – “კარლოსი აირჩიეს
 მეფედ;” „**No-l volg a senor**“ – “სენიორად აღიარება არ
 მოისურვეს.” ძვ. ფრანგულში არსებობდა დროის აღმნიშვნელი
 ზმნიზედები: **tantost** – მალე, **aussitot** – ახლა, **plutost** – სწრაფად,
bientost – **male.** ამავდროულად, დროის აღსანიშნავად
 გამოიყენებოდა მიუღი რიგი ფრაზები: **long tens** – დიდხანს;
d'or en avant – ამიერიდან; **d'ist di en avant** – დღეიდან; **des**
or mes – ამიერიდან (საიდანაც თანამედროვე ფრანგულში
 მივიღეთ „**desormais.**“ **n'a gaires** – ახლახანს; **jadis = ja a dis**
 – არასდროს (რაც თანამედროვე ფრანგულში ნიშნავს
 „ოდესღაც.“ რაც შეეხება ადგილის ზმნიზედებს, ძვ. ფრანგულში
 ვხვდებით მათ შემდეგ ფორმებს: **cele part** – აქ; **nul lieu** –
 არსად; **dedenz** – შიგნით, რომლის თანამედროვე ფორმაა
dedan; **dessuz** – ზემოთ; **dessoz** – ქვემოთ. ძვ. ფრანგულში
 არსებობდა ამგვარი ფორმის ვითარების ზმნიზედები,
 რომლებსაც ძირითადად მოქმედების ტემპის აღსანიშნავად
 გამოიყენებდნენ: **son petit pas s'en torne** – ნელ-ნელა
 სცილდება; **aler grant erre** – ძალიან სწრაფად გაჭენება; **aler**
les galos et les sauz – მიუღი ძალით გაქროლება; თანამედროვე
 ფრანგულში კი გვაქვს: **marcher bon pas** – სწრაფად სიარული;
aller grand train – გაქროლება. ძვ. ფრანგულში ვხვდებით
 აგრეთვე განსაკუთრებული ფიზიკური მდგომარეობის

გამოსხატველ ზმნიზედებს, როგორცაა, მაგალითად: **jointes les mains** – გადაჯვარედინებული ხელებით; პროვანსალურში: **totz nus pes** – ფეხშიშველი; გერუნდივი შეიძლება იყოს წარმოებინათ როგორც **en** წინდებულით, ასევე მის გარეშე: „**Morons combatant – morons en combatant**” – დავიბადებით რა, მოეკედებით. ზოგჯერ, როგორც სამხრეთში, ასევე ჩრდილოეთში, გერუნდივი იცვლებოდა ინფინიტივით: „**Sueffrent poine dure en amasseir un pou d’argent**” – ცოტა ფულის მოსაპოვებლად ძალიან ირჯებიან. ინფინიტივური ფორმები განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა დროის გარემოების როლში: - პროვანსალურში: **a l’entrer en la barbacane** – სასაკლარზე შესვლისას; ზმნა „**être**” გამოიყენებოდა დამხმარე ზმნად წარსულში მომხდარი დასრულებული მოქმედების გამოსახატავად: - ძვ. ფრანგულში: **il est alez** – ის წავიდა; **il est venuz** – ის მოვიდა, **il est coruz** – მან გაირბინა, **il est fuiz** – ის გაიქცა, **il est desjeunez** – მას ისაუზმა, **il est periz** – ის გარდაიცვალა; პროვანსალურში: **es escapatz** – ის დაიშალა; **son corregut** – ისინი გაიქცნენ; **il est esloigniez = il s’est esloigniez** – ის დაშორდა; დამხმარე ზმნად გამოიყენებოდა აგრეთვე „**avoir**”: **il a ceinte l’espee** – ხმალი წელზე შემოირტყა. ძვ. ფრანგულში ვხვდებით ფორმებს: ზმნა „**etre**” + მიმდებარე: **Charles qui est as porz passanz** – უღელტეხილზე მიმავალი კარლი; ზმნა „**aller**” + გერუნდივი: **il va chantant** – ის მღერის. უახლოეს წარსულში მომხდარი მოქმედების გამოსახატავად არსებობდა ფორმა: **il vient de morir** – ეს ეს არის გარდაიცვალა; რაც შეესატყვისება თანამედროვე ფრანგულში არსებულ გრამატიკულ დროს „**Passe immediat = passe recent.**” აქვე ვხვდებით თანამედროვე „**Futur immediat = Futur proche**”-ის ძველ შესატყვისს: **il va repondre**; ზმნა „**veoir**”-ისაგან წარმოიშვა ადგილის ეს ზმნიზედები: **voi ci, voi la, veez ci, veez la.** საინტერესოა, კავშირის **mais** თავდაპირველი მნიშვნელობა; ის ძვ. ფრანგულშიც და პროვანსალურშიც ნიშნავდა „მეტი;“ მაგ.: – ძველ

ფრანგულში: **Nen avras mais guarrantisum** – მეტი დაუალება აღარ გექნება; **De son tens n'i ad mais** – მას მეტი ღრო აღარ აქვს. – პროვანსალურში: **No-opuesc mais** – მეტი აღარ შემოძლია. დროის აღმნიშვნელი კავშირები იყო ძვ. ფრანგულში: **quant** – როცა; **endementes que** – მაშინ როცა; **entrues que** – ჯერ კიდევ; **des que** – იქიდან მოყოლებული; **ainz que** – ვიდრე, ხანამ; **puis que** – მას შემდეგ რაც; პროვანსალურში: **quan, quora, mentre que, tro que, des que**. ძვ. ფრანგულში: **por ce que** – იმიტომ რომ; პროვანსალურში: **per que, quar, per so quar**. ძვ. ფრანგულში გვქონდა კავშირი **se**; პროვანსალურში: **se, si** – თუ, ისე; მაგალითად: „**Si lo veson aucire, ren non desiran tant**“ – არაფერი სურთ მათ ისე, როგორც მისი სიკვდილი. „**Si-m volgues amie apellar, enquer pogra mon sen cobrar**“ – მას რომ მოესურვებინა და თავის მეგობრად ველიარებინე, იქნებ მეც დამჯდომოდა ეს ჭკუაში.“ კითხვითი ფორმის წარმოება ხდებოდა ქვემდებარისა და შემასხმნლის ინვერსიის საშუალებით **viens-tu? est ta mère morte?** ალტერნატიულ შეკითხვებში კი გვქონდა ასეთი ფორმები: **Vont-il le pas o il s'en fuirnt?** – ისინი მოდიან თუ გარბიან? **Qu' est ce que tu dis?** – რას ამბობ? საინტერესოა შეკითხვაზე უარყოფითი პასუხის ფორმების წარმოებაც: **Es tu liez?** – გახარებული ხარ? – **Si sui.** – კი ვარ; **Non, sui.** – არა, არ ვარ. **Or m'amez vos?** – გიყვარვართ მე? **Si faz** – კი. **Non faz** – არა.

საშუაღფრანგულიდან (1300-1600წ.) თანამედროვე ფრანგულ ენამდე. ლუდოვიკო XI-ის მეფობიდან დაწყებული (XVს) გაერთიანებული საფრანგეთი ევროპაში დიდ პოლიტიკურ როლს ასრულებს. მას ხელი შეუწყო იტალიურმა ომებმა და ფრანსუა I-ის ბრძოლამ ავსტრიის კარის წინააღმდეგ. რელიგიური ომების შემდეგ, XVI-ის მეორე ნახევარში ანრი IV-ემ (1553-1610) განამტკიცა სამეფო ტახტი, ხოლო რიშელიეს და ლუდოვიკო XIVს-ის პოლიტიკამ უზრუნველყო საფრანგეთის

საზღვრების სიმტკიცე. XVIII-ის ფილოსოფიურმა და სოციალურმა მოძრაობებმა ხელი შეუწყო ფრანგული ენისა და იდეების გავრცელებას ევროპაში. XV-ში, ფრანგული ენა, რომელიც წარმოიქმნა ფრანსილიური ანუ პარიზული დიალექტიდან, გაერცელდა სამეფო კარზე. იგი განთავისუფლდა პროვინციული დიალექტებისაგან და განიცადა მთელი რიგი ცვლილებები: — დაკარგა ორბრუნვიანი ბრუნების კატეგორია, გამარტივდა ზმნური ფორმები, გაძლიერდა ლათინიზმები და ა.შ. ეს გარდაქმნა გრძელდებოდა მთელი ე.წ. 'საშუალო ფრანგულის' პერიოდში. ენამ თანამედროვე სახე მიიღო მას შემდეგ, რაც ანრი IV-ემ სამეფოში წესრიგის დამყარება შეძლო. ენის დახვეწის საქმეში დიდი როლი ითამაშა 1635 წელს რიშელიეს მიერ დაარსებულმა ფრანგულმა აკადემიამ. XVIII ს-ში ვოლტერი და ფილოსოფოს-გრამატიკოსები ცდილობდნენ ფრანგული ენის დახვეწას, მაგრამ ამის ნაცვლად მათ გააღარიბეს იგი. მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში ფრანგული ლექსიკა მნიშვნელოვნად გაძლიერდა ძირითადად ახალი სიტყვების ხარჯზე, მაგრამ სინტაქსი და შინაგანი სტრუქტურა ნაკლებად განიცდიდა ცვლილებებს.

ბგერები. ა) **ხმოვნები.** თანამედროვე ფრანგულში წარმოქმნილი ცვლილებები არ არის მრავლრიცხოვანი, მაგრამ ზოგიერთ მასიგანს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ენაზე. ეს ცვლილებები მრავლად გვხვდება ე.წ. 'საშუალო ფრანგულის' პერიოდში. მახვილი რჩება იმავე მარცვალზე როგორც ძვ. ფრანგულ და ლათინურ ენებში, მაგრამ ზეპირ მეტყველებაში იგი ეცემა არა სიტყვაზე, არამედ სიტყვათა ჯგუფზე. მაგალითად: **il y avait une fois un vieux roi, qui n'avait pas d'enfants.** ამ წინადადებაში შეიძლება დავსვათ მხოლოდ ხუთი მახვილი. მიუხედავად იმისა, რომ იგი 14 სიტყვისაგან შედგება. შუა საუკუნეების ბოლოდან ცვლილება განიცადეს s-ის წინ მდებარე ხმოვნებმა. ამის შედეგად გ ვახდა უფრო გრძელი **teste - tête** თავი; **q** გადაიქცა გრძელ **o**-დ (**coste-**

côte – ნაპირი) და პირიქით, (**chose-chose** – ნივთი). ეს ნორმები არ ვრცელდებოდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ჩრდილოეთის რეგიონების სხვადასხვა დიალექტებში ხშირად გაივონებლით ძველი ფრანგულის ფორმებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები რომლებიც XVII-ში განიცადა ტრადიციულმა წარმოთქმამ უკავშირდება **e**-ს, **é** დიფთონგ **ie**-დ და **o**-ს ახალ ბგერა **oe**-დ გარდაქმნას. ეს ხმოვნები დახურული ბგერები გახდა სიტყვის ბოლოში და მუხჯი თანხმოვნების წინ, ხოლო ღია, წარმოთქმადი თანხმოვნების წინ. მაგალითად: **bonté** [bõtx] – სიკეთე, მაგრამ **mer** [mer]-ზღვა; **pot** [po]- ქოთანი, **port** [por]-პორტი. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში დამკვიდრებული ეს ცვლილებები არ ვრცელდებოდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. საშუალო ფრანგულის პერიოდში აღინიშნება **er** მარცვლის შეცვლა **ar**-ით, **lerme-larme** (ცრემლი), **echerpe** – **écharpe** – თავშალი და პირიქით **jarbe** – **gerbe** – ძნა; აღსანიშნავია **o**-ს გადასვლა **ou** (**u**) – ში სიტყვის პირველ მარცვალში, რაც არცთუ ხშირად **é** გამოიყენებოდა წერისას. **cosin** – **cousin** – ბიძაშვილი, **doleur** – **douleur** – ტკივილი. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა დიფთონგებმაც; **ie** გახდა **e** XVI საუკუნიდან; **traitier** – **traiter** – მოპყრობა, **vengier** – **vengié** შურისძიება. დიფთონგები **au** (წარმოქმნილი **al**+თანხმოვანი) და **eau** (**e** + თანხმოვანი) საშუალოფრანგულში რედუცირდა ჩვეულებრივ **o**-დ. მაგალითად: **autre** – სხვა, **paume** – ხელისგულს. ანალოგიური ცვლილება განიცადა ტრიფტონგმა **eau**-მ, რომელიც წარმოიქმნა ფორმიდან **el**+თანხმოვანი; მაგალითად: **château** – ციხე-სიმაგრე, **beau**-ლამაზი. მრავალი ცვლილება განიცადა დიფთონგმა **oi**, რომელიც წარმოიქმნა თავისუფალი მახვილიანი **o**-სგან ანდა **o+y**. მას წარმოთქვამდნენ როგორც **[oe]** **[we]**, ხოლო XVI საუკუნიდან წარმოითქმის როგორც **[wa]**. მაგალითად: **noir** – შავი; **croix** – ჯვარი. საინტერესოა ცვლილებები რომელიც ნაზალურმა ხმოვნებმა განიცადა. ხმოვნები **i**, **u** [ü], როგორც სხვა დანარჩენი ხმოვნები ნაზალური გახდა. XVI საუკუნეში გახდა ცხვირისმიერი, ხოლო XVII

საუკუნეში ისინი გადაიქცა ღია ხმოვნებად. მაგალითად: **vin** [vɛ̃] – ღვინო; **prince** [prɛ̃s] – უფლისწული. საშუალო ფრანგულში **n** და **m** სიტყვის ბოლოს და ცხვირისმიერი ხმოვნის შემდეგ აღარ წარმოითქმის. მაგალითად: **bon** [bɔ̃] – კარგი, **vendre** [vɑ̃'dr] გაყიდვა. კლასიკურ პერიოდში უკუ პროცესი მოხდა და ცხვირისმიერი თანხმოვნები **m**, **n**+ხმოვანი კვლავ გადაიქცა ბაგისმიერად და თანხმოვნები კვლავ წარმოითქმის სიტყვებში: **flamme** – აღა, **couronne** – გვირგვინი. თანამედროვე ფრანგულში თავისებური ვოკალიზში გამოიყვანა ერთი **e**-წარმოითქმისას, რომელიც წარმოიშვა ლათინური უმახვილო **a**-გან. XV საუკუნიდან ძველფრანგული სიტყვები **sœur**, **grille**, **chance**, თანამედროვე ფრანგულში გახდა **sœur** – და, **grille** – გისოსი, **chance** – იღბალი. უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ფრანგულ ენის წინადადებაში გვხვდება როელად წარმოსათქმელი თანხმოვნების შეხამება, რასაც ლათინური ენა გაურბოდა. ეს საკმაოდ რთული პროცესია. ის ვინც კარგად მეტყველებს ფრანგულად ამას გაუაზრებლად აკეთებს.

ბ) თანხმოვნები. თანამედროვე ფრანგული ენის თანხმოვანთა სისტემა ნაკლებად განსხვავდება ძველი ფრანგულისგან. გერმანიკული წარმოშობის სიტყვებში, სიტყვის დასაწყისში **h** წარმოითქმოდა ძლიერი ამოსუნთქვით (**hache** – ცული). იგი გაქრა XVI საუკუნეში. ამჟვე დროს **rr** რედუცირდა **r**-ად: **terre** – მიწა, **guerre** – ომი. სერიოზული ცვლილებები განიცადა რბილმა **l**-მა. იგი სიტყვის შუაში და ბოლოში რედუცირდა [y] – ად, **fille** – გოგონა, **travail** – სამუშაო და მიუხედავდ გრამატიკოსების დიდი წინააღმდეგობისა XVIII საუკუნიდან ფართოდ გავრცელდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სიტყვის ბოლოს წარმოთქმადი ზოგიერთი თანხმოვანი XVI-დან აღარ წარმოითქმის გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხმოვნის დაწყებული სიტყვების წინ გვხვდება. ნაზალიზაციის შედეგად **n** და **m** სრულიად გაქრა. (გამონაკლისია გადაბმის

შემთხვევები – **mon enfant** – ჩემი ბავშვი). თანხმოდანი **r** წარმოითქმებოდა სიტყვებში **mer** – ზღვა, **cher** – ძვირი. მისი წარმოთქმა გაქრა ინფინიტივში, მაგრამ XVIII საუკუნიდან აღდგა II და III ჯგუფის ზმნებში. მაგალითად: **venir** – მოსვლა, **mourir** – სიკვდილი. სიტყვის ბოლოს **s**-ის წარმოთქმა აღარ ხდება შუა საუკუნეების ბოლოდან, მაგრამ თუ მას მოსდევს ხმოვანი წარმოითქმის როგორც [z]. მაგალითად: **les enfants**. ამავე დროიდან სიტყვის ბოლოს **f**-იც აღარ წარმოითქმის. ზოგიერთ სიტყვაში სიტყვის ბოლო **c**-ს წარმოთქმა გაქრა. მაგალითად: **jon(c)** – ლერწამი, **cro(c)** – კავი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ სამხრეთულ ფრანგები უფრო ზშირად წარმოთქვამენ ბოლო თანხმოდნებს უსდრე ჩრდილოეთის ფრანგები.

სიტყვები. რომანულ ენათა შორის ფრანგული ენა ყველაზე მეტადაა დაშორებული ლათინურიდან. ეს განპირობებულია ამ ენაში მომხდარი მრავალი ცვლილებით. „საშუალო ფრანგულის“ პერიოდში ბევრი ძველი სიტყვა შეიცვალა ახლით მაგალითად: **noif** – **neige** – თოვლი, **mire** – **médecin** – ექიმი, **conil** – **lapin** – კურდღელი. ზედსართავი სახელები **destre** და **senestre** გახდა **droite** – მარჯვენა და **gauche** – მარცხენა. შეიცვალა ზოგიერთი ზმნაც. მაგალითად: **ocire** – **tuer** – მოკვლა; **ferir** – **frapper** – ცემა, დარტყმა, **chcoir** – **tomber** – დაცემა. ამ ცვლილებების კვალდაკვალ გაჩნდა ლათინური სიტყვების სესხების მოთხოვნა. XIV საუკუნიდან ფრანგულში დამკვიდრდა **circonstance** – გარემოება, **contrat** – კონტრაქტი, **objet** – ნივთი, **individu** – პიროვნება, **correspondre** – მიმწერა. რეხესანსის ღროიდან დამკვიდრდა სიტყვები: **progrès**, **analogie**, **hypothèse** – ჰიპოთეზა, ვარაუდი, **magnitude** – სიდიდე. XVI საუკუნიდან ფრანგულ ენაში ჩნდება იტალიანიზმები. სამხედრო ტერმინები: **camp** – ბანაკი, **parapet** – მიწაყრილი, **citadelle** – ციხე-სიმაგრე, **soldat** – ჯარისკაცი; არქიტექტურასთან დაკავშირებული სიტყვები: **balcon** – აივანი,

arcade – თაღი, **corniche** – კარნიზი. შედარებით მცირე რაოდენობითაა ესპანურიდან (**casque** – ჩაყხუჭტი, **guitare** – გიტარა, **moustique** – მწერი, **fanfaron** – ტრაბახა) და გერმანულიდან (**boulevard, coche** – ეკიპაჟი, **zinc** – სუთია) ნასესხები სიტყვები. თანამედროვე სიტყვებში ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება ანგლიციზმები: **club, lunch, wagon, snob** ა.შ. XIX საუკუნეში ალჟირის დაპყრობის შემდეგ ფრანგულ ენაში გაჩნდა არაბული სიტყვები. მაგალითად: **fez** – მრგვალი ქუდი, რომელიც თავის ქალას ფარავს, **matraque** – ხელკეტი და სხვა.

სიტყვათწარმოება. ფრანგული ენა ფლობს ნაზმნარი არსებითი სახელების საკმაოდ დიდ რაოდენობას. XIV საუკუნეში ზმნებისგან მიიღეს ისეთი არსებითი სახელები როგორებიცაა: **amas** – გროვა, **retard** – დაგვიანება, **début** – დასაწყისი, **marche** – სულა, **estime** – იმედი, **fatiguc** – დაღლა და ა.შ. ნაზმნარი ზედსართავი სახელები უფრო იშვიათი ფორმები: **délivré** – თავისუფალი, **lâche** – მხდალი, **trouble** – არეულობა. თანამედროვე ფრანგულში ზმნისგან არსებითი სახელის საწარმოებლად იყენებენ **eur** (მამრ. სქესი) და **euse** (მდედრ. სქესი) სუფიქსებს. მაგალითად: **voleur** – ქურდი, **coiffeur** – პარიკმახერი, **collectionneur** – კოლექციონერი და ა.შ. ძველ ფრანგულში განყენებული არსებითი სახელების მწარმოებელი სუფიქსია – **ie**, თანამედროვე ფრანგულში კი – **erie**. მაგალითად: **coquetterie** – კეკლუცობა, **sauvagerie** – ველურობა. თანამედროვე ფრანგულში ზედსართავ სახელებს აწარმოებს სუფიქსები-**el, -able, -ible, -al, -eux**. მაგალითად: **discutable** – საკამათო, **exceptionnel** – იშვიათი, **colossal** – კოლოსალური, **poussiereux** – მტკვრიანი. აღსანიშნავია ბერძნულ-ლათინური სუფიქსი – **ique** (**dramatique, fantastique**) და იტალიური **esco**-ს გავლენით შექმნილი სუფიქსი – **esque** (**gigantesque, romanesque**). ფრანგულში ადრე გამოიყენებოდა ადგილის სახელწოდების აღსანიშნავად

სუფიქსი **-ail**, რომელიც ხმარებიდან გამოვიდა და დარჩა მხოლოდ სუფიქსი **-oir**. მაგალითად: **trottoir** – ტროტუარი, **arroseoir** – სარწყავი, **abattoir** – სასაკლაო. დღეს განყენებული ცნებების საწარმოებლად გამოიყენება სუფიქსები **-aion**, **-ation**, **-ement**. მაგალითად: **liaison** – კავშირი, **organization** – ორგანიზაცია, **empressement** – ლტოლვა, სწრაფვა. კინობითი სიტყვები აღარ ასრულებენ იგივე როლს რასაც ისინი ადრე ასრულებდნენ. ესენია: **-et**, **-ot**. მაგალითად: **fourchette** – ჩანგალი, **culotte** – მოკლე შარვალი. იმ ზმნები, რომლებიც ადრე ძალზე გავრცელებული იყო და ბოლოვდებოდა – **oyer**-ზე, ჩვენ დროში შემორჩა ცოტა რაოდენობით. მაგალითად: **guerroyer** – ბრძოლა, **foudroyer** – შტის დაცემა, **verdoyer** – გამწვანება და სხვა. რთული სიტყვების თვალსაზრისით ენამ განავითარა ადრინდელი სიტყვათწარმოების მეთოდები. მაგალითად: **chou-fleur** – ყვავილოვანი კომბოსტო, **cerf-volant** – ფრანი, **fer-blanc** – თუნუქი, **sang-froid** – ცოცხისხლიანი, **eau-de-vie** – არაყი, **pot-au-feu** – წვნიანი ხორცითა და ბოსტნეულით აღსანიშნავია სიტყვათა მნიშვნელობების შეცვლა. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების შედეგად სიტყვა **hazard**, რაც ძველფრანგულში „კოჭების გაგორება“ – ს ნიშნავდა, ახლა გამოიყენება ლათინური სიტყვის „ბედის, იღბალის“ მნიშვნელობით. სიტყვა **guérir** ძველფრანგულში ნიშნავდა „მფარველობას“, დღეს კი ნიშნავს „განკურნებას“. სიტყვა **drapeau** ადრე ნიშნავდა „ოთხკუთხა ტილოს ნაჭერს“, ახლა კი ნიშნავს „დროშას“. ფრანგული მეტაფორები ბუნებრივი წარმონაქმნებია. სიტყვა **potence** – სახრჩობელა, გამოიყენება ყავრჯნის მნიშვნელობით, სიტყვა **glace** – ყინული, გამოიყენება სარკის მნიშვნელობით, სიტყვა **gaffe** – კაუჭი, დღეს გამოიყენება უტაქტობის მნიშვნელობით. გადააზრების ხერხით მოხდა ფრანგული განზოგადოებული ტერმინების მარაგის შევსება. მაგალითად: **surprise** – გაოცება, **émotion** – მღელვარება, **énergie** – ენერჯია, **exaltation** – აღტყინება. გაიზარდა ასევე ღიდაქტიკურ ზმნათა რაოდენობა. მაგალითად: **combiner** – კომბინირება, შეთანხმება, **constater** –

დადგება, **identifier** – გაიგოება. ასეთი ზმნების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა XIX საუკუნეში.

ზმნა. თანამედროვე ფრანგულში ინფინიტოვის დაბოლოებები ძვ. ფრანგულიდანაა შემორჩენილი. გამონაკლისია I ჯგუფის ზმნების დაბოლოება – **er-ზე**, რომელიც ძველი ფორმის – **ier-ის** რედუცირების შედეგადაა მიღებული. **vengier – venger** – შურისძიება, **laissier – laisser** – დატოვება. საშუალო ფრანგულის პერიოდში ცვლილებები განიცადა აწმყო დროის მხოლოდითი რიცხვის I პირის დაბოლოებებმა; **chant – გახდა, chante – ვმღერი; vend – vends – ვყიდი.** აღსანიშნავია ამავე პირისა და რიცხვის კითხვითი ფორმაც; **aime-je?** XV საუკუნის ბოლოს გადაიქცა **aime-je-დ** (მიყვარს მე?). მხ. რიცხვის III პირის ფორმა **aime-ი** გეხვდება 1630 წლამდე შემდეგ, აგი **aime-t-il** (უყვარს მას?) სახითაა წარმოდგენილი. ძვ. ფრანგული პერიოდის წარსული დაუსრულებელის დაბოლოებები – **vie, - oies, - oit, liens, iier, oient** საშუალო ფრანგულში გახდა – **ais, ait, - ions, - ier, - aient.** მომავალ დროში შემორჩენილი იქნა ძვ. ფრანგულის დაბოლოებები. ფუძესთან მმართებაში აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ძვ. ფრანგული ფორმა (**darrai – მივცემ**) გამოვიდა ხმარებიდან; ზმნა “**avoir**” (ქონა, ყოლა)-ის ძვ. ფორმები **avrai** და **arai** XVI საუკუნეში გახდა **aurai** ანალოგიური **amna savrai** გახდა **saurai** (მეცოდინება).

არსებითი სახელი; ზედსართავი სახელი. ძველ ფრანგულში არსებული ბრუნება XVI ს-დან აღარ გეხდება ბრუნვის ფორმები მხოლოდ მცირე რაოდენობის სიტყვებმა შემოინახეს, რომელიც განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვების სახით დამკვიდრდა. მაგალითად: **gars – ჭაბუკი – garçon – ბიჭი; copain – მეგობარი, compagnon – თანამგზავრი.** არსებითი სახელების მრ. რიცხვის წარმოება თანამედროვე ფრანგულში ძვ. ფრანგულის მსგავსია. იგივე შეიძლება ითქვას ზედსართავი სახელის მრ. რიცხვისა და მდებარეობითი სქესის შესახებაც. მამარობითი სქესის ზედსართავებმა შეინარჩუნა მხოლოდ ობიექტური ბრუნვები.

მაგალითად: **beau** – ლამაზი, **mou** – რბილი, **vieux** – მოხუცი. ზედსართავი სახელების მდებარეობითი სქესის წარმოება ხდება **e-**ს დამატებით, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ეს ზმოვანი ფუძეშია მოცემული. მაგალითად: **fiède, rouge** ; ეს განსხვავება წერის დროს უფრო შესამჩნევია. მაგალითად: **joli-jolie** – ლამაზი, **dur-dure** – მაგარი, მკაცრი. შედარებითი ხარისხების ოვალსაზრისით მხოლოდ სუბიექტური ბრუნვის ორი ფორმა გამოიყენება. ესენია: **pire** – უარესი, **moindre** – ნაკლები, და ერთი ობიექტური ბრუნვის ფორმა **meilleur** – უკეთესი. XVI საუკუნეში იტალიური ენის გავლენით აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად გამოიყენება სუფიქსი – **issime**. მაგალითად: **bellissime, rarissime**.

ნაცვალსახელი. თანამედროვე ფრანგულის ნაცვალსახელის ძველ ფორმებთან შედარება გვიჩვენებს, რომ ნაცვალსახელმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. პირის ნაცვალსახელის ფორმები შემორჩა და ზმნის წინ გამოიყენება. კუთვნილებითმა ნაცვალსახელებმა დაკარგა ბრუნების ფორმები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. ძირფესვიანი ცვლილება მოხდა ჩვენებით ნაცვალსახელებში. მაგალითად: **cist, cil-**ეს, პირველი გამოიყენებოდა მხოლოდ არსებით სახელთან, ხოლო მეორე კი სახელის ვარუშე. სასაუბრო ენაში ფორმებმა **cet, cette** დაკარგა თავისი ზმოვანი იმ სიტყვის წინ, რომელიც იწყება ზმოვნით. მიმართებითმა და კითხვითმა ნაცვალსახელებმა შეინარჩუნა თავისი ადრინდელი ფორმები. განუსაზღვრელი ნაცვალსახელებიდან დღეს ყველაზე გავრცელებულია ფორმა **on**, რომელიც გამოიყენება ქვემდებარის მნიშვნელობით. მას ზშირად იყენებენ სხვა პირის ნაცვალსახელების შესაცვლელად.

წინადადება. თანამედროვე წინადადებაში ასეთი წყობაა: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება... წინადადებაში განსაზღვრება გარდა რამდენიმე მოკლე ზედსართავი

სახელისა **bon** კარგი, **beau** – ლამაზი, **haut** – მაღალი, ღვას ქვემდებარის შემდეგ: არის შემთხვევები, როდესაც განსაზღვრების მნიშვნელობა იცვლება წინადადებაში მისი მდებარეობის მიხედვით. მაგალითად: **brave homme** პატიოსანი ადამიანი, **homme brave** – შამაცია ადამიანი. საშუალო ფრანგულის პერიოდში ნაცვალსახელი, რომელიც ქვემდებარის როლშია, ზმნის წინ ღვას. მაგალითად: **Il est arrivé** – ის მოვიდა. თანამედროვე სასაუბრო ენაში ხშირად წინადადების თავში ღვას ზედსართავი სახელი. მაგალითად: **délicieux, votre vin** – საუცხოოა თქვენი ღვინო. კლასიკურ პერიოდთან შედარებით თანამედროვე ფრანგულში დამხმარე ზმნა ქვემდებარეს უთანხმდება რიცხვში. მაგალითად: **Ce sont mes filles** – ესენი ჩემი გოგონებია არიან. საშუალო ფრანგულში საკმაოდ ხშირია (ლათინური გავლენით) ინფინიტის ხმარება. მაგალითად: **Ils entreprennent d'exposer**, თანამედროვე ფრანგულში საკმაოდ გაიზარდა იმ ზმნათა რიცხვი, რომელთა შემდეგ იხმარება ხაწვისი ფორმა. **J'ai vu le soleil lever** – მე ვნახე მზის ამოსვლა. **Je dois oublier le passé** – უნდა დავივიწყო წარსული. ბევრი მკ. ზმნიზედა, რომლებიც გარემოების როლს ასრულებდა XVI ს-ის ბოლოდან გაქრა. ესენია: - 1. ადგილის ზმნიზედები: - **illec** – იქ, **léans** – ში, **jus** – ქვეშ. 2. დროის ზმნიზედები: **lues** – ახლავე, **toudis** – ყოველთვის, **ores** – მკ. ფრანგული გახდა **maintenant** – ახლა. XIV საუკუნიდან მკვიდრდება რაოდენობის აღმნიშვნელი ზმნიზედები **davantage** – მეტი, **beaucoup** – ბევრი, ვითარების გარემოება **ainsi** და ა.შ. XVს-ის ბოლოს წინდებულები **od, o, e** შეცვალა **avec** – მა (თან,-ით); **à** წინდებულთან ერთად დაიწვეს წინდებული **avec**-ის გამოყენება. **A** წინდებულთან ინფინიტის რომელიც დროის გარემოების ფუნქციას ასრულებდა (**à partir de ces lieux**-ამ ადგილიდან) თითქმის აღარ იხმარება. **Vaincre sans péril** – გამარჯვება მსხვერპლის გარეშე უარყოფითი ნაწილაკები, რომლებიც **ne**-ს გასაძლიერებლად იხმარება საშ. ფრანგულის პერიოდში ხმარებიდან გამოვიდა. (გამონაკლისია **pas, point**).

ისანი კელაჲ აღდგა XVI საუკუნის ბოლოდან. ეს ნაწილაკები არ გამოიყენება მაშინ, როდესაც **ne**-ს მოსდევს სიტყვები **aucun** – არცერთი, **personne** – არაუინ, **rien** – არაფერი, **jamais** – არასოდეს.

თანწყობა და ქვეწყობა. თანამედროვე ფრანგული ენა თანწყობისას იმ საშუალებებს იყენებს, რასაც ძვ. ფრანგული. ეს კავშირებია: **et**-და, **ni**-არც, **ou**-ან, **car**, **mais**-მაგრამ, რადგან მათ მკერთებელ კავშირებს უწოდებენ. მთავართან დამოუკიდებელი წინადადების დასაკავშირებლად ტრადიციულად გამოიყენება კავშირები **quand** როდესაც, **parce que**, **afin que** – რაისა, **pour que** – რადგან, **bien que** – თუმცა და ა.შ. მათ მაქვემდებარებელ კავშირებს უწოდებენ. ვრცელდება წინდებულთან ატრიბუტული სიტყვათშეერთებები, ძირითადად, **de** წინდებულთ, სიტყვათშეერთებაშიც და წინადადებაშიც მკვეთრად შეღავნდება სიტყვათა პირდაპირი წყობისადმი ტენდენცია. რთულდება რთული წინადადების წყობა, უკავშირო რთული წინადადებები, თანდათანობით, ადგილს უთმობს კავშირიან რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებებს.

ლექსიკა. ჩნდება კლასიკური ენებიდან ნასესხები სიტყვები, რომლებიც, ძირითადად, აბსტრაქტულ ცნებებს გამოხატავენ. იქმნება ლექსიკის 2 ფენა-“ხალხური” და „სამეცნიერო“; ეს დიფერენცია უხება არა მარტო ფუძეებს, არამედ სიტყვაწარმოქმნელ ფორმანტებსაც. ჩნდება სამეცნიერო ტერმინოლოგია. ლიტერატურულ ტექსტებში შემცირდა დიალექტების გამოყენება.

ესპანური და პორტუგალიური ენები. არაბების შემოსევამ თავისებური კვალი დაამჩნია შუასაუკუნეების დროის იბერიის ნახევარკუნძულის ისტორიას. XI საუკუნეში კორდობას ხალიფატზე გამარჯვებამ გააძლიერა ჩრდილოეთ ესპანეთის ქრისტიანი მონარქები. XIII საუკუნეში მათ

დაიპყრეს კორდობა, ვალენსია, სევილია, თითქმის მთელი ნახევარკუნძული, და მხოლოდ XV საუკუნის ბოლოს შეძლეს გრანადის განთავისუფლება მავრებისაგან. ესპანეთის მონარქია წარმოიშვა ფერდინანდისა და იზაბელას მეფობის დროს, რომლებმაც გააერთიანეს არაგონი და კასტილია. XVI საუკუნეში კარლოს V-ეს და ფილიპე II-ის მეფობის დროს მან მიაღწია თავისი ძლიერების აპოგეას ევროპაში, ესპანეთის დედაქალაქი გახდა მადრიდი (მანამდე ტოლედო იყო). XVIII საუკუნის დასაწყისში ესპანეთის ტახტი ბურბონთა დინასტიას ერგო წილად, რის გამოც ესპანეთს უკვე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა საერთო პოლიტიკაში. ნაპოლეონის დროს მან კვლავ მოიპოვა თავისი დამოუკიდებლობა. შემდგომში, XIX საუკუნეში ესპანეთში არაერთგზის ქონდა ადგილი შიდა კრიზისებს. XIX საუკუნის ბოლოს მან დაკარგა კუბა და ფილიპინები – თავისი ფართო კოლონიალური იმპერიის ბოლო ნარჩენები. ნახევარკუნძულის დასავლეთით პორტუგალია თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, იგი XV საუკუნის ბოლოს გადაიქცა საზღვაო სახელმწიფოდ და დაიპყრო რა მადეირა, კანარის კუნძულები, კაბოვერდე, მან მიაღწია ინდოეთამდე და შექმნა მძლავრი და ფართო იმპერია. ფილიპე II-მ პორტუგალია თავის მონარქიაში მოაქცია. მხოლოდ XVII საუკუნის ბოლოს დაიბრუნა პორტუგალიამ თავისი დამოუკიდებლობა. XVIII საუკუნის დასაწყისში მან მჭიდრო საეკონომიკურ ურთიერთობები დაამყარა ინგლისთან, ხოლო 1822 წლიდან მას გამოეყო ბრაზილია. ესპანური ხალხური ენის ნაკვალევი სათავეს იღებს VIII საუკუნიდან. ეს არის ე.წ. „სილოსური გლოხები“, რომლებიც შედგენილია ბურგოსის რეგიონში XI საუკუნის დასაწყისში. ესპანური ენის სამშობლოდ სწორედ ამ ქალაქის რეგიონი უნდა მივიჩნიოთ. ლიტერატურული ტრადიცია იწყება „პოემიდან სიდის შესახებ“, რომელიც განეკუთვნება XII საუკუნეს და რომელშიც მოცემულია ესპანეთის ეროვნული გმირის როდრიგო დიას დე ვიგარის საგმირო საქმეების ქებათა-ქება, რომელმაც ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყო

მთაერობის წინააღმდეგ. XIII საუკუნეში შეიქმნა ბევრი ნაწარმოები, უფრო მეტად ანონიმური სამეცნიერო ხასიათის, სადაც კასტილიურ ენას პრიორიტეტული პოზიცია ეკავა. XV-XVI საუკუნეები ესპანური ენის ევოლუციის პერიოდად ითვლება. ესპანეთის პოლიტიკური ძლიერების პარალელურად ვითარდებოდა ლიტერატურა, რომელმაც თავისი გაფურჩქნის ხანას მიაღწია XVII საუკუნის ბოლოს – სერვანტესის, ლოპე დე ვეგას და კალდერონის მოღვაწეობის პერიოდში, პორტუგალიური ენის პირველი ძეგლები განეკუთვნება გვიანდელ დროს, დაახლოებით XIII საუკუნის ბოლოს. ეს არის რელიგიურ თემაზე დაწერილი ლექსები, რომლებიც თუმცაწერილია სიმღერათა კრებულში (**cancioneiro**), შედგენილი აღფონსო მუდროგოს მიერ, რომელიც გალიციურ ენაზე დაწერილი და მეფე დენისის „სიმღერათა კრებული“. XVI საუკუნეში ლუის კამოენსმა შექმნა პორტუგალიის ეროვნული პოემა „ლუსიადები“ (**Os Lusíadas**). მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიური ლიტერატურული ენა ძლიერ განსხვავდება ესპანურისაგან, ის მაინც ყოველთვის ვითარდებოდა მასთან კავშირში. XIII საუკუნეში ფართოდ გავრცელდა ლიტერატურული ნაწარმოებები კატალონურ ენაზე. მის კლასიკურ პერიოდად ითვლება XV საუკუნე, სადაც დიდ პროზაიკოსად ითვლება ბერნატ მეტეი და პოეტად ოზიას მარჩი. ლინგვისტური თვალსაზრისით კატალონური ესა ახლოსაა პროვანსულთან, მაგრამ არაგონულ დიალექტთან ხანგრძლივი კონტაქტის შედეგად მან კასტილიური ენის ძლიერი გავლენა განიცადა, თუმცა მაინც შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა. ესპანეთში 44 მილიონზე მეტი მცხოვრებია, ესპანურ ენაზე ლაპარაკობს 40-მილიონზე მეტი ადამიანი. პორტუგალიურ ენაზე კი 14 მილიონი ადამიანი. ამას უნდა მივუმატოთ აზორის კუნძულები და მადეირა და მილიონი გალიციელი. ესპანური ენის დიალექტებია: ჩრდილოეთში – ასტურიული, ლეონური და არაგონული, ცენტრში – კასტილიური, რომლისგანაც შეიქმნა

ლიტერატურული ენა, სამხრეთში – ანდალუსიური, რომელიც წარმოიშვა კასტილიურიდან, მაგრამ მისგან განსხვავდება წარმოთქმის განსაკუთრებული სირბილით. პორტუგალიურ დიალექტებს განეკუთვნება: ჩრდილოეთში – ესტრე – დურო – ე-მინიო და ტრაშეშ-მონტიში, რომელიც ერთიანდება გალიციურთან, ცენტრში – ბეირა, სამხრეთში – ესტრემენიო, რომელიც წარმოადგენს ლისაბონურ დიალექტს და აღემატება და აღგარეუ, რომელთაც უერთდებათ აზორის კუნძულებისა და მადეირას დიალექტები. ვეროპის მიღმა პორტუგალიურად ლაპარაკობენ გვინეის და მოზამბიკის სანაპიროებზე, ინდოეთისა და ზონდოს კუნძულების ზოგიერთ რაიონებში, ანგოლაში და ბოლოს ბრაზილიის უმეტეს ნაწილში, სადაც კომოენსას ენამ განიცადა სხვადასხვა გავლენა, კერძოდ, ტუპისა და გვარანის, ასევე ზანგური ტომების დიალექტების ზეგავლენა. გარდა ამისა მსხვილ ცენტრებში წარმოიშვა მეტისური ჟარგონი, სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების, ანტილიის კუნძულებისა და მექსიკის სახელმწიფო ენად დარჩა ესპანური. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ესპანურ ენაში, რომელზედაც ლაპარაკობენ ამერიკაში წარმოდგეჩილია ანდალუსიური დიალექტის მრავალი ნიუანსი. ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ ამერიკის კონტინენტზე ემიგრაციის შედეგად მოხვდნენ სამხრეთ ესპანეთის მცხოვრებნი. კოლონიის სავაჭრო ცენტრი იყო ნუსადგური კადისი, ხოლო სველიაში იყო ინდოეთის უზენაესი სასამართლო. თავისებური დიალექტი გააჩნიათ ესპანელ ებრაელებს, რომლებიც ცხოვრობენ ვეროპაში და ზმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ისინი მე-15 საუკუნეში ესპანეთიდან მეფე ფერდინანდის მეფობის დროს გააძევეს. მათ გაწყვეტილი ჰქონდათ ყოველგვარი კავშირი თავიანთ სამშობლოსთან, მაგრამ აგრძელებდნენ საუბარს კასტილიურ ენაზე, იყენებდნენ რა ნარეუ ლექსიკურ მარაგს. მათი ენა დღესაც იმ სტადიაზე იმყოფება, რომელზედაც ესპანური ენა იყო დაახლოებით XVI საუკუნის დასაწყისში. XX საუკუნეში ებრაულ-ესპანურმა დიალექტმა, რომელზედაც

ლაპარაკობენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, გარკვეული ცვლილებები განიცადა.

ფონეტიკა. ბგერები: ა) ხმოვნები; ბ) თანხმოვნები. პორტუგალიური ენის მახვილიანი ხმოვნები იგივეა, რაც ხალხურ ლათინურში, ამის ნათელი მაგალითია 7 სიტყვა: **prado** (ველი), **terra** (მიწა), **meça** (მაგიდა), **amigo** (მეგობარი), **nove** (ცხრა), **gola** (ყელი), **muro** (კედელი). ამ რიგში მოცემულია სიტყვები **tierra** და **nueve**, რადგანაც ნახევარკუნძულის ცენტრში **ღ**-მ და **ღ**-მ რამდენიმე თანხმოვნის წინაც გაჩნდა დიფთონგიზაცია; **ie** და **uo**, ჯერ კიდევ რომანული პერიოდის დასაწყისში გაჩნდა, ეს ის ცვლილებებია, რომლებიც **e** და **o** ხმოვნებმა განიცადა. სწორედ ისინი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია ესპანური და პორტუგალიური ენების ვოკალიზმებს შორის. ასევე არსებით სხვაობას ამ ორი ენის ვოკალიზმში წარმოადგენს ნახალიზაციის ფაქტები. ფრანგული ენის ნახალიზაციისაგან იგი განსხვავდება: 1) იმის, რომ ის უფრო სრულია; 2) ის ვრცელდება ბოლო ხმოვნებზე **i** და **u**-ზე. 3) ინარჩუნებს დიფთონგებს, რომელთა მეორე ელემენტსაც ასევე აქვს ცხვირისმიერი ელფერი. პორტუგალიურ ენაში თითქმის ყველა უმახვილო ხმოვანი შესუსტდა, რითაც ის განსხვავდება ესპანური ენის ვოკალიზმისაგან. ა) პორტუგალიურ ენაში უმახვილო ხმოვანი **a** ნებისმიერ პოზიციაში რედუცირების შედეგად გადაიქცა ბგერად, რომელიც ახლოსაა ფრანგულ **é**-თან და რუმინულ **ă** – ბგერასთან. მაგალითად: **amémos** – ეყვარებოდით, **passémos** – რომ გაველოთ, **porta** – კარი, **portas** – კარები. საწყისს მარცვალში ხმოვანი **e** რედუცირდა ხმოვანში **é**; **seguro** – ერთგული. XVII საუკუნიდან პორტუგალიურში ბგერა **o** როგორც საწყისს, ასევე ბოლო პოზიციაში, გამოითქმის როგორც სუსტი **u**. მაგალითად: **corôa** – გვირგვინი, **canto** – კუთხე, **vinho** – ღვინო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბგერა **o** უშუალოდ საწყის პოზიციაშია. მაგალითად: **orar** – ლოცვა. ორივე ენის თანხმოვანთა სისტემები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში განსხვავდებოდა, რაც უფრო გაძლიერდა

თანამედროვე პერიოდში. ესპანური ენის თანხმოვანთა სისტემა ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით. მაგალითად: **b** და **v** გადავიდა ბილაბიალურ ნაპრალოვან **B-ში** და უპირატესობა ენიჭება ყრუ ნაპრალოვანებს მაგალითად შიდა კბილისმიერ **u(c, z)-ს** და უკანა სასისმიერ **c (j)-ს**. ესპანური ენისათვის სპეციფიკურია **f-ს** გადასვლა **h-ში** სიტყვის დასაწყისში. მაგალითად: **hijo = filium** – ვაჟი, **horno** – კერა, **hacer** – კეთება, **herir** – დაჭრა, **uc-ს** წინა ბგერა **f** შემორჩა. მაგალითად: **fuego** – ცეცხლი, **fuero** – შეღავათი, განსაკუთრებული უფლება; **fuerte** – ძლიერი. XII საუკუნეში პორტუგალიურში ინტერვოკალური **l** ამოვარდა, გაიარა **w-ში** გადასვლის ეტაპი, რომელიც დიდხანს არ გავრძელდა. მაგალითად: **ceu** – ცა, **cor** – ფერი, **voar** – ფრენა. შუა საუკუნეების ბოლოდან ესპანურში ორი ტიპის **r** არსებობდა. ერთი მხრივ გვაქვს ძლიერ ვიბრირებული **r**, სიტყვის დასაწყისსა და შუაში **n, l-ის** შემდეგ და ხმოვნებს შორის. მაგალითად: **rey** – მეფე, **tierra** – მიწა, მეორე კი ნაპრალოვანი **r**, თანხმოვნის ან მის შემდეგ, ორ ხმოვანს შორის და სიტყვის ბოლოს. მაგალითად: **otro** – სხვა, **perla** – მარგალიტი. ინტერვოკალური **r** იმდენად დასუსტდა, რომ ზოგიერთ რაიონში, მაგალითად ჩრდილოეთსა და სამხრეთში ანდალუსიაში მთლიანად გაქრა საუბრისას. მაგალითად: **mataon** – მოკლეს, **paeece** – ჩანს, **mataron, parece** – ნაცვლად. ბოლო თანხმოვნები განიცდიან დასუსტებას. მაგალითად თანხმოვანი **s**, გამოიყენება მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად, პორტუგალიაში წარმოითქმის როგორც **z** სიტყვის წინ, რომელიც ხმოვნით იწყება; მეღერო თანხმოვნის წინ ის წარმოითქმის როგორც **ž**, ხოლო ყრუ თანხმოვნის წინ, როგორც **š**; მაგალითად: **os vizinhos [už vėzinuš]** – მეზობლები, **os cães [uš kãiš]** – ძაღლები. ეს ცვლილება შევიდა XVIII საუკუნიდან. კასტილურში ბოლო **d** წარმოითქმის როგორც ძალიან სუსტი **p**, მაგალითად სიტყვებში **Madrid, salud-** გამარჯობა, **verdad** – სიმართლე. ესპანურში სიტყვის ბოლოს

მღვარი **n** განიცდის ვულარიზაციას⁵. მაგალითად: **pan** – პური, **ladrón** – ქურდი.

სიტყვები. სიტყვების შერჩევა და ნასესხობები. ორივე ენამ საუკუნეების მანძილზე ერთმანეთისაგან ისესხა სიტყვები. ასე მაგალითად, თვით პორტუგალიური სიტყვების ფორმა, როგორცაა **ihano** – გულახდილი, **colmilho** – ეშვი, **despojar** – გაძარცვა. ამჟღავნებს მათ ესპანურ წარმოშობას, მაშინ, როცა ისეთი სიტყვები როგორცაა **payo** – ხეპრე, **chato** – პაჭუა, **chopo** – ალვა, **macho** – ჯორი, **chubasco** – თავდასხმა, **escollo** – წყალქვეშა ქვა და ა.შ. ნასესხებია პორტუგალიური ენიდან. იმ პირობების შედეგად, რომელშიც აღმოჩნდა იბერიის ნახევარკუნძული და იქ მუსლიმებისა და ქრისტიანების თანაარსებობამ გამოიწვია, რომ ქრისტიანებმა არაბებისაგან ისესხეს ძრავალი ადმინისტრაციული, სამხედრო, სასოფლო, სამრეწველო და აგრეთვე სამეცნიერო ტერმინები. ესპანელი მწერლები შუა საუკუნეებში იყენებდნენ ისეთ სიტყვებს, როგორცაა **almofar** – ჩაჩქანი, **almofalla** – ლაშქარი, **alfageme** – ექიმი. ეს სიტყვები შემდგომში ხმარებიდან იქნა ამოღებული. თუმცა დღესაც ბევრი ანალოგიური წარმოშობის სიტყვაა შენარჩუნებული. მაგალითად: **jeque** – შეიხი, **jirafa** – ჟირაფი, **alcohol** – სპირტი, **cifra** – ციფრი. პორტუგალიურ ენაშიც არსებობს აღმოსავლური სიტყვები და ძრავალი სხვა სიტყვა, რომელიც მხოლოდ მისთვისაა ნიშანდობლივი: მაგალითად: **alface** – მწვანე ხალათა, **alfaiate** – მკერავი; ზედსართავი სახელი **cadimo** – მოხერხებული. ბევრი ამ სიტყვათაგან, ესპანური ენის საშუალებით შეტანილ იქნა იტალიურსა და ფრანგულში. იბერიის ნახევარკუნძულის ენებმა არ ისესხეს არაბებისაგან არც ერთი ზმნა, სამაგიეროდ ისესხეს განუსაზღვრელი ნაცვალსახელი **fulano** – ვიღაც, ესპანურად – **ojalá** – პორტუგალიურად – **oxala** – ღმერთმა

⁵ ვულარიზაცია ფონეტიკურად ნიშნავს - პალატალური ბგერის უკანა-სასისმიერად გადაქცევას (ქ.ჯაში).

ქნას, რომელიც შეესაბამება ლათინურ **utinam**-ს – ნეტავ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის შემდეგ ესპანელებმა ბევრი სიტყვა ისესხეს ამერიკულ ინდიელთა ენებიდან. მაგალითად: **hamaca** – პამაკი, **huracán** – გრიგალი, **maíz** – სიმინდი, **tabaco** – თამბაქო, მექსიკური დიალექტებიდან – **tomate** – პომიდორი, **chocolate** – შოკოლადი, პერუს დიალექტიდან – **cóndor** – კონდორი, **jaguar** – იაგუარი. რომანული ენებიდან ყველაზე მეტი სიტყვა ნასესხები აქვს იბერიის ნახევარკუნძულის ენებს. ფრანგულიდან მაგალითად: **batalla** – ბრძოლა, **golpe** – დარტყმა, **navio** – გემი, **jaula** – გალია, **vergel** – აყუყუბული ბაღი, **maestre** – მასწავლებელი, **dama** – ქალბატონი. პორტუგალიურ ენაში მრავლადაა ნასესხები გალიციზმები, მაგალითად: **chapéu** – ქული, დღეს **chapéu** და **rua** – ქუჩა. (ესპანურშია **sombrero** და **calle**); სხვა გალიციზმები მაგალითად ზმნა **marchar**-სიარული. ერთნაირად გამოიყენება პორტუგალიურ და ესპანურ ენებში. ესპანურში სრულად დამკვიდრდა ისეთი სიტყვები, როგორცაა **jefe** – უფროსი, **jardín** – ბაღი და სხვა. სიტყვათწარმოების სფეროში ამ ორ ენას შორის ბევრი მსგავსებაა, ასე მაგალითად, მათში დიდი რაოდენობითაა გაარსებული **o**-ზე და **a**-ზე დაბოლოებული ზმნები. მაგალითად: **abrazo** – ესპანურად-გადახვევა, **abraço** – პორტუგალიურად. მნიშვნელობის ცვლილება მნიშვნელობის თანდათანობით გაფართოების ან შევიწროების შედეგი იყო, ასე მაგალითად, ესპანური სიტყვა **cuarto** (პორტ. – **quarto**) რომელიც აღნიშნავდა მეოთხედ ნაწილს, იხმარება უკვე ოთახის, ბინის მნიშვნელობით, ზედსართავი **caldo** – თბილი, ორივე ენაში იხმარება ბულიონის ნახარშის მნიშვნელობით. ესპანურისთვის დამახასიათებელია შედარებები და მეტაფორები. მაგალითად სიტყვა **fuelle** – წყარო, დღეს აღნიშნავს აგრეთვე „კერძ“, **a hoja**-ფოთოლია, ასევე ნიშნავს „დანის ან მახვილის პირს“. მეტაფორები ფიზიკური ცნებების ნაცვლად აღნიშნავენ განყენებულ ცნებებს. მაგალითად: **Molino** – წისქვილი, გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს „მღელვარებას“, **gozo** – სიხარულს, შეიძლება

აღნიშნავდეს „კაშკაშა აღს“. პორტუგალიურ ენაში ადვილად ხდება კონკრეტული ცნების განზოგადოებულში გადასვლა. მაგალითად: **secca (sêca)** – გვალვა, გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს „აბუზარობა“-ს, **chaleira** – მადულარა, გამოიყენება „მლიქვნელის“ მნიშვნელობით.

ზმნა. იბერიის ნახევარკუნძულის ენების ინფინიტიური ფორმები მთავრდება **-ar, -ir, -êr**-ზე. ესპანურში **ir**-მა თანდათან განდევნა – **êr**. მაგალითად: **decir, vivir**. პორტუგალიურ ენაში – **êr** დაბოლოებაა გავრცელებული, თუმცა იქაც არის **cahir** – ტიპის ფორმები. ამჟამად **caer** – ესპანურში, **cair** – პორტუგალიურში – დაცემა. ასევე ფორმები, რომლებმაც რედუცირება განიცადა **ter** – ქონა, **ver** – ხედვა, **pôr** – დადება. როგორც ესპანურ ასევე პორტუგალიურ ენებში შენარჩუნებულია თხრობითი კილოს აწმყო დროის სამი პარადიგმა, რომელიც ჯერ კიდევ ძველ პერიოდში არსებობდა, მაგ: **canto, cantas, canta, cantamos, cantais**, (ადრე **cantâdes**) **cantan** – ვმღერი. პორტუგალიურმა მრავლობით რიცხვში, მე-2 პირში შეინარჩუნა **d** – ბგერა გალიციურში, ასევე პორტუგალიურში მრავლობითი რიცხვის მე-3 პირში გვაქვს დაბოლოება **cantam** ან **cantão**. ზემოთყვანილი პარადიგმები სრულიად შეესაბამება ხალხური ლათინურის პარადიგმებს. არასრული ასპექტის მქონე I უღლების ზმნის ფორმები თხრობითი კილოს აწმყო დროში შემდგნაირად გამოიყურება: **cant-ába, -ába, -ábamos, -ábais, -ában** – ვმღეროდი და ა.შ., რომლებშიც ადგილი აქვს მახვილის გადაადგილებას მრავლობითი რიცხვის I და II პირებში. ანალოგიური პარადიგმაა პორტუგალიურ ენაში: **cantáva** და ა.შ., მრავლობით რიცხვის II პირში – **ávais**, III პირში – **ávam**. დანარჩენი ზმნები ორივე ენაში იყენებს ხალხურ ფორმებს: **partía, -ias, -ia, -íamos, íais** (პორტ. – **íceis**), **-íam** (პორტ. – **íam**) – მოვემზავებოდი; **vendía** – ვყიდდი. როგორც ესპანურში, ისე პორტუგალიურში არსებობს ტენდენცია ხმოვნების მონაცვლეობის. ესპანურში ზმნები, რომლებიც

ბოლოვდება –**ir** აწარმოებს ორ განსხვავებულ ჯგუფს: 1) **sentir** – გრძნობა, **siento, sentimos, sentís**, თხრობით კილოს აწმყო დრო, კავშირებით კილოში: **sintamos, sintáis**, გერუნდივში **sintiendo**; 2) **pedir** – თხოვნა, **pido, pedimos, pedís**, თხრობითი კილოს აწმყო დრო, კავშირებით კილოში **pida, pidamos, pidáis**, გერუნდივში **pidiendo**. პირველ ჯგუფს განეკუთვნება ზმნები **mentir** – მოტყუება, **herir** – დაჭრა, **requerir** – მოთხოვნა, **advertir** – გაფრთხილება, **hervir** – ადუღება და სხვა. მეორე ჯგუფს განეკუთვნება **medir** – გაზომვა, **vestir** – ჩაცმა, **servir** – მომსახურება და სხვა. ეს მოუღენა არის ორი ფონეტიკური კანონის ერთმანეთთან გადაჯვარედინების შედეგი; **i(+i)**ს გადასვლა **e**-ში და **e(+ié, ío)** – გადასვლა – **i**-ში. პორტუგალიურში ზმნები, რომლებიც ბოლოვდება – **er**-ზე, გვაძლევს ხმოვნების მონაცვლეობის შემდეგ სურათს **devo** – უნდა, **deves, deya, cemo** – ვჭამ, იმისდა მიხედვით რაზე ბოლოვდება სიტყვა **o, a, e**-ზე; **-ir**-ზე დაბოლოებულ ზმნებში ეს განსხვავება უფრო საგრძნობია. 1) **sinto, sentes, sentimos**, კავშირებით კილოში **sinta**, ბრძანებით კილოში **sknte**; 2) **subo** – მალლა სვლა, **sqbes, subimos**, კავშირებით კილოში **suba**, ბრძანებით კილოში **sqbe**. პორტუგალიურში არაწესიერი ზმნების უმრავლესობა უფრო ახლოსაა ლათინურ კლასიკურ ფორმებთან, ვიდრე ესპანურში.

არსებითი სახელი. იბერიის ნახევარკუნძულის ენებში არსებითი სახელები იყოფა სამ კლასად: I კლასს განეკუთვნება მდებარებითი სქესის არსებითი სახელები, მაგალითად: **cabra** – თხა. (ორივე ენაში) მრავლობით რიცხვში **cabras**. II კლასს განეკუთვნება მამრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდება **o**-ზე, მრავლობით რიცხვში – **os**; მაგალითად: **lobo** – მგელი (ორივე ენაში) **lobos** – მგლები. III კლასი მოიცავს მამრობით და მდებარებით სქესის **e**-ზე დაბოლოებულ არსებით სახელებს, მრავლობით რიცხვში – **es**; მაგალითად: **monte** – **montes** – მთა – მთები (ორივე ენაში), მაგრამ მხოლოდით რიცხვში შეიძლება

არ ქქონდეს არსებით სახელს დაბოლოება; მაგალითად: **voz** – ხმა, მრავლობით რიცხვში **voces** – ესპანურში, **vozes** – პორტუგალიურში. ზედსართავი სახელები, რომლებიც თავის დაბოლოებით უთანხმდება არსებით სახელებს, ორ კლასად იყოფა: I – ესპანურში და პორტუგალიურში **lento**, **a** „ქელი“ მრავლობით რიცხვში **os**, **as**; II – ესპანურში **fuerte**, პორტუგალიურში – **forte** „ძლიერი“, მრავლობით რიცხვში **es**; (სადაც დაბოლოება არ უთანხმდება არსებით სახელს სქესის მიხედვით). რაც შეეხება ნაცვალსახელებს, აქ ორივე ენაში მსგავსი ფორმები არსებობს, მაგალითად: ესპ. – **yo**, პორტ.: **eu**, **tu**. მრავლობით რიცხვში – **nos**, **vos**; ასეთივე მსგავსებებია ჩვენებითი ნაცვალსახელების სისტემაში, მაგალითად: ესპანურში – **este**, **esta** - ეს. (საშ. სქესი – **esto**) მრ.რ. – **estos**, **estas**, პორტუგალიურ ენაში – **esta**, მრავლობით რიცხვში – **estes**, **estas**. განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს განეკუთვნება ესპანურში – **uno**, პორტუგალიურში – **um**, **uma**, - ვიღაც, **otro** – ესპ. **outro** – პორტუგალიურში (სხვა). დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ესპანურმა და პორტუგალიურმა ენებმა განვითარების ხანგრძლივი გზა განვლეს და მიუხედავად იმისა, რომ ორივე ენა იბერიის ნახევარკუნძულის ენებია, მათ მაინც გააჩნიათ როგორც მსგავსი ენობრივი ფორმები ასევე ბევრი განმასხვავებელი ნიშანი, როგორც ფონეტიკურ, ასევე ლექსიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე.

წინადადება. პორტუგალიურისა და სხვა რომანული ენებისაგან განსხვავებით ესპანური ენა იყენებს სამუალო სქესის წევრს, იმ დროს სადაც ხაჭირთა ხაზი გაუსვან მის რომელიმე თვისებას. მაგალითად: **lo hermoso** – შესანიშნავია, **lo verdadero** – ჭეშმარიტია. წინადადების სტრუქტურა ესპანურში აიგება იმის მიხედვით, რომ ქვეშდებარე დგას ზმნის შემდეგ. ზმნა უმეტეს შემთხვევაში წინადადების თავში დგას. მაგალითად: **Contó el ventero a todos** – სასტუმროს მუკატრონემ ყველას უამბო. პორტუგალიურმა თითქმის იგივე ეტაპები განვლო, რაც ესპანურმა ენამ. მასში გამოიყენება

შერეული კონსტრუქციები და მთავარ წინადადებაში პირობის გამოსახატავად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თხრობითი კილოს არასრული ასპექტის წარსულის დრო. მაგალითად: **Se tivesse dinheiro dava-lho** – ფული რომ გქონდეს მას მისცემდი. ესპანურში კი იმავე აზრის გადმოსაცემად გამოიყენება **Si tuviera daría**. მაგალითად: **si tuviese dinero, se lo daría**.

იტალიური ენა. იტალიკის ნახევარკუნძული ეველაზე დიდხანს სხვა რომანულ ოლქებთან შედარებით რჩებოდა პოლიტიკურად დანაწევრებული. შუა საუკუნეებში იტალიის სამხრეთს ფლობდნენ ნორმანები, შემდეგ კი ანჟუის დინასტიის წარმომადგენლები. ჩრდილოეთში მიმდინარეობდა ბრძოლა პაპებსა და იმპერატორებს შორის. სწორედ ამ პერიოდში ძალიან ბევრმა ქალაქმა მმართველობის დამოუკიდებლობა მოიპოვა. რომის იმპერიის დაშლის შემდეგ (476წ) გაქრა ის უკანასკნელი საყრდენი, რომელიც იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების როგორც სახელმწიფოებროვ ასევე ენობრივ ერთიანობას ასე თუ ისე იხარჩუნებდა. ბუნებრივია, რომ ის ენობრივი განსხვავებები, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ რომანიზაციის პერიოდიდან, უფრო და უფრო გაღრმავდა. ხალხურა სასაუბრო ლათინურის ტერიტორიული ვარიანტები ნელ-ნელა გადაიზარდა იმ მოვლენაში რასაც ადრეული რომანული ენები ეწოდება. მათ შორის, რასაკვირველია იყო ის მეტყველება რასაც მოგვიანებით **lingua italiana** ეწოდა. ამ მოვლენის პარალელურად ბუნებრივია ყალიბდებოდა ის ეთნოსი, რომლისთვისაც ეს ენა მშობლიური იყო და რომელთაც მოგვიანებით იტალიელები ეწოდეს. იტალიური ენის ჩამოყალიბების პროცესს შეიძლება თვალი მივადევნოთ უკვე მეექვსე საუკუნიდან. სწორედ ამ პერიოდიდან გვხვდება სხვადასხვა ლათინურ ტექსტში ჩართული ცალკეული სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც უკვე აშკარად აღარ არის ხალხური ლათინურის სიტყვა. ისმის კითხვა, რით შეიძლება აიხსნას ასეთი გამონათქვამების ან ცალკეული სიტყვების მოხვედრა

ლათინურ ტექსტში? მიზეზი ძირითადად ორია: 1) თვითონ (ნოტარიუსთა) გადაშწერთა უცოდინრობა ან 2) იტალიური გამონათქვამების შეტანა ტექსტში ხდება შეგნებულად, რათა ის გასაგები ყოფილიყო ხალხისთვის, რომლებმაც ლათინური ენა უკვე დაივიწყა. იტალიურ ენაზე დაწერილი ყველაზე ძველი გაბმული ტექსტია ე.წ. „ვერონული გამოცანა“ *“indovinello veronese”*, რომელიც შეიქმნა ვერონაში VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე, უცნობი პიროვნების მიერ, რომელსაც ეს გამოცანა მიუწერია რელიგიური წიგნის არშიაზე. (გამოცნის შინაარსია: შავი თესლი თუთრი ხნული, თესლი მთესველს ეუბნება) მე-2-ე იტალიური წერილობითი ძეგლია ე.წ. *„I placiti cassinesi”* (კასინეზების სარჩელი). 960-963წ შექმნილი იურიდიული დოკუმენტია, რომელიც მონტეკასინოს მონასტრის მიწების გამო ატეხილ დავას და მოწმეების ჩვენებას ასახავს. მოწმეების მიერ იტალიურად წარმოთქმული ჩვენებები ჩართულია ლათინურ ტექსტში. დიდი წვლილი შეიტანა იტალიური ენის განვითარების საქმეში სიცილიური სკოლის ჩამოყალიბებამ. თავდაპირველად ფლორენციას იტალიური ენის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელო როლი ეკავა, შემდგომში კი ფლორენციაში ხელოვნების განვითარებას (რომელსაც სათავეში ჩიმაბუე და ჯოტო ედგნენ) მოყვა ლიტერატურის განვითარება. XIII-XIV საუკუნეებში შიდა დაპირისპირების მიუხედავად, იტალიამ მიაღწია თანდათანობით მნიშვნელოვან აყვავებას თავისი მრეწველობის განვითარებითა და საზღვაო ვაჭრობით. გაჩნდნენ გამოჩენილი მწერლები და მხატვრები. განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია მედიჩების დროს ფლორენციამ. იტალიურის როგორც სრულყოფილი ენის ჩამოყალიბებას უნდა ვუმაღლოდეთ დანტეს XVI საუკუნეში. მან ისე მოხერხებულად შეუთავსა ერთმანეთს კლასიკური ლათინური, „ეოლგარე“ გალიციზმები და კუნძულზე არსებული სხვადასხვა დიალექტები რომ მისი ნაწარმოები გასაგები იყო ნახევარკუნძულის თითქმის ყველა მაცხოვრებლისათვის, მან ასე შექმნა უდიდესი ნაშრომი „ღვთაებრივი კომედია“. შემდგომში

ეს საქმიანობა გააგრძელეს პეტრარკამ და ბოკაჩომ. ასე მოხდა იტალიურის როგორც ეროვნული ენის ჩამოყალიბება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის ტერიტორიაზე ჩვენ ვხვდებით არაერთ დიალექტს. განსაკუთრებული ადგილი დიალექტებს შორის უკვიაა სარდინიულ დიალექტს. დიალექტები იყოფა სამ ჯგუფად. ჩრდილოეთ დიალექტები ცნობილია გალო-იტალიკური დიალექტების სახელით, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებულია ვენეციური დიალექტი, რომელიც ახლოსაა ცენტრალური ჯგუფის დიალექტებთან. ბოლო ჯგუფს განეკუთვნება ტოსკანური დიალექტი, რომლის მთავარი ვანშტოებაა ფლორენციული დიალექტი რაც საფუძვლად დაედო ლიტერატურულ ენას.

ბგერები. ხმოვნები. იტალიურმა ენამ დღევანდელობამდე შემოინახა ლათინური ენის ყველა ხმოვანი, გარდა “**f**” და “**q**”-სი. ამგვარად იტალიურად ამბობენ **prato**-მდელი, **filo**-ძაფი, **muro**-კედელი; “**f**” გარდაიქმნა დიფტონგად და მიიღო ფორმა “**ie**”, ხოლო ბგერა “**q**” “**uó**”-დ. დიფტონგების ამ სახემ დღევანდელობამდე მოადწია. მაგალითად: **ieri**- გუშინ, **nuovo**- ახალი. დიფტონგიზაციას წინ უსწრებდა ხმოვნის განთავსება დახურულ მარცვალში **sette** - შვიდი, **corpo** - სხეული. როგორც წესი, დიფტონგიზაცია არ შეხებია სიტყვებს, რომელთაც მახვილი ეცემოდათ ბოლოდან მეხამე მარცვალზე — **popolo** - ხალხი. დიფტონგმა “**ie**”-მ ძალა დაკარგა წინასასისმიერი ბგერების და ბგერა „**g**“ შემდეგ. **gelo** - ყინვა, **cielo** - ცა, **prega** - თხოვს. ასევე მოხდა დიფტონგ “**uo**”-ს შემთხვევაში **prova** (**pruova**) - მტკიცებულება, **figliolo** - შვილი. რაც შეეხება სიტყვას **nuovo** - ახალი, ჩრდილოეთ კორსიკაზე დღესაც ამბობენ **novo**. ვენეციურ დიალექტში “**o**” გადაიქცა დიფტონგად ბაგისმიერ ბგერებთან **puoco**-ცოტა, **puovero** - ღარიბი (**poco, povero**) იტალიურმა ენამ შეინარჩუნა “**a**” “**i**” “**u**” და აგრეთვე “**o**” ხმოვნები. მაგალითად: **corona** - გვირგვინი, **portare** - ტარება. სიტყვის დასაწყისში **e**-ს **i**-დ გადაქცევა ტოსკანაში

აუცილებელ პირობად იქცა. **sicuro** – დარწმუნებული, **misura** – ზომა. ამით იხსნება ის, რომ უმახვილო წინდებულმა **de-** არსებითი სახელის წინ მიიღო ფორმა **di (di padre-de pater)** ხშირ შემთხვევაში ბაგისმიერი ბგერის შექმნე მდგომი “e” გადაიქცა **o-**ლ, **domani-(demane)-ხვალ**. პირველ მარცვალში დიფტონგ **au-**ში შესუსტდა ხმოვანი **a** და დარჩა “u” **uccidere (aucidere)** – მოკვლა.

თანხმოვნები. იტალიური ლიტერატურული ენა დღემდე ინარჩუნებს ლათინურ ენაში არსებულ ყველა თანხმოვანს, გარდა “k”-სი, რომელიც გადაჟიდა **ix-**ში **cervo** – ირემი და “y”-ს **dž-**ში, **giace** – დევს. რაც შეეხება თანხმოვანს “g”-ის ძველ ლათინურში არ არსებობდა, ასევე არ არსებობდა ძველ ლათინურში “y”, “z”. ეს თანხმოვნები ბერძნული ენიდან შემოვიდა; “v” წარმოითქმოდა როგორც “u”. მაგალითად: “**vinvm**” (**vino** – ღვინო) წარმოითქმოდა [**uinum**]. სიტყვათშეთანხმებებში „k|” “g|” “b|” “f|”, “l” რედუცირდა “y”-ლ (**chiave** – გასაღები, **pieno** – საყსე, **flamma** – ცეცხლი) სიცილიაში ინტერვოკალური “d” გადავიდა “r”-ში, **donnaronna**. იტალიურ ენაში “tr” რედუცირდა “dr”-ში, **patrem-padre** – მამა; “gr” რედუცირდა “cr”-ში. მაგალითად: **lagrima-lacrima** – ცრემლი.

სიტყვა (სიტყვათა შერჩევა და სესხება). იტალიურ ენაში, მისი ისტორიული და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყველაზე მეტად უნდა იყოს შენარჩუნებული ლათინური სიტყვები. სინამდვილეში კლასიკური ლათინური ენის სიტყვები, თანამედროვე იტალიურ ენაში მცირე რაოდენობით გვხვდება. მაგალითად: **pecora** – ცხვარი, ლათინურ ენაში იყო და ასეთივე სახით გვხვდება დღესაც იტალიურში; **asilus-assilo** – ვირი, **litus-lido**-ნაპირი. ამ სიტყვაში პატარა სახეცვლილებას აქვს ადგილი. რომანულ ენათგან მხოლოდ იტალიურმა ენამ შეინარჩუნა ლათინური ზმნები – **juvare-**

giovare – სიხარული, **friendere-friendere** – ჰრისკინი. იტალიურმა ენამ ლათინურიდან შეინარჩუნა აგრეთვე ზმნიხედები **praesto-presto** – ადრე, მალე; **forsit-forse** – ალბათ. არსებული სახელები: **muratorem-muratore** – კალატოზი. ამ ჩამონათვალს საგრძნობლად გავამდიდრებთ თუ დაეურთავთ დიალექტებში შემორჩენილ ლათინურ სიტყვებს; კალაბრიაში – (სამხრეთ იტალიაში) – **irku (hirkus)** – ვაცი, ვერონაში (ჩრდილოეთ იტალია) **manil-manile** – სამკაული. ძალიან ბევრი ლათინური სიტყვა გვხვდება კუნძულ სარდინიაზე, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილში, მაგალითად, სარდინიაზე დღემდე სახლის აღმნიშვნელად იხმარება ლათინური სიტყვა **domo (domus)** ხოლო თანამედროვე იტალიურ ენაში ეს სიტყვა **duomo** – ეკლესიას აღნიშნავს. სარდინიაში ასევე შენარჩუნებულია **emmo (immo)** – რამდენიმე, **antinu (hactenus)** – აქამდე. მეორე მხრივ, იტალიაში, სადაც ლათინური ენის გავლენა არასოდეს შეწყვეტილა, სწავლულებმა თავიდანვე დაუმკვიდრეს ადგილი ენაში მწიგნობრულ სიტყვებს. დანტემ თავის შემოქმედებაში გამოიყენა ისეთი ფორმები როგორცაა **viro** – ქმარი, **loco** – გიჯი, **studio** – სწავლება, **abitudine** – ჩვეულება, **nobile** – ცნობილი, **facile** – ადვილი. ვენეციაში და ლომბარდიაში ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა შეტაფორები და აზრობრთვად დამახინჯებული სიტყვები: **bolla** (ძირმაგარა) – ქალაქი, **fungo** (სოკო) – ცილინდრი, **florire** (აყვავება) – ქურდობა **comprare** (ყიდვა) – გაქცევა. შუა საუკუნეებში იტალიურ ენაში (ისევე როგორც ესპანურსა და ფრანგულში) იხმარებოდა არაბული სიტყვები **algebra, cifra, zenith**. დიდი გავლენა მოახდინა ფრანგულმა და პროვანსალურმა ენებმა. იტალიურში პროვანსალური ნასესხობებია **miraglio** – სარკე, **malastru-** უბედურება, **noia** – მოწყენა, და **anza** – ზე დაბოლოებული სიტყვები **alegranza** – სიხარული, **disperanza** – სასოწარკვეთა. ჩრდილოეთ საფრანგეთიდანაა ნასესხები: **gioia** – სიხარული, **follia** – სიგიჟე. შემდგომში უკვე დანტე ხმარობს გალიციზმებს: **ostello** – საცხოვრებელი, **argento** – ფული. ხშირად ვხვდებით

ფრანგულიდან ნასესხებ სიტყვებს **biglietto** – ბილეთი, **arresto** – გაჩერება, დაპატიმრება, **toiletta** – ტუალეტი, **assamblea** – მუხვედრა. აგრეთვე დიდი გავლენა მოახდინა გერმანიკულმა დიალექტებმა **scatola-castula** – ზარდახშა, **cinghia-slinga** – ლუელი.

სიტყვაწარმოება და სიტყვათა შეთანხმება. სიტყვათა წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კნინობით სუფიქსებს: **ino** – **bichierino** – ჭიქა, **ello** – **asinello** – ვირი, **etto** – **libretto** – ბროშურა, **uccio** – **boccucia** – პირი, **one** – **librone** – დიდი წიგნი. იტალიურ ენაში ვხვდებით აგრეთვე სუფიქსებით ნაწარმოებ ზმნებს: **-izare** – **signorizare** – გაბატონება, **-are**, **ladroneggare** – ყაჩაღობა. მოქმედი პირის დასახელება სუფიქსების მეშვეობით ხდება **tore** – **muratore** – ქვისმოთელელი, **aio** – **calzaio** – მწალე, **iere** – **barbiere** – დალაქი, **ardo** – **bugiardo** – მატყუარა. დიდი ზეგავლენა მოახდინა ლათინურმა ენამ იტალიური ენის სიტყვათა შეთანხმებების წარმოებაში **crocevia** – გზაჯვარედანი (**croce** – ჯვარი, **via** – გზა), **capocuoco** – უფროსი მზარეული (**capo** – უფროსი (თავი) **cuoco** – მზარეული. ლატერატურულ ენაში ვხვდებით სიტყვათშეთანხმების შემდეგ ტიპს, როდესაც ერთმანეთს ერწყმის ორი ფუძე „i“-ს მეშვეობით: **codirosso** – ბოლოცეცხლა. იტალიურ ენაში, ისევე როგორც სხვა ენებში სიტყვათა მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლება. ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ზმნა **pigliare** აღნიშნავდა მოპარვას, ხოლო შემდეგ მიიღო მნიშვნელობა ალება. მაგალითად სიტყვას **minestra** თავდაპირვალად ქონდა მნიშვნელობა – მომზადება, საქმე, ხოლო შემდეგ უკვე ვხვდებით წვნიანის მნიშვნელობით; **sedia** – ადგილსამყოფელი, ახლა ნიშნავს სკამს; მაგალითად: **sedia in cielo** ვხვდებით პეტრარკასთან. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეტაფორიზაციაში. შუა საუკუნეებში მოლაპარაკე ჩიტნი, რომელსაც ბერძნები და ლათინები ხუმრობით უწოდებდნენ **psitacus** – თუთიყუში, შემდგომში კი ხუმრობით უწოდებდნენ-

parocchetto; buffare – კვნესა, **bufone** – ადამიანი, რომელიც ლაპარაკობს სისულელეებს; **grattare** – ფხანა – და შექმდგომში კი მხარდაჭერა.

ზმნა. ლათინურ ენაში ზმნები იყოფოდა უღლებების მიხედვით 4 ჯგუფად. ფუძეს ერთვის ინფინიტოვის ნაწილაკი **re**.

1. ფუძე მთავრდება **a-**ზე **ornare**-მორთვა
2. ფუძე მთავრდება **e-**ზე **delere** დაყოფა, განლაგება
3. ფუძე მთავრდება **e-**ზე აქ **e** არის შემაერთებელი ხმოვანი, ფუძე კი მთავრდება თანხმოვანზე რომელიც **e-**ს წინ დგას ან ხმოვან **u** – ზე, **tagere** დაკრუფა, **statuere**-დადგმა
4. ფუძე მთავრდება **i-**ზე, **punire** – დასჯა

პირველი, მეორე და მეოთხე ხმოვანფუძიანი უღლებაა, ხოლო მესამე ძირითადად თანხმოვანფუძიანი. იტალიურ და სხვა რომანულ ენებშიც მოხდა ზმნის სისტემების გამარტოება, გაქრა მესამე ტიპის უღლება, ამ ტიპის ზმნები გადანაწილდა მეორე და მეოთხე ჯგუფში. ამასთან ძველ იტალიურში ხდებოდა ზმნების გადასვლა ერთი უღლებიდან მეორეში. მაგალითად, ლათინური **capere-capire**-გაგება. შეიქმნა ზმნების ჯგუფი სუფიქსით „**sc**“, იტალიურში „**sc**“ სუფიქსით ზმნები გვხვდება მხოლოდ **ire** – ჯგუფში და მხოლოდ **presente**-ში; **preferire** – მჯობინება (**io preferisco**), **capire** – გაგება (**io capisco**), **finire** – დასრულება (**io finisco**). თანამედროვე იტალიურ ენაში ზმნები იყოფა უღლებების სამ ჯგუფად.

1. **are** – ზე დაბოლოებული, **parlare** – ლაპარაკი
2. **ere**-ზე დაბოლოებული **credere** – დაჯერება
3. **ire** –ზე დაბოლოებული **aprire** – გაღება

არსებითი სახელი. მორფოლოგიის სფეროში იტალიური ენა თითქმის ინარჩუნებს ხალხური ლათინურის განვითარების ბოლო საფეხურს. თუ მთლიანობაში შევადარებთ ლათინურის და იტალიურის (აგრეთვე სხვა რომანულ ენებს) არსებითი სახელის მორფოლოგიას, დაეინახავთ, რომ მათ შორის რადიკალური

განსხვავებაა. გაქრა საშუალო სქესი, თრობითი რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიები და ბრუნვის კატეგორია. ლათინურ ენაში ყველა არსებითი სახელი განაწილებული იყო სამი სქესის ფორმალურ კლასში, რომლებსაც პირობითად ერქვათ „მამრობითი“, „მდედრობითი“, „საშუალო“. ასეთი დაყოფა გარკვეულ წილად უკავშირდება არებითი სახელის სემანტიკურ კლასიფიკაციას, სულიერ და უსულო სახელებს. ამ ორ კატეგორიას შორის ცალსახა შესაბამისობა არ არის, სულიერ არსებთა სახელებს კიონდა მხოლოდ მამრობითი ან მდედრობითი სქესი, რაც შეეხება უსულო არსებით სახელებს, მათ სამოც სქესი გააჩნდა. ლათინური სისტემიდან რომანულზე გადასვლისას მოხდა შემდეგი ცვლილება. ბოლოკიდური „m“ „s“ დახუსტების შედეგად (საშუალო სქესის დაბოლოება ლათინურ ენაში იყო **um, us**) საშუალო სქესი გაქრა. მისი როგორც მორფოლოგიური კატეგორიის გაქრობა განპირობებული იყო იმითაც, რომ საშუალო სქესი სემანტიკურად არ იყო დასაბუთებული. ბევრი საშუალო სქესის არებითი სახელი გადავიდა მამრობით სქესში. ეს პროცესი ლათინურში საკმაოდ ადრე დაიწყო. ხალხური ლათინურიდან იტალიურ ვოლგარეში გადასვლისას დაიკარგა ეს ბოლოკიდური „s“ **cellos-cello** – ცა; „e“-ზე და **men**“ზე დაბოლოებული საშუალო სქესის სახელები იტალიურ ვოლგარეში მამრობით სქესში გადავიდა: **lumen-lume** – შუქი, **lactum-latte** – რძე. ლათინურში ზოგიერთ საშუალო სქესის არებით სახელს პიონდათ დაბოლოება „a“, ამის გამო ისინი გაიზარებოდა როგორც მხოლოდითი რიცხვის მდედრობითი სქესის არსებითი სახელები. ამასთან ასეთი ტიპის ლათინური არსებითი სახელები მხოლოდითი რიცხვში ან საერთოდ გაქრა ან გააზრებული იქნა როგორც მამრობითი სქესის სახელები. ამ პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა განსხვავებული ლექსიკური ერთეულები:

sing. filium-foglio – ფურცელი

plur. folia-folia – ფოთოლი

საშუალო სქესი სრულიად გაქრა, ამ ჯგუფის სახელები

ძირითადად გადანაწილდა მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებში, საშუალო სქესის კატეგორიის ბაზაზე ჩამოყალიბდა ახალი გრამატიკული ქვეკლასები, იტალიური არსებითი სახელები ე.წ. ორმაგი სქესის არსებითი სახელები. მხოლოდით რიცხვში ისინი მამრობითი სქესისაა, ხოლო მრავლობით რიცხვში მდედრობითი სქესის. მაგალითად: **il ditto-le dita** – თითი, **il braccio-le braccia** – მკლავი.

ნაცვალსახელი. იტალიურ ენაში შენარჩუნებულია ლათინური ენის პირის ნაცვალსახელების მხოლოდობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის ნიშნები, და მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები. ხოლო რაც შეეხება მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელებს მათ შემდეგი სახის ცვლილება განიცადეს. ლათინურ ენაში მხოლოდობითი რიცხვის მამრობითი სქესის პირის ნაცვალსახელი იყო „**elli**“ ხოლო დღეს არის „**lui**“, მხოლოდობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელი იყო „**ella**“, ხოლო დღეს არის „**lei**“. რაც შეეხება მრავლობითი რიცხვის შესამე პირს, მამრობითი სქესის გამომხატველი იყო „**egli**“, ხოლო მდედრობითი სქესის გამომხატველი „**elle**“ დღეს გვაქვს ფორმა „**loro**“. თანამედროვე იტალიურმა ენამ კუთვნილებითი ნაცვალსახელების მხოლოდ მახვილიანი ფორმები შეინარჩუნა. მამრობითი სქესში – **mio** – ჩემი, **miei** – ჩემები, **tuo** – შენი, **tuoi** – შენები. მდედრობითი სქესი – **mia** – ჩემი, **mie** – ჩემები, **tua** – შენი, **tue** – შენები. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ლიტერატურაში დღესაც ვხვდებით ძველ უმახვილო ფორმებს: **Madonna** – ქალბატონო, **signormo** – ჩემო ბატონო.

წინადადება. ლათინურ ენაში, თავაზიანი ფორმის გამოსახატავად გამოიყენებოდა მრავლობითი რიცხვის მეორე პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი – **voi**, ხოლო თანამედროვე იტალიურ წინადადებაში თავაზიან ფორმას

გამოვხატაეთ **Lei** ფორმით. (**Lei e' un galantuomo** – თქვენ გულახდილი ბრძანდებით). ლათინურ ენაში მიმართულების აღსანიშნავად გამოიყენებოდა როგორც **da** ასევე **di** წინდებული, ხოლო იტალიურ ენაში ვხვდებით მხოლოდ **da** წინდებულს. ლათინურში მიცემითი ბრუნვის მახვილიანი ნაცვალსახელი უწინდებულად გამოიყენებოდა (**risposi lui** – უპასუხა მას) ხოლო იტალიურში წინდებული აუცილებელია (**risposi a lui** – უპასუხა მას). წინადადების წვერების ან სატყვეების შესაერთებლად გამოიყენება კვშირი: **e-და**. უარყოფისას **ne (prese una torta, ne volle dargliene** – ავიღე ტორტი და არ ვისურვე მისთვის გამგყო); კავშირი: **o-ან, ma** – მაგრამ. თანამედროვე იტალიურში **ma-ს** მაგიერად ხშირად ვხვდებით **pero-ს**, (**mi piace, pero non ho soldi per comprarlo** – მომწონს მაგრამ ფული არ მაქვს მის საყიდლად). ვხვდებით აგრეთვე შემდეგ კავშირებს: **anzi** – კიდევ, **tuttavia** – მიუხედავად, **per altro** – სხვათა შორის, **anche** – აგრეთვე, **dunque** – ამიტომ, აქედან გამომდინარე მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს აკავშირებს **che**. შედარებით წინადადებაში ვიყენებთ შემდეგ სიტყვებს **tanto-quanto** – იმდენად-რამდენად, **cosi-come** – ისე-როგორც, **non e' cosi ricco come si dice** – არც ისე მდიდარია, როგორც ამბობენ; **non e' tanto iteligente, quanto bravo-** არც იმდენად ჭკვიანია, რამდენადაც ყოჩაღი. იტალიურში წინადადება უფრო პარმონიულია ვიდრე ესპანურში და მეტად მოქნილი. წინადადების წვერებს შორის შეიძლება არსებობდეს ძნელად შესაძნევი წყვეტა, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება უწყვეტი ხმის ნაკალით.

რუმინული ენა. XII-XIII საუკუნეებში რუმინეთი გაიყო ორ არათანაბარ ტერიტორიულ ნაწილად – ვლახეთისა და ბესარაბიის სათავადოებად. ამ უკანასკნელის სახელი დაკავშირებულია ალექსანდრე ბესარაბის სახელთან, რომელიც იბრძოდა 1325წ უნგრელების წინააღმდეგ. ოსმალეთურების მოსვლის შემდეგ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდგომარეობა

კიდევ უფრო გართულდა. ორივე სათავადო მონაწილეობას იღებდა მუდმივ ომებში. საბოლოოდ XV საუკუნეში მათ თავი სცნეს თურქების ვასალებად. მცირე პერიოდის შემდეგ XVI საუკუნეში მიხილ მამაცმა კვლავ განაახლა თურქების წინააღმდეგ ბრძოლა და მალე ეს ორი სათავადო გაერთიანდა, თუმცა XVII საუკუნის დასაწყისში მათ კვლავ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განაგრძეს არსებობა. XVII საუკუნეში, ვლახეთის რეორგანიზაციის შემდეგ მარტვილ ბასარაბმა (1633-1654წწ) ეკლესიებსა და სკოლებში სლავური ენის ნაცვლად შემოიტანა რუმინული ენა. შემდგომი პერიოდი 1711-1821 წლები, ცნობილია როგორც ფანარიოტების პერიოდი, როცა ორივე სათავადოს მართავდნენ კონსტანტინოპოლიდან ჩამოსული ბერძენი თავადები.

1821 წლიდან დუნაის სანაპიროზე ძირეული ცვლილებების შემდეგ ნახევარკუნძულზე დაიწყო რუსული გავლენის გაძლიერება. რუსებმა არა ერთხელ დაიკავეს ორივე ტერიტორია. ყირიმის ომის შემდეგ კი 1859წ, პარიზის ტრაქტატის მიხედვით ორივე სათავადო გაერთიანდა და ბუქარესტი გახდა მათი საერთო დედაქალაქი. ზოლო 1881 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ჩამოყალიბდა რუმინეთის სამეფოდ. პირველი წერილობითი ძეგლები გვხვდება XVI საუკუნის მეორე ნახევარში, რომელიც თავდაპირველად რელიგიურ ხასიათს ატარებდა. ამ დროის მნიშვნელოვან ნაშრომად ითვლება 1561 წლით დათარიღებული ევანგელეს და 1577 წლით დათარიღებული ფსალმუნების თარგმანები, რომლებიც ნათარგმნია ვლახურ დიალექტზე, როგორც XVII საუკუნის მნიშვნელოვანი რელიგიური ტექსტები.

რუმინული ენა, რომლის დამწერლობა თავდაპირველად სლავური იყო და ლექსიკაშიც ჭარბობდა სლავური სიტყვები, დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა არარომანულ ენად. ლათინური ანბანის შემოტანის პირველი მცდელობა თარიღდება 1800 წლით, თუმცა საბოლოოდ, მისი დამკვიდრება 60 წლის შემდეგ მოხდა.

1919 წლიდან რუმინეთის მოსახლეობა შეადგენდა 16-17 მილიონ ადამიანს. დღესდღეობით ეს რიცხვი გაიზარდა დაახლოებით 25 მილიონამდე, რომელიც შედგება ინგლისელების, სლავებისა და გერმანელებისაგან.

რუმინული ენა იყოფა რამდენიმე დიალექტად. მათ შორის მნიშვნელოვანია სამხრეთულ-ვლახური, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სალიტერატურო ენას, აღმოსავლურ-მოლდავეური, რომელზეც ლაპარაკობს ბესარაბიისა და ბუკოვინის მოსახლეობა და დასავლურ-ტრანსილვანიური.

ხმოვნები. რუმინული ენის ხმოვანთა სისტემა განსხვავებულია სხვა რომანული ენების ხმოვანთა სისტემისგან მასში **ă** ხმოვნის არსებობით, რომელსაც ზორხისმირ ბგერას უწოდებენ და შენარჩუნებულია მხოლოდ სიტყვის დასაწყისში. მას ბევრი საერთო აქვს რუსულ **ѣ**-თან. ეს არის **u** და **i** შორის შუალედური ხმოვანი, რომელიც არტიკულაციის ადგილის მიხედვით საშუალო რიგის ხმოვნად ითვლება. რომის იმპერიის დროს აღმოსავლურ ლათინურ ენაში მხოლოდ **n** ხმოვანი იყო. **a(=ă, ā), e(=e), c(=cī), i(=ī), o(=ō), u(=ū, ū)**. რამდენიმე მათგანი რუმინულმა ენამ დღემდე შეინარჩუნა.

მაგალითად: **capră – capra** - დედალი თხა; **cred – crēdo** - მჯერა; **lok – locum** - ადგილი; **jur – jūro** - ვფიცავ; **nod – nodum** - კვანძი; **gură – gula** - ყელი. ლათინურიდან მოყოლებული ხმოვანი **o** თანხმოვან **n**-ის წინ შეიცვალა **u**-დ. მაგალითად: **hum – კარგი, carbum – ნახშირი, munte – მთა**. მაგრამ შენარჩუნდა თანხმოვან **m** და **mn**-ის წინ. მაგალითად: **om – hōmo** - ადამიანი, **pom – pōmn** - ვაშლი, **semn – sōmnun** - სიზმარი. დაახლოებით ამ პერიოდში ხმოვანი **o** გარდაიქმნა დახურულ **e**-დ თანხმოვნების **n, m**-ის წინ. მაგალითად: **tempu** - დრო, **dente** - კბილი. უფრო ადრეულ პერიოდში კი ხანამ რუმინელები ორ განსხვავებულ ჯგუფად ჩამოყალიბდებოდნენ, ხმოვნები **e, i, o**, და **o** გაიხლიჩა ლათინური დაბოლოების წინ. **a** და **e** ხმოვნები გარდაიქმნა **ea, iea** და **oa** ხმოვნებად, რის გამოც

თანამედროვე რუმინულ ენაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მდებრობითი და მამრობითი სქესის ფორმები. მაგალითად: **dreaptă – dirēcta** – პირდაპირი, **drept – dirēctu**, **o-ს** **oa-** ად გახლეჩის შემდეგ ახალმა დიფტონგმა მყარად დაიკაუა ადგილი რუმინულ ენაში, მხოლოდ მახვილი გადავიდა **oa-** ში. მაგალითად: **sōlem – soare** – შუე; **-poartă – pōrta-** კარი. სხვაგვარად მოხდა **ea-ს** და **ica-ს** შემთხვევაში, რომლებმაც შედარებით მეტი ცვლილება განიცადეს. თავდაპირველად ტრიფტონგა **ica** რედუცირდა **iă-**ში. მაგალითად: **iearba – iarbă** – ბალახი. **pieatra – piatră** – ქვა. ხოლო **ea** ხმოვნები გარდაიქმნა **a** ხმოვნად. მაგალითად: **teară – tara** – ქვეყანა **șeapte – șapte** – შვიდი; VIII, IX -საუკუნეებში მოხდა მახვილიანი **i-ს** გარდაქმნა **â-**დ თანხმოვნის **r-**წინ, რომელიც წარმოითქმოდა ძლიერი ვიბრაციით როგორც ორმაგი **rr**. მაგალითად: **râm-** მდინარე; **râde** - სიცილი. თანამედროვე რუმინულ ენაში მახვილიანი **a** გადადის **ă** ხმოვანში ბოლო **i-ს** წინ, მაგრამ შენარჩუნებულია **e** ხმოვნის წინ. მაგალითად: **mare – mări** ზღვა მრავლობით რიცხვში; **cetate- cetăți** ქალაქი მრავლობით რიცხვში. XII საუკუნეში ხმოვანი **ê** შეიცვალა **â-**თი იმ სიტყვებში, რომელთა ბოლო მარცვალში იყო ხმოვანი **i**. მაგალითად: **măr – melum** – ვაშლი; **făt – fetum** – ბავშვი.

თანხმოვნები. რუმინულ ენაში თანხმოვნებმა თითქმის ყველა ცვლილება განიცადა ჯერ კიდევ რუმინელების ორ ტერიტორიულ ჯგუფად გაყოფამდე, შესაბამისად ეს ცვლილებები მომდინარეობს აღმოსავლური ლათინური ენიდან. იტალიისათვის და აღმოსავლეთისათვის საერთო ცვლილება იყო **ty, ky** ასიმილაცია **ts-**ში რომელიც **ś** და **ú** მახვილების წინ გადავიდა **tś – ში**. მაგალითად: **tăciune – titiōnem** – მუგუზალი; **măciucă – matteúca** – რეგენი; **ulcior – urceólum** – დოქი. აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ცვლილებებია: 1. ინტერვოკალური **l** შეიცვალა **r** ხმოვანით მაგალითად: **soare – solem** შუე; 2. თანხმოვნების **kt-**ს გადასვლა

pt-ში, ks-ს გადასვლა ps-ში. მაგალითად: **lapte** – lactem-რძე; **coapsă-coxa** – თქო. თუ განვიხილავთ იმ ცვლილებებს, რომელიც რუმინულმა ენამ განიცადა ორ ტერიტორიად გაყოფის შემდეგ, შეიძლება მივიღოთ რედუცირების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა; ჩრთილოეთში ყრუ მარცვლები **ts** და **čš** შემორჩა სიტყვებში: **tară** – ქვეყანა; **brat** – ხელი; **cerb** – არწივი. მაგრამ მყდერმა **dz** დაკარგა თავის ჭურადობა სიტყვებში. მაგალითად: **zece** – ათი, **iezi** – თიკნები. ძველი რბილი თანხმოვნები | და **ŋ** ჩრთილოეთში რედუცირდა **y**, ხოლო სამხრეთში კვლავ შემორჩა. მაგალითად: **folia** – foaie – ფურცელი; **fiu**-(**filium**) – ვაჟი; **muicre**-(**mulierem**) – ქალი.

სიტყვები. ნასესხები. აღმოსავლური ლათინური ენის სიტყვათა მარაგი საფუძვლად დაედო რუმინულ ენას და ზოგიერთს სიტყვა დამახასიათებელია მხოლოდ ამ ენისთვის. მაგალითად: **ovis** – oac – ცხვარი; **alvina** – abină – ფუტკარი; **blanditia** – blândete – სიმორცხვე; ზედსართავი სახელები: **agilis** – ager – მარჯვე; **languidus** – lănced – მოღუნებული. 1453 წ. რუმინელების თურქებთან ახალი კავშირის დაწყების შედეგად, რუმინულ ენაში შევიდა ისეთი თურქული სიტყვები როგორცაა: **ibric** – დოქი, **catifea** – ხაყერდი, **bucluc** – უსიამოვნება. თავის მხრივ თურქული სიტყვები არაბული ან სპარსული წარმოშობისაა. გარდა ამისა თანამედროვე რუმინული ენის ლექსიკური ერთეულის გაზრდა რუსული, ფრანგული და იტალიური სიტყვებითაც მიმდინარეობს.

მაგ: **soldat** – ჯარისკაცი **toatetă** – ტუალეტ

piată – მოედანი **egoizm** – ეგოიზმი

salon – ოთახი **revoltă** – აჯანყება

ისევე როგორც სხვა ქვეყნებში XIX საუკუნის ბოლოს, რუმინეთშიც გაჩნდა განსაკუთრებული ჟარგონი „**smechereasca**“, რომელიც ნაკლებად შესწავლილია, მაგრამ საერთო აქვს გერმანულ და თურქულ არგოსთან (**rotwelsch**), რომლისგანაც რუმინულ ენას ნასესხები აქვს ბევრი სიტყვა. მაგალითად:

veselie- მხიარულება, რომელიც რუმინულ ენაში აღნიშნავს ბაზრობას; **cot** – იდაყვი, აღნიშნავს „წელიწადს“. **Câneþă** – კანაფი, ნიშნავს თმას, წვერს. რუმინული ენა არ არის მდიდარი რთული სიტყვებით, თუმცა შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სიტყვა. მაგალითად: **papă-lapte** – უსაქმური; **gură-cască** – დოჟლაპია. სიტყვებმა განიცადა სემანტიკური ევოლუცია და წარმოქმნა ახალი მნიშვნელობები. მაგალითად: **inimă (anima** – სული) – ნიშნავს ახლა „გულს“, სიტყვა **rost (rostrum** – ნისკარტი, პირი) დღეს ნიშნავს „მეტყველებას, წესრიგს“.

არსებითი სახელი. რუმინულ ენაში ლათინურს ენის მსგავსად არსებითი სახელი იყოფა 3 ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის მხოლოდით რიცხვში **a-**ზე და მრავლობით რიცხვში **e-**ზე დაბოლოებული მდედრობითი სქესის არსებითი სახელები. მაგალითად: **capră** – თხა, **capre** – თხები. მეორე ჯგუფში შედის მხოლოდით რიცხვში **u** – ზე და მრავლობით რიცხვში **i** – ზე დაბოლოებული არსებითი სახელები. მაგალითად: **lup(u)** – მგელი, **lupi** – მგლები; **câtel** – ლეკვი, **cătei** – ლეკვები.

მესამე ჯგუფში შედის მხოლოდით რიცხვში **e-**ზე და მრავლობით რიცხვში **i-**ზე დაბოლოებული ორივე სქესის არსებითი სახელები. მაგალითად: **câine** – ძაღლი, **căini** – ძაღლები, **vulpe** – მელა, **vulpi** – მელიები. ფუძის ბოლო ხმოვნიდან გამომდინარე არსებითმა სახელმა შეიძლება შეიცვალოს ფუძის თანხმოვანი. მაგალითად: **ied** – **haedum** – თიკანი; **iezi** – **haedi** – თიკნები; ან ფუძის ხმოვანი მაგალითად: **floare** – **florem** – ყვავილი; **flori** – **floris** – ყვავილები.

ზედსართავი სახელები. რუმინულ ენაში ზედსართავი სახელები იყოფა ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის ის ზედსართავი სახელები, რომლებსაც მდედრობით და მამრობით სქესში განსხვავებული ფორმები აქვს. მაგალითად: **bun** – კეთილი (მამრ. სქესი); **buni** – კეთილი (მრ. რიცხვი); **bună** – კეთილი (მდ. სქესი) **bune** (მრ.რიცხვი) – კეთილი.

მეორე ჯგუფში კი შედის ზედსართავი სახელები, რომლებსაც ორივე სქესში ერთნაირი ფორმა აქვს. მაგალითად: **duce** – ნაზი (მხ. რიცხვი), **dulci** – ნაზი (მრ. რიცხვი); **doulcea** – ნაზი, **dulcile** – ნაზი; აგრეთვე **mare** – დიდი, **tare** – მაგარი, **moale** – რბილი; **subtire** – წვრილი, **verde** – მწვანე; **or**-ზე დაბოლოებული ზნისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები ძვედრობით სქესში ბოლოვდება **e**-ზე. მაგალითად: **impunător** – **impunătoare** – შთამბეჭდავი. რუმინულმა ენამ შეინარჩუნა რიცხვითი სახელების ლათინური სახელები. მაგალითად: **un, doi, trei, patru, cinci, șase, șapte, opt, nouă, zece**.

ნაცვალსახელები. რუმინულ ენაში პირის ნაცვალსახელების ფორმებია:

eu – მე **noi** – ჩვენ

tu – შენ **voi** – თქვენ

ei, ia – ის **ei** – ისინი

კუთვნილებითი ნაცვალსახელებიდან რუმინულმა ენამ შემოინახა შემდეგი მახვილიანი ფორმები. მამრობით სქესში **meu** – ჩემი, **mei** – ჩვენი, ძვედრობით სქესში **mea** – ჩემი, **male** – ჩვენი; **tău** – შენი, **ta** – თქვენი; **ta, tale**; მრავლობით რიცხვში: **vostru** – თქვენა, **nostru** – ჩვენი, **lor** – მათი. რუმინულ ენაში ჩვენებითი ნაცვალსახელებად გამოიყენება მარტივი ფორმები. მაგალითად: **ăst**-ეს (მამრობითი სქესი), **astă** – ეს(ძვედრობითი სქესი). ეს ფორმები გავრცელებულია ხალაპარაკო ენაში, ხოლო სალიტერატურო ენაში კი გამოიყენება შედარებით რთული ფორმები, რომელიც იწარმოება პრეფიქსი **accu**-ს დართვით. მაგალითად: **ăcest – această**, მრავლობითი რიცხვში **acești – aceste** – ეს; **acel – acea** – ისინი.

ზმნა. რუმინულმა ენამ **are** და **ire**-ზე დაბოლოებული ზმნის საწყისი ფორმებთან ერთად შემოინახა აგრეთვე **eare**-ზე დაბოლოებული ზმნის ფორმებიც, რომელიც შეესაბამება ლათინური **are** ან **äre** ზე დაბოლოებული ზმნის ფორმებს. ასევე რუმინულმა ენამ ლიტერატურულ ენად ჩამოყალიბებამდე

შეკვეცა ზოგიერთი ზმნის ინფინიტივი. მაგალითად: **cîntare** – **cîntá** – მღერა, **taceare** – **tácea** – დუმილი, **dormire** – **dormi** – ძილი, **vender** – **vinde** – გაყიდვა. რუმინულ ენაში კავშირებითი კილო თხრობით კილოს ემთხვევა ახლანდელი დროში, ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ მე-3 პირის მხოლოდობით და მრავლობით რიცხვებში.

მაგ: **cânta** – მღერის **doarmă** – ხმინავს
tacă – დუმს **vindă** – ყიდის

ახლანდელი დროის ბრძანებითი კილოს მხოლოდობით რიცხვის ფორმებია:

cantă – იმღერე **taci** – გაჩუმდი
dormi – დაიძინე **vinde** – გაყიდე

რუმინულ ენაში თხრობით კილოში ნამყო უსრული დროის ორი ფორმაა: **a**-ზე დაბოლოებული ზმნები ძველ რუმინულ ენაში იმატებენ შემდეგ დაბოლოებებს:

– **ă** – **ămu**
 – **ă** – **ăti**
 – **ă** – **ă**

მხ. რიცხვის პირველი პირის დაბოლოება (**ămu**) –ს გამოყენება დაიწყო XVII საუკუნეში, მხ.რიცხვის მესამე პირისაგან განსხვავებით, მოგვიანებით: სალიტერატურო ენაში მრ. რიცხვის მე-3 პირში გამოიყენებოდა **am** დაბოლოება. მაგალითად: **cîntam** – მღეროდნენ. როგორც ჩანს, გაგლენა იქონია ზმნამ **am** (**habunt** – ქონა, ყოლა). მეორე ფორმას მიეკუთვნება ყველა დარჩენილი ზმნები, რომლებიც მომდინარეობს ლათინური ენის ნამყო უსრული დროის ფორმიდან. გარკვეული ცვლილებების შემდეგ თანამედროვე რუმინულ ენაში მივიღეთ აწმყო დროის შემდეგი დაბოლოებები:

– **eam** – **eăm**
 – **eă** – **eăt**
 – **eă** – **eău**

ძველ რუმინულ ენაში არსებობდა **a** და **i**-ზე დაბოლოებული ზმნების ნამყო სრული დროის 2 ფორმა.

1. **cînt-aim**, - **ăș-**, -**ămu**, -**ătu**, -**ără** - ვიმღერე

2. **dorm-iim**, - **îș-**, -**î**, -**îmu**, -**îtu**, -**iră** - მეძინა

ორივე ეს ფორმა აზღოს არის ხალხური ლათინური ენის ფორმასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის დაბოლოებას **m-**-ს, რომელიც წარმოადგენს ძველი ფორმების გავლენას აზლანდელ დროზე, რომლის მაგალითია **saim-salio** – მივაჭუნებ. რუმინულ ენაში თავაზიანი მიმართვის ფორმა შედგებოდა პარაფრაზისგან **dumncata** – თქვენო ბრწყინვალეობა. ზმნის მხოლოდითი რიცხვის მეორე პირში შენარჩუნებით. მაგალითად: **-domncate esti mutumit?** კმაყოფილი ხართ? თუმცა ფრანგული ენის გავლენით რუმინულ ენაში დაიწყეს მრ. რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელის **voi-**-ის გამოყენება.

XVI საუკუნეში მე-3 პირის ნაცვალსახელი **el** ყოველთვის არ ნიშნავდა ქვემდებარეს და ხშირად გვხვდებოდა **inssu** წინდებულთან ერთად, რომელიც თანამედროვე სალიტერატურო რუმინულ ენაშიც შეიძლება შეგვხვდეს. მაგალითად: **cu-insu-mi-**მე თვითონ; **el-insu-si-**-ის თვითონ. სალაპარაკო რუმინულ ენაში ეს ფორმები იცვლება შემდეგი ფორმებით: **cu sigur** – მე თვითონ; **tu chiar** – შენ თვითონ

რუმინულ ენაში ზმნა უთანხმება პირდაპირ დამატებას თუ ის წინდებულთან ერთადაა, რომელიც ხაზს უსვამს მის მოქმედებას, ეს წინდებულებია **pre** ან **pe**, რომლებმაც ფართო სემანტიკური ცვლილება განიცადა. მაგალითად: **cu văzut pe fratele meu** – ვნახე ჩემი ძმა, **pe cine chemic?** – ვის ეძახი? რუმინულმა ენამ შეინარჩუნა მიცემითი ბრუნვის ფორმები წინდებულების გარეშე. მაგალითად: **dă fân cahului** – მიეცი თვა ცხენს. თუმცა XVI საუკუნის ტექსტებში გვხვდება წინდებული **ă**, რომელიც აზუსტებს თუ ვისთვის ხდება მოქმედება. მაგალითად: **Guiudecati a săracu** – მიეცით სამართალი ღატაკებს. რუმინულ ენაში სხვა რომანულ ენათა მსგავსად დიდი ცვლილება განიცადა წინდებულებმა.

ადგილმდებარეობის მისათითებლად ძველ რუმინულ

ენაში ერთნაირად გამოიყენებოდა **a** და **intru** წინდებულები. თანამედროვე რუმინულ ენაში კა **in** გამოიყენება თანხმონით დაწყებულ სახელებს წინ. მაგალითად: **in casă** – სახლში ხოლო **intru** ხმონით დაწყებული სახელების წინ. მაგალითად: **intr'o casa** – ერთ სახლში. დაბოლოს, ფართო გამოყენება ჰპოვა წინდებულმა **pré-**მ, რომელიც ასიმილაციის შედეგ გადავიდა **pe-**ში. მაგალითად: **pre ripă** – კლდის ნაპირას, **pe ripa**. ამ წინდებულმა შეინარჩუნა დროისა და ადგილის მნიშვნელობაც. მაგალითად: **a sărit pe fare astră** – ის გადახტა ფანჯრიდან. ძველ რუმინულ ენაში წინადადების აგება ხდებოდა ისევე, როგორც ლათინურში. დღევანდელ რუმინულში კი როგორც იტალიური, უპირატესობას ანიჭებს უკუქცევითი ფორმის **se zice** – ამბობენ, გამოყენებას განუსაზღვრელი წინადადების აგებაში.

რეტორომანული ენა. რეტორომანული ენა, რომელსაც ასევე ლადინურს ან რეტინულ ენას უწოდებენ, შუა საუკუნეების დასასრულს გამოიყო ჩრდილო-იტალიურ დიალექტებს, და გავრცელდა საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე. ამჟამად ამ ენაზე მხოლოდ სამი მცირე, ერთმანეთისაგან გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრებით გამოყოფილი ჯგუფი მეტყველებს. ამ ჯგუფების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი.

- 1) დასავლეთით მდებარე ჯგუფი შვეიცარიის კანტონ გრაუბიუნდენშია დასახლებული. დროის განმავლობაში ის რამდენიმე ავტონომიურ კავშირში გაერთიანდა. XVI საუკუნეში ეს ავტონომიები შვეიცარიას შეუერთდა, და 1803 წელს რეორგანიზებული შვეიცარიის კონფედერაციის დამოუკიდებელი კანტონი გახდა.
- 2) ცენტრალური ჯგუფი ტიროლის მთიან რაიონში ცხოვრობს, რომელსაც დოლომიტურ ალპებს უწოდებენ. მის გარშემო არსებულ დასახლებებში მოსახლეობა გერმანულ და იტალიურ ენებზე

ლაპარაკობს. ეს ტერიტორია XVII საუკუნეში ავსტრიას ეკუთვნოდა, 1919 წლიდან კი იტალიას ეკუთვნის.

- 3) აღმოსავლეთით მდებარე ჯგუფი ფრიულშია დასახლებული, იტალიის პროვინცია უდინში. ფრიული 36 საჰერცოგოდან ერთ-ერთი იყო, რომლებიც იტალიაში ლანგობარდებმა შექმნეს. ის ჯერ ფრანკებმა და შემდეგ, 952 წელს, ოსმალების იმპერატორმა დაიპყრო. XV საუკუნეში ის ვენეციის რესპუბლიკას შეუერთდა.

რაოდენობრივად რეტორომანულენოვანი ჯგუფები ძალიან მცირეა. პირველი ჯგუფის ენაზე 40 000 ადამიანი საუბრობს, ძეორზე – მხოლოდ 12 000, ძესამზე, რომელსაც ფრიულული ჯგუფის მოსახლეობა განეკუთვნება, საუბრობს 400 000 ადამიანი. ენები რომლებზეც ამ ჯგუფში შემავალი ადამიანები მეტყველებენ, კილოკავების სახით შემორჩა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთი ძირიდან მოდიან, ეს კილოკავები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. გრაუბიუნდენული რეტორომანული შეიძლება ორ კილოკავად დავეყოთ: რუმანიშულად და ენგადინურად. რუმანიშულში, თავის მხრივ, შეგვიძლია, სურსელეური და სუბსელეური ვარიანტები გამოიყვათ, რომელთა შორის საზღვარს ფლიმის ტყე ავლებს. პირველი, უფრო კულტურული დიალექტის ცენტრებს წარმოადგენს დიზენტისი (კათოლიკური) და ილანცი (პროტესტანტული). ინის დაბლობის კილოკავები იყოფა ზემოენგადინურ (რომლის ლიტერატურული ცენტრი სამადენშია) და ქვემოენგადინურ (რომელზეც მეტყველებენ ცერნეტციში, შულსა და სხვა დასახლებულ ადგილებში) კილოკავებად. მათვე შეგვიძლია მივაკუთვნოთ მიუნსტერის კილოკავი. რამდენიმე ადინიშული გამონაკლისის გარდა, ყველა ქვემომოყვანილი მაგალითი რუმანიშული და სამადენური დიალექტიდანაა მოყვანილი, როგორც ტიპური ენგადინური კილოკავების მაგალითები. შემორჩენილებიდან ყველაზე ძველი

ტექსტი, რომელიც უდავოდ რეტორომანულ ენაზეა დაწერილი, შვიცის კანტონის სააბატოში აღმოჩენილი 15-სტრიქონიანი ფრანგმენტია. ამ მაღალმთიან რეგიონებში რელიგიური ლიტერატურის (ბიბლიური დრამები, პოემები) განვითარებას ბიძგი ძირითადად სხვადასხვა რელიგიურმა მიმდინარეობებმა მისცა. უძველესი წიგნები გამოცემულ იქნა 1552 წელს, ეს წიგნი: „**Christiauna Fuorma**“ იაკობ ბიფრუნმა შეადგინა. 1560 წელს გამოიცა „ახალი აღთქმა“, იმავე ავტორის მიერ თარგმნილი. ორი წლის შემდეგ გამოიცა „ფსალმუნები“, ჩიამპელის თარგმნილი. პირველი რუმანიშული ტექსტი 1611 წლით თარიღდება. ეს არის „მამაო ჩვენო“, რომელიც მოძღვარმა სტეფანე გაბრიელმა შედგინა. მისმა ვაჟმა, ლუკამ კი 1648 წელს რუმანიშულ დიალექტზე თარგმნა „ახალი აღთქმა“. ამგვარად, ეს ლიტერატურა ძირითადად თარგმანებისგან, საეკლესიო გალობებისა და რელიგიური მოტოვის ლექსებისგან შედგებოდა. ენობრივმა ცვლილებებმა მხოლოდ XIX საუკუნეში იჩინა თავი, როცა გამოჩნდნენ ისეთი მწერლები, როგორებიცაა მატლი კონდარი, პუონდერი, სიუტები – კარატჩა, კადერასი და დერიანი. პერიოდული გამოცემებიდან, რომლებიც დიალექტზე იბეჭდებოდა უნდა აღინიშნოს 1857 წელს დიზენტისში გამოცემული გაზეთი „**Gasetta Romonscha**“. ლიტერატურული განვითარება ტიროლში ყველაზე გვიან დაიწყო. ძირითადად ის ლირიკული ლექსებისგან შედგება, რომელთაგან ზოგი მართლაც საინტერესოა. ფრიულში შემონახულია არქივის დოკუმენტები XIV საუკუნიდან, რომლებშიც შეინიშნება ვენეციური გავლენა. XIX საუკუნეში ფრიულში მოღვაწეობდა დიდი პოეტი პიერ ზორუტი, და რამდენიმე სატირული კომედიის ავტორი. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ 1937 წლის 1 ივნისს, ბერნში, შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ განიხილა წინადადება, კონსტიტუციაში მიეღოთ კანონი იმის შესახებ, რომ რუმანიშული ენა შვეიცარიის მეოთხე ნაციონალური ენა გამხდარიყო.

ბგერები. ხმოვნები. რეტორომანული ენის ხმოვანთა სისტემისთვის დამახასიათებელი თვისება თვით დახურულ მარცვალში ხმოვნების ხშირ დიფტონგიზაციაში მდგომარეობს. საუკუნეების განმავლობაში თავდაპირველი დიფტონგები სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებულ ცვლილებებს განიცდიდა, და ზოგიერთ შემთხვევაში ისინი გამარტივდა.

ა) ლათინური მახვილიანი **a**, როგორც წესი, რეტორომანულში შემორჩა. თავისუფალმა **a**-მ კი სავარაუდოდ, XV საუკუნემდე, ენგადინში ფორმა იცვალა და გრძელ **ē**-დ გადაიქცა. **tyēvra=capra** (თხა), **mnēr=minare** (გარეკვა). ამ რეგიონის დასავლეთით ცხვირისმიერი ბგერის წინ **a** შეიცვალა დიფტონგი **au**-თი, შემდეგ **ou**-დ იქცა, და საბოლოოდ **o**-დ: **paun, poun, pon=panem** (პური). ზემო ენგადინში ამ დიფტონგმა გარდამავალი ეტაპის (**eu**) შემდეგ რედუცირება განიცადა და **e**-დ იქცა: **peun, pēm**. ქვემოენგადინურშიც გვაქვს ასეთი ცვლილება: **gron(t)=(grandem)** – დიდი; **floma=(flamma)** – ალი, მაგრამ ზემოენგადინურში **grant, flama**. ეს თავისებურებები ან რეგრესიის შედეგია, ან მაშინ იჩენდა თავს, როდესაც ცხვირისმიერ ბგერას სხვა ხმოვანი მოხდევდა.

ბ) თავდაპირველი დიფტონგი **au** ნაწილობრივ შემორჩა დასავლეთში და სრულად აღმოსავლეთში, მაგრამ სხვა ადგილებში განიცადა რედუცირება **o**-დ. იგივე დიფტონგი თანხმოვნის წინ **a+I**-ად გარდაიქმნა **aul(t)** – მაღალი, (**aut=altum**), ფრიულის დასახლების გარდა. ამ დიფტონგის წარმოქმნა დასავლეთით შეიძლება ადრინდელი სუფიქსი – **atu**-დან კბილისმიერი ბგერის ამოვარდნით ავხსნათ, რომელიც გრაუბიუნდელეების ენაში რამდენიმე ეტაპის გავლით გამოიხატება: **adu, adu, awdu, awu**.

გ) რეტორომანული ენის გამოყენების არეალში თავდაპირველი რომანული პერიოდის დასაწყისში მახვილიანმა ხმოვნებმა **e**, **o**-მ განიცადეს დიფტონგიზაცია **ie, uo**-დ თვით დახურულ მარცვალში. თუმცა ჯერ კიდევ მანამდე მოხდა გარდაქმნა

(**e**+თავისუფალი **n**)=**e**-დ და (**o+n**)=**o**-დ, **u**-დ. აქედან: **bcin**, **bain**, **ben**=**bēne** (კარგად), და **bun**, **bon**=**bonum** (კარგი). საუკუნეების განმავლობაში დიფტონგებმა სხვადასხვა სახის რედუცირება განიცადა და საერთო სურათი ძალიან რთული აღსაქმელია. დღევანდელ რეტორომანულში **ie** ღია მარცვალში ან შემოინახა, ან რედუცირება განიცადა და გახდა **e** გრაუბიუნდენში; რუმანიშულად **tsiel**=**caelum** (ცა), ენგანდურად **tsel**. თავისუფალი **uo** კი პირიქით, რუმანიშულში გამარტივდა, ენგანდინურში კი **ow**, **oy**, **ox** ეტაპების შემდეგ გახდა **uk**. რუმანშ: **kor**=**cor** (გული), ენგანდურად: **kokr**.

მახვილმა **e**-მ და **o**-მ ღია მარცვალში ისეთივე ცვლილება განიცადა, როგორც ჩრდილოეთ ვალიაში და ჩრდილოეთ იტალიის დასავლეთ ნაწილში; **e** გარდაიქმნა **ei**-დ შემდეგ კი **ai**-დ ენგანდინში და ტიროლის ზოგიერთ რაიონში. რომანიშულში: **seit**=**sitim** (წყურვილი) ენგანდინურში: **sait**, ფრიულში: **seit**; **o**-მ განიცადა დიფტონგიზაცია **ou**-დ, რომელიც თავის მხრივ გამარტივდა ქვემო ენგანდინში **o**-დ, მაგრამ შემორჩა ცენტრალურ ნაწილში და გაიარა ეტაპები **ow**, **oy**, **ox**, **uk** ზემო ენგანდინში. ამიტომ რუმანიშულად და ქვემოენგანდურად გვაქვს: **flur**=**flōrem** (ყვავილი), ზემოენგანდურად: **flukr**, ტიროლურად: **flour**, ფრიულად: **flor**.

ხმოვანი **i**, როგორც წესი, შემორჩა, თუმცა ზოგიერთ ადგილას იგი გარდამავალი ეტაპი **ii**-ს შემდეგ იქცა **ei**-დ. მაგალითად: **fil**=**filum** (ძაფი). რაც შეეხება **u**-ს, აღმოსავლეთით მან შეინარჩუნა ლათინური ფლერადობა, მაგრამ დასავლეთით, გრაუბიუნდენში, ის გახდა **ū**, როგორც სხვა კულტურ რეგიონებში, ვალიასა და ჩრდილოეთ იტალიაში. XVI საუკუნის ბოლოს კი ნაწილობრივ გარდაიქმნა **i**-დ. მაგალითად: **mur**=**mürum** (კედელი), რუმანიშულში **mir**=**mürum**. ცენტრალურ ზონაში, ტიროლის ტერიტორიაზე, ზოგან აღინიშნება შერყეობა **u**-სა და **ū**-ს შორის. ასევე რეტორომანულ ენაში ხმოვანთა სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება:

ა) ყველა სიტყვის ბოლო ხმოვანი ამოვარდა, **a**-ს გარდა,

რომელიც შემორჩა, მაგრამ აღმოსავლეთში e-დ გარდაიქმნა. ამ ხმოვნების ამოვარდნის დრო უცნობია, თუმცა ვარაუდობენ, რომ ეს რეტორომანული ენის არეალში უფრო გვიან მოხდა, ვიდრე გალიაში.

ბ) ხმოვნები სიტყვის პირველ მარცვალში მთლიანად შენარჩუნებულ იქნა, თუმცა შეინიშნება ამოვარდნის ტენდენცია. ერთადერთი კანონზომიერი ცვლილება o-ს u-დ გარდაქმნა იყო.

გ) ბოლოსწინა ხმოვანი სიტყვებში, რომლებშიც მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა, როგორც წესი შემორჩა, გარდა იმ სიტყვებისა, რომლებშიც უკანასკნელი ხმოვანი a იყო. ამ შემთხვევაში ის ამოვარდა გრაუბიუნდენში და შემორჩა აღმოსავლეთში, ცენტრალურ ნაწილში კი ცვლილება მერყეობდა.

თანხმოვნები. რეტორომანულში, როგორც სხვა დანარჩენ რომანულ ენებში, თავდაპირველი ლათინური თანხმოვნები შენარჩუნებულ იქნა. ერთადერთი მნიშვნელოვანი ცვლილება პალატალიზაციაში მდგომარეობს. თანხმოვანთა იხეთი კომბინაციები, როგორებიცაა **kl, pl**, რეტორომანულ ენას განასხვავებს იტალიური ენისაგან. ყოფილი ხალხური ლათინური **k, g (c, g + e, i)** აქ გარდაიქმნა **c, j**-დ, რომელთაგან პირველი შემორჩა, მეორემ კი, როგორც წესი, განიცადა რედუცირება **j**-დ. კიდევ უფრო სპეციფიკური ხასიათისაა ცვლილება **c+a**. დასაწყისში, პალატალიზაციის პროცესი იმას უკავშირდებოდა, რაც იმჟამად გალიის ჩრდილოეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში ხდებოდა. მაგრამ შემდგომი განვითარებით რეტორომანულში საბოლოოდ **ky**-ი **tx**-დ გარდაიქმნა. რუმანიშული დიალექტის თითქმის ყველა კილოკავში სიტყვა **kaval=cabállum**-ად (ცხენი) გარდაიქმნა. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ თავიდან მოხდა მხოლოდ მახვილი **k+a** პალატალიზაცია, და ამავდროულად **kabállu** შემორჩა, და რომ სიტყვებმა **cápra, cárrum** – ურემი და სხვ.

უკვე შემდეგ საუკუნეებში განიცადა რევრესია. რაც შეეხება კომბინაციას **g+a**, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ლათინური სიტყვა **gattum** რეტორომანულში თითქმის ყველგან არის **dyat**. ამ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საქმე თავდაპირველი ფორმის შენარჩუნებასთან გვაქვს.

რეტორომანული არეალის ზოგიერთ რაიონში კბილისძიერმა **t, d, l+i**-მ ასევე განიცადა პალატალიზაცია, რაზეც მეტყველებს ფორმები **txamun, tximun=(tīmonen)** – ხელნა, **lišiva (lixiva)** – წკლიპურტი. დაბოლოს, ენგანდინსა და სხვა რომანულენოვან დასახლებებში შეინიშნება საწყისი **r**-ს წინ ხმოვანი **a**-ს დამატების ტენდენცია, და ხმარობენ როგორც **ram** (ტოტი), **roba** (ნივთი)-ს ისევე **aram, aroba**-ს. რეტორომანულში ინტერვოკალური ნაპრალოვანი დასუსტდა; და ევოლუციის პროცესში **r, v**-დ გადაიქცა. საწყისის **d**-ს რაც შეეხება, დასაუღეთში ის ამოვარდა, მაგრამ აღმოსავლეთში შენარჩუნებულ იქნა. სიტყვის შუაში მდებარე **k** თითქმის ყველგან გადაიქცა **j**-დ; ბგერათა შეთანხმებიდან უნდა აღინიშნოს თანხმოვანი **+y**: დასაუღეთში **l, n**, როგორც წესი, შემორჩა, (რუმანიშულში: **fel=folium** (ფოთოლი), ენგანდინურში: **foel**, თუმცა ტიროლურში: **focya**, ფრიულურში: **fucie**, აქ **l**-მ განიცადა რედუცირება **y**-დ. გრაუბიუნდენში ინტერვოკალური **cl**, ისევე, როგორც გალო-რომანულ ტერიტორიაზე, უმეტეს შემთხვევაში **l**-დ გადაიქცა, რუმანიშულში: **el=oclum** (თვალი), **urela=auricla** (ყური), ცენტრალურ და აღმოსავლეთ მხარეებში კი **cl** გარდაიქმნა **gl**-ად: **auregla**. ცენტრალურ ტიროლში კი **g** შესაბამის შედერ კბილისძიერ ბგერად გარდაიქმნა (**uradla**). რაც შეეხება **kw** და **gw**-ს, გრაუბიუნდენში, როგორც ჩანს, ბავისძიერი ბგერების გადანაცვლების ტენდენცია პქონდათ ქვემოენგანდინურში: **augua=aqua**, რუმანიშულში: **liunga=lingua**. როგორც იტალიაში, ისევე რეციაში, **ct** კომბინაციამ ადრეულად განიცადა ასიმილაცია. ლათინურში: **noctem** (ღამე), **lectum** (საწოლი), ფრიულურში გახდა **nyot, yet**. ტიროლურში: **nuet, liet**. გრაუბიუნდენში პირიქით, შეინიშნება

ლომბარდული დიალექტების გავლენა, კბილისმიერი ბგერების პალატალიზაცია, და გვხვდება რუმანიშული ფორმები *notx, letx*.

კომბინაციაში *gn* პირველი ელემენტი გარდაიქმნა *y*-დ მაგრამ დანარჩენი რეგიონებისაგან განსხვავებით ეს *y* ცხვირისმიურ ბგერას კი არა, წინმდებარე ხმოვანს შუერწყა. ენგანდინურში: **lain**, რუმანიშულში: **len=lignum** (ხე). გრაუნბიუნდენსა და ტიროლში *I*+თანხმოვანმა ვოკალიზაცია განიცადა. დაბოლოს, მოელს რეტორომანულ ზონაში *s*+თანხმოვანი კანონზომიერად გარდაიქმნა *š*-დ. რუმანიშულში: **fiašta, šteila, viašpa**. რეტორომანულ ზონას იტალიურისგან ანხვავებს და დასაუღლეთთან აკავშირებს ლათინური დაბოლოების *s*-ის შენარჩუნება, რასაც მნიშვნელოვანი მორფოლოგიური შედეგები ჰქონდა. მეორე მხრივ, *a*-ს გარდა ყველა ბოლო ხმოვნის ამოუარდნამ ახალი ბოლო თანხმოვნების წარმოქმნა განაპირობა, რომლებიც, ისევე, როგორც გალიაში, ყრუ თანხმოვნებია. ამგვარად *v* გარდაიქმნა *f*-დ (**klaf, klef>clavem**, გასაღები). ბოლო *t* შემორჩა, ისევე, როგორ პროვანსულ ენაში. ბოლო *k* ყველგან **iš**-დ ან **š**-დ იქცა. მაგალითად: **kruš (crucem)** – ჯვარი. ბოლო *r*, ძირითადად ზმნის ინფინიტივში (*-ar, -ir*), რუმანიშულ და ფრიულურ კილოკავებში ამოუარდა, მაგრამ ენგანდინურში შემორჩა.

სიტყვები. ალპების ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე რეტორომანული ზონა სამხრეთით ჩრდილოეთ იტალიას ესაზღვრება, დასაუღლეთით კი ძველ გალიას. ამიტომ ხალხურ ლათინურში, რომელიც რეტორომანულ ლექსიკას უდევს საფუძვლად, შეიძლება შეგვხვდეს როგორც ერთ, ისე მეორე მხარესთან არსებული შესაბამისობები. სიტყვებს, რომლებიც იტალიაშიც ცნობილია, შეგვიძლია, მივაკუთვნოთ ზმნა **aspectare expertare** – ცდა-ს მნიშვნელობით, სიტყვები **tabulatum** – ხის იატაკი, **postcenium** – კერძი ვახშმის შემდეგ, **melum** – ვაშლის ხე, სიტყვა **habbus pater** – ის (მამა)

მაგვირად, და სხვ, ზედსართავები **acerbus** – მკვახე, **pinguis** – მსუქანი, და ა.შ. მეორე მხრივ, რეციასა და გალიაშიც შემორჩენილ იქნა ლათინური სიტყვები **mustela** (მოფერება), **mentōnem**-ღაბაბი. ამას გარდა, გრაუბიუნდენში იყენებენ ფორმას **sambati-dies** (შაბათი), რუმანიშულში: **sonda**, ენგადიურში: **sanda**, ტიროლის და ფრიულის ფორმები (**sábada**, **šábide**) კი იტალიურ **sábato**-ს და პროვანსულ **dissapte**-ს შეესაბამება. სიტყვებიდან, რომლებიც, როგორც ჩანს, მხოლოდ ამ რეგიონში შემორჩა, შეიძლება გამოვყოთ ზმნა **algère**, რუმანიშულში: **aulzé** (გაყინვა), რომელიც იმაზე მეტყველებს, თუ რაძდენად იტანჯებოდნენ სიცოცხესგან რომაელები მთაში; სიტყვა **codicem** (წიგნი), რუმანიშულში: **kudis**, ენგადიურში: **kudes**, მაგრამ ფრიულურში: **libri** და სხვა მრავალი. ძალიან საინტერესოა 3 ფერის დასახელება გრაუბიუნდენში: ამ რეგიონისათვის სპეციფიკურია **coccinus** (წითელი), რუმანიშულში: **tyetsen**, ენგადიურში: **kotsen**, ტიროლურში: **koetsc**, მაგრამ ფრიულურში: **ros>russum**; **albus** (თეთრი) რუმანიშულში, ენგადიურში: **alf**, ანუ შემორჩა აღმოსავლეთით, მაგრამ სხვა ადგილებში, მათ შორის ტიროლსა და ფრიულში, გერმანული **blank**-ით შეიცვალა. როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ლათინური სიტყვების განაწილება და ადაპტირება რეტორომანული ენის არეალზე არათანაბრად და განსხვავებულად მოხდა. ლიტერატურული ენის არქონის გამო ეს განსხვავებანი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გამძაფრდა. ასე, მაგალითად, მიუღს რეციაში მინდორი სიტყვა **camp**-იდან მოდის (რუმანიშულში: **kamp**, ტიროლურში, ფრიულურში: **tyamp**), ენგადინში გამოიყენება სიტყვა **area** (ენგადიურში: **er**). სიტყვა „როდის“, **quando**, ცენტრსა და აღმოსავლეთით შემორჩა (ტიროლურში: **kan**, ფრიულურში: **kuant**), მაგრამ დასავლეთით შეიცვალა პარაფრაზით **qua hora** (რუმანიშულში, ენგადიურში: **kura**). სხვა პარაფრაზა **ad-una**-ს გამოყენება დაიწყეს მნიშვნელობით „მუდამ“ (რუმანიშულში: **adina**, ენგადიურში:

aduna, მაგრამ ფრიულურში: **simpri>semper**). რეციაში მომხდარი ლექსიკურა განსხვავებების მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ დროთა განმავლობაში მასზე მოხდენილი მრავალფეროვანი კულტურული გავლენა. ჩრდილოეთით, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო გერმანიკული გავლენა ჭარბობს; სამხრეთით და განსაკუთრებით აღმოსავლეთით კი ზემო ენგადინის, ტიროლისა და ფრიულის დიალექტებს უფრო იტალიური კილოკაუების ზეგავლენა შეეცყო. განსაკუთრებულ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ გერმანიკული სიტყვები, რომლების შემოღებაც ეპოქალურად მნიშვნელოვან მოვლენებს შეესაბამება, და რომლებიც რეტორომანული ენის გამოყენების მთელ არეალში გვხვდება; ესენია **werra** (ომი), **frisk** (გრილი) და სხვ. მოგვიანებით გერმანიკულ ტომებთან მუდმივმა კონტაქტმა გრაუბიუნდენში ადგილობრივი სიტყვების შემოღება გამოიწვია, ტიროლში კი – ბავარიულის. ამ სიტყვებიდან ზოგიერთი, რომელიც XVI და XVII საუკუნეების ტექსტებში გვხვდება, შემდგომ გამოვიდა ხმარებიდან (მაგალითად: **schiaffir**, რომელსაც ბიფრუნი „კეთების, შექმნის“ მნიშვნელობით იყენებდა). იმ ზეგავლენიდან, რომელიც მიიღეს გრაუბიუნდენში გავრცელდა და შემორჩა, შეგვიძლია, დავასახელოთ **wald** (ტყე), რუმანიშულში: **uaul**; **leute** (ხალხი); რუმანიშულში: **lout**, ენგადინურში: **liet**; **glas** (ჭიქა), **brust** (მკერდი), და სხვ. რეინის დაბლობზე იტალიურმა სიტყვებმა შეზღუდული რაოდენობით შეაღწიეს, მაგრამ ზემო ენგადინი, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისდა გამო, მრავალრიცხოვან იტალიანიზმებს ვერ აარიდებდა თავს. მაგალითად ესენია ზმნები **regaler** (ჩუქება)>**regalare**, **piler** (აღება)>**pigliare**, ენგადინურში სიტყვა **amalo**=იტ. **amalato** (ავადმყოფი), და ფართოდ გავრცელებული **graztza**=იტ. **grazia** (მადლიერება). ყველაზე ძლიერი, ბუნებრივია, იტალო-ვენეციური გავლენა აღმოჩნდა აღმოსავლეთზე, ფრიულურში, სადაც ლექსიკის დიდი ცვლილება შეინიშნება. ტალიამენტოს ორივე სანაპიროზე ადგილობრივი მოსახლეობის როგორც სალაპარაკო, ისე

წერით ენაში შუა საუკუნეებიდან მოყოლებული უამრავი იტალიაიზმი შეინიშნება, როგორებიცაა **strade** (ქუჩა), **zornade** (დღე), **chianzunetto** (სიძღვრა), **coraggio** (სიძინაძე), **bellezza** (სილამაზე), **lontan** (შორი) და ა.შ.

ამ დიალექტების სემანტიკური განვითარება დიდი სიმარტივით გამოირჩევა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო მწვემოსობით დაკავებული მოსახლეობისგან. რეინის დაბლობში სიტყვა **mercatus**-ის (რუმანიშულში: **marcau**) მნიშვნელობა გაფართოვდა და აღნიშნავს „ქალაქს“. ქვემო ენგადინში შეგვიძლია, რამდენიმე საინტერესო ფაქტი აღვნიშნოთ, რომელთაგან ზოგიერთი იტალიაშიც გვხვდება: სიტყვა **tampeschta**-მ მიიღო მნიშვნელობა „სეტყვა“, სიტყვა **saictta**-მ კი – „ელვა“. ასევე ბუნებრივ მეტაფორას წარმოადგენს სიტყვა **vadret** (>**vaidet**=**vitrum**, მინა), რომელიც გამოიყენება „მყინვარი“-ის მნიშვნელობით. ფრიულურ დიალექტში სიტყვა **frut** (>**fructus**, ნაყოფი) ნიშნავს „ბავშვს“, გრაუბიუნდენის ტერიტორიაზე კი სიტყვამ **mistat** (>**amicitatem**, მეგობრობა) მამრობითი გახდა, და „ნიშნობის“ მნიშვნელობა შეიძინა.

ზმნა. რეტორომანულ ენათა ზმნის სისტემა თუ არ ჩავთლით ზოგიერთ თავისებურებებს, მთლიანად ემთხვევა სხვა რომანული ენების ზმნის სისტემებს. აქ უნდა აღინიშნოს ზოგიერთი თავისებურება. რეტორომანული ოლქის დიალექტები აღარ იყენებენ სრული ასპექტის წარსულ დროს, თუმცა ძველ ტექსტებში ის გამოიყენება. მაგალითად: **fuit** – იყო, ენგადინურში **füt**, რუმანიშულში **fo**. რეინის დაბლობზე მოპოვალი დროის ჩვეულებრივი ფორმა უცნობია. ენგადინურ დიალექტში გვხვდება ფორმები **purteró** – მოვიტან, **durmíró** – დავიძინებ. არაწესიერი ზმნებიდან უნდა აღვნიშნოთ დამხმარე ზმნის **eser** – ყოფნა, რომელიც გრაუბიუნდენში თხრობით კილოში იუღლება შემდეგნაირად: რუმანიშ. **sun, eis, ei, esen, eses, en**, ხოლო ენგადინურში: **sum, cšt, eks, esents, eses, sum**. ზმნა **avé(r)**-ქონება ჩვეულებრივი ფორმები აქვს მხოლოდით რიცხვში.

სახელი. ნაცვალსახელი. რეტორომანული დიალექტების სახელადმა დაბოლოებებმა გაიარეს იგივე ეტაპი, რაც გალიის ენებმა. ეს იმით მტკიცდება, რომ 1) რუმანიშულში ზედსართავი ინარჩუნებს მხოლოდით რიცხვის მამრობით სქესში დაბოლოებას **s**; 2) ძველ ტექსტებში (XVII ს) ზედსართავების მამრობითი სქესის მრავლობით რაცხეში სუბიექტური ბრუნვაა **sauni** – ჯანმრთელები, ობიექტური ბრუნვა **sauns**. 3) აქა-იქ გამოიყენება მამრობითი სქესის ფორმები მრავლობით რიცხვში, რომლებიც – **i**-ზე ბოლოვდება, ზოლო მხოლოდითი რიცხვის მდებრობითი სახელები მთელ რეტორომანულ ზონაში, რომლებიც **a**-ზე ბოლოვდება შეესაბამება მრავლობითი რიცხვის ფორმა **s**-ით დაბოლოებული. მაგალითად: რუმანიშ. ენგად. **buersa, buerses** – ქისა, ქისები; ფრიულ. **büršc, büršis**, შეესაბამება გალურ ფორმებს და ეწინააღმდეგება იტალიურს. რეტორომანულმა ზონამ შეინარჩუნა I და II პირის ნაცვალსახელების სუბიექტური ბრუნვები. მაგალითად: რუმანიშ. **lóu, tí**, ენგად: **áia, tú**; ტიროლ. **ioe, toe**, ფრიულ. **io; tu**. კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმები გამოირჩევა დიდი მრავლფეროვნებით. გრაუბიუნდენში ამოსავალი იყო ისეთი ფორმების თანაარსებობა, როგორებიცაა **mes, tes, ses, miu, tiu, siu**. ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმებია **ille, il, al**. ასევე ფორმები **tšel, tšei, (ecce-ille)**, რუმანიშულში ფორმა **cccu-iste** არ არის და მის ნაცვლად იყენებენ ფორმას **kwel, kwei**. რეტორომანული დიალექტების თავისებურებაა ასევე მეტად რთული განუსაზღვრელი ნაცვალსახელების შეთანხმების გამოყენება. რეინის ველზე ნაცვალსახელის «რალაც, ვილაც» გამოსახატავად რუმანიშულ დიალექტში გამოიყენება შეთანხმება **entsatžei**. ენგადინურში იტალიური ფორმა **kaltzosa**, ტიროლში **valk**, ფრიულში **alk**. ნაცვალსახელი «არაუინ» გადმოიცემა რუმანიშ. **nadyin**, ენგად. **indyün**, ტიროლურში **negun, (degun)**, ფრიულურში **nišun**, რომელიც იტალიურ ფორმისგან **nessuno** მოდის.

წინადადება. გრაუბიუნდენში ორი არსებითისგან შემდგარ წინადადებაში, როგორც წესი, ხდება მათი უბრალო დაკავშირება, დამხმარე სიტყვების გარეშე, განსაკუთრებით, როცა პირველი მათგანი რაოდენობას გამოხატავს, რუმანიშულში: **ina roseha signurs**=ბრბო ხალხი, **carn piertg**=ღორის ხორცი, ენგადინურში: **mia part roba**=საკუთრების ჩემი წილი. შედარების გამომხატველ სიტყვათა კომბინაციებში გამოიყენება ნაწილაკი **pli, pü>plus** (უფრო, მეტად) მაგალითად: **piü bella ke la rösa**=ვარდზე უფრო ლამაზა. შედარებითი სიტყვების წინ გვხვდება **ke** ან **ko** =**quomodo** (როგორც). განუსაზღვრულ წინადადებებში ქვემდებარედ გამოიყენება **unus**=ერთი. ენგადინურში: **un**; გრაუბიუნდენში კი უპირო ზმნების სუბიექტად შემოიღეს **ei(>illud)**: რუმანიშულში: **ei plova-წვიმს**. რუმანიშულ დიალექტში სახელობითი წინადადების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ზედსართავი ან მიძლეობა წარსულ დროში, გამოყენებული როგორც შემასმენელი, ისარჩუნებს მხოლოდითი რიცხვის მამრობითი სქესის „s“ დაბოლოებას, ამიტომ გვხვდება როგორც **in prau vert** (მწვანე მდელო), ასევე **quei prau ei verts** (ეს მდელო მწვანეა), ასევე **el ei vinius** (ის მოვიდა). ზმნის ვნებითი გვარის ფორმა ისეთივეა როგორც ლათინურში **est amatus**-ის უფვართ. რეტორომანულს ენის გაერცვლეუბის არეალში დღეს ისევე იშვიათად გამოიყენება, როგორც რუმინულ ენაში. ის შეიცვალა პარაფრაზით **venit amatus** (ენგად: **el vain loda**), რომელიც შეესაბამება გერმანულ ფორმას **er wird geliebt**. ეს პარაფრაზა რეტორომანულ ენაში ძალიან დიდი ხნის წინ იქნა შემოღებული. ზმნურ წინადადებაში ენგადინში პირდაპირი დამატების წინ გამოიყენება **a: amer a Dieu**. როცა პირდაპირი დამატება ნაცვალსახელია, თანამედროვე რეტორომანულში თითქმის ყოველთვის ნაცვალსახელის მახვილიანი ფორმები გამოიყენება. ჯერ კიდევ ძველ ენგადინურ ტექსტებში გვხვდება: **nus ludein te** (ჩვენ გაქვით შენ), რუმანიშულში: **iou tei rogel** (მე შენ გითხოვ), **el a mei fatg vigni** (მაიძულა მოვსულიყავი).

უკუქცევითი ნაცვალსაზღელი **se** როგორც წესი, უმახვილო ფორმაში გამოიყენება, და როგორც ზოგიერთ ფრანგულ კილოკავში, ყველა პირისათვის უცვლელია: **nus vein sa piars** (დაილუპეთ-პირდაპირი მნიშვნელობით-ჩვენ ჩვენი თავი დაფლუპეთ). როგორც წესი, ასეთი პარაფრაზები, ისევე, როგორც იტალიურ ენაში, „ყოფნა“ ზმნით აიგება. ადგილის გარემოების გამოსახატად გამოიყენება წინდებულები, რომლებიც ლათინურ **in** და **intus**-ს შეესაბამება (რუმანიშულში: **en, ent**. ენგაღინურში: **in, aint**), ასევე გვხვდება რთული ზმნიწინები **tiers, tier** (=intu-versus), რომელიც თითქმის ამოაგლო **ad**-მა: **turna tier Diu** (ღვთისკენ მიბრუნება).

გრაბიუნდენის ენისთვის სპეციფიკურია მიმართულების მიმცემი გამოთქმები, მაგალითად, რუმანიშულად შეიძლება ვთქვათ **keu-ore-si-sum**, იქ გარეთ ზემოთ (=eccu'hic foras susum in summo), ენგაღინურად: **kui-nan-aint**, აქ შიგნით (=eccu'hic in hac intus). ამას გარდა არსებობს რუმანიშულში **keutras**, ენგაღინურში: **kuatras**, (იქ იმის გავლით), და მრავალი სხვა მსგავსი გამოთქმა. ენგაღინურში: **indyo vash** (იქიდან, სადაც მიდიხარ=**indc-ubi vadis?**), **dindyonder vainsch** (იქიდან, საიდანაც მოდიხარ=**de-inde-unde venis?**)

უარყოფის გასაძლიერებლად რეტორომანულმა ენამ იტალიურ **gutta** ასესხა, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა. რუმანიშულ დიალექტში **gutta**-სთან ერთად გამოიყენება ნაწილაკი **bucca**-ც: **jau affel bucca en mes cudischs** (ვერ კაოულობ ჩემს წიგნებში). ლათინური **nihil**-ის გადმოსაცემად ენგაღინურად ამბობენ: **nus nu vains vis ngueta** (ჩვენ არაფერი დაგვინახავს.) ენგაღინში ასევე ფართოდ გამოიყენება უარყოფა ინფინიტივით **na ns reschponder** (ჩვენ არ ვაგებთ პასუხს). ორი წინადადების დაპირისპირებისას ჩვეულებრივ გამოიყენება ლათინური **magis** მსგავსი ნაწილაკები. თუმცა **ma, mo**-სთან ერთად (მაგრამ) რუმანიშულ დიალექტში ხშირად გვხვდება გერმანულის გავლენის შედეგად შემოღებული **aber**.

შესაძლოა ასევე გერმანულის გავლენის შედეგია (გერმანულში

so -მაშინ- მთავარი წინადადების წინ გვხვდება: **kommt er, so gehe ich fort**=თუ მოვა, მე წავალ) გრაუბიუნდენში გამოიყენება **schī, scha** (>sic) მაგალითად: ქვემოენგანდიურში: **Scha vo yaivat, schi yaina er no**=თუ იქ წახვალთ, ჩვენც წამოვალთ.

წინადადებების დასაკავშირებლად სასაუბრო ენაში გამოიყენება მიმართების ნაწილაკი **ke** (რომელიც), დასავლეთით **txa**. ქვემოენგანდიურში: **la kuntrada txa no nin**=ქვეყანა, რომელშიც მივდივართ **Pom txa no vain vis la txa**=ადამიანი, რომლის სახლიც ვნახეთ. ლიტერატურულ ენაში იტალიურის მსგავსად გამოიყენება **il qual, la quala**. მაგალითად 1788 წლის გრამატიკაში შეიძლება შევხვდეთ ასეთი ფორმა: **Teis padrun il nom del qual tū portast**=შენი ბატონი, რომლის სახელსაც ატარებ.

პირობითი ფორმა რეტორიკულ ენაში ლათინურის მსგავსია (**si habuissem dedissem**=რომ მქონდეს, მოგცემდი.) მაგალითად რუმანიშულ თარგმანში გვხვდება: **Scha vus savesses, scha vesses vus buc cundemnau**=რომ გვცოდნოდა.. არ განსჯიდით. (ორიგინალში **autem sciretis.. nunquam condemnassetis**). დღევანდელ ქვემო ენგანდიურში: **scha ves schi dessa**=რომ მქონდეს, გავცემდი.

თავი V. რომანული ენები როგორც მდინარული კვლევის ობიექტი

ფილოლოგიური საქმიანობა რომანული ენების სფეროში XIV-XIX საუკუნეებში. რომანული ენების კვლევა XX საუკუნეში. რომანიستيკა XXI საუკუნეში.

იტალიაში, რომანული ენების წარმოქმნა ხდებოდა ლათინურის ენის ბაზაზე, ენის მატარებელთა ცოცხალი ურთიერთობით. ბუნებრივია, რომ რომანული ენები და დიალექტები გამოიყენებოდა ყოველდღიური ურთიერთობის სფეროში. ლათინური ენა რჩებოდა მეცნიერების ენად. რომანული ენები მნელად იკვლევდნენ გზას საქმიან ურთიერთობაში.

იტალიაში მშობლიური ენის დამკვიდრება დაკავშირებულია რენესანსის პერიოდის გამოჩენილ იტალიელ პოეტთან დანტე ალეგიერთან. მან იტალიურ ენის დაცვას მიუძღვნა სპეციალური ტრაქტატი «ხალხური მჭერმეტყველების შესახებ», რომელიც თარიღდება 1304-1309 წლებით. I ნაწილში მოცემულია რომანული ენების კლასიფიკაცია. შეიძლება ამ ტრაქტატს გარკვეული ხარვეზები პქონდა, მაგრამ იმ პერიოდისათვის ეს იყო ორიგინალური და ღირებული ნაშრომი. ის ამბობს, რომ რომანულ ენებს საერთო წარმოშობა აქვთ. იმ დროს, იტალიური ენა არ იყო ერთიანი. დანტეს სურდა, რომ იტალიურ ენას გაეთავისებინა ყველაფერი ის საუკეთესო, რაც შექმნილია იტალიელი პოეტების მიერ, რომლებიც იტალიური დიალექტების მატარებელნი იყვნენ. დანტემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლიტერატურული ენის შემდგომი განვითარების საკითხში. დანტეს ნაშრომი პირველი სამეცნიერო ნაშრომია, რომლითაც მან იტალიური ენისადმი

და მისი დიალექტებისადმი ინტერესი გამოხატა. ამ ნაშრომით პირველად მოხდა იმის გააზრება, რომ რომანულ ენებს საერთო წარმოშობა აქვთ და ეს იყო მათი კლასიფიკაციის პირველი მცდელობა. XVI საუკუნეში იტალიაში ჩნდება იტალიური ენის გრამატიკის პირველი სახელმძღვანელოები. ფრანჩესკო ფორტუნატოს და პიეტრო ბემბოს «გრამატიკული წესები».

საფრანგეთში, ფრანგული ენის დაცვა თავის თავზე 7 პოეტისგან შემდგარმა ლიტერატურულმა ჯგუფმა აიღო, რომელსაც «პლედა» ეწოდა, რომელთა შორისაც იყო ცნობილი პიერ დე რონსარი და ფოანენ დიუ ბელე (XVI ს). მათ მანიფესტს ეწოდებოდა «ფრანგული ენის დაცვა და განდიდება» – **La Defense et illustration de la langue francoyse (1549)**. მასში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ფრანგული ენა მდიდარი და კეთილშობილიურია, რომ ის ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებაა (**Notre Langue, la fleur et le fruit des bonnes Lettres**). მანიფესტით, მათ ყველა მწერალსა და პოეტს მოუწოდეს რაც შეიძლება მეტი ელვანათ ენის სრულყოფის საკითხში. ამან ყველაზე მეტი გამოხატულება ჰპოვა ფრანსუა რაბლეს რომანში «გარგანტუა და პანტაგრიუელი». ამ ნაწარმოებში დიდი რაოდენობით ვხვდებით ნეოლოგაზმებს, არქაიზმებს, დიალექტურ სიტყვებს, რომლებიც ნახესხებია სხვა ენებიდან. ბევრი სიტყვა რომელიც რაბლემ შემოიტანა შევიდა ლიტერატურული ენის შემადგენლობაში. XVI საუკუნეში გაჩნდა გრამატიკის პირველი სახელმძღვანელოები. ჟაკ დიუბუას გრამატიკა დაწერილი ღათიხურ ეხაზე, ტრაქტატები ფრანგული ორთოგრაფიის შესახებ, რომელთა ავტორები იყვნენ რობერ და ანრი ეტიენები. მფრეს ფრანგული ენის გრამატიკა, რომელმაც წინადადება წამოაყენა, რომ გაემარტოებინათ ფრანგული ორთოგრაფია, იმ მიზნით, რომ მიუახლოვებინათ იგი წარმოთქმისათვის. ამავე პერიოდში ფრანსუა 1-ის ბრძანებით ფრანგული ენა საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ენა გახდა.

ესპანეთში მშობლიური ენის დაცვა დაკავშირებულია ორი

ფილოლოგიის სახელთან: ანტონიო დე ნებრიხას და ხუან დე ვალდესის სახელებთან (XV-XVI). ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია ნებრიხას მიერ დაწერილი ნაშრომი «კასტილიური ენის ორთოგრაფიის წესები». ესაა ესპანური ენის ისტორიისა და რომანიტიკის ისტორიის თავალსაზრისთა მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ვალდესი ცნობილია თავისი ნაშრომით «დასალოვი ენის შესახებ», ორი საუკუნის მანძილზე იგი ხელნაწერის სახით ინახებოდა და გამოქვეყნებულ იქნა XVIII საუკუნეში. ესპანური ენის გამოშატველმა საშუალებებმა თავიანთი ასახვა პპოვა სერვანტესის «დონ-კიხოტ ლამანჩელის» რომანში. ასევე ლოპე დე ვეგას კომედიებსა და პედრო კალდერონის პიესებში.

პორტუგალიაში მშობლიური ენის დაცვა, ლიტერატურული ნორმის გამომუშავება დაკავშირებულია აღორძინების პერიოდის ბევრი პოეტისა და მწერლის შემოქმედებასთან. ეხენია ჟუან დე ბარუში (XVI ს), ანტონიუ ფერეირა, ისტორიოგრაფი და პოეტი, 350 სონეტის ავტორი ლიუშ დე კამოინსი.

რუმინეთში XVIII საუკუნეებდე, ეალაშისა და მოლდავეთის სათავადოებში, სამწერლობო ენა ძველი სლავური ლიტერატურული ენა იყო. XVI საუკუნეში ჩნდება რელიგიური ტექსტების მშობლიურ ენაზე თარგმანები. მთარგმნელთა სახელები უცნობია, ხოლო თვით ტექსტები ნაწკვეტ-ნაწკვეტ არის მოცემული. XIX საუკუნეში ხდება ლიტერატურული ნორმის შემუშავება, რომელმაც ხელი შეუწყო პრავალი გამოჩენილი პოეტისა და მწერლის შემოქმედებას. ეხენი იყენენ ვასილე ალექსანდრი, მიხაი ემინესკუ, იონ ლუკა კარაჯალე, იონ კრიანგე და სხვები.

XVI-XVIII საუკუნეებში სამ რომანულ ქვეყანაში ჩნდება სპეციალური ფილოლოგიური ცენტრები, აკადემიები. იტალიაში – **Accademia della Crusca, Académie Française** – საფრანგეთში, ხოლო ესპანეთში – **Real Academia**. იტალიის აკადემიამ პირველი განმარტებითი ლექსიკონი ტოსკანური დიალექტის ნიმუშის მიხედვით მოამზადა. დღეს

იგი ავრძელებს საქმიანობას არა მარტო ლექსიკოგრაფიის სფეროში. ასევე გრამატიკის სფეროში, წარმოადგენს ძირითად სამეცნიერო-კვლევით ცენტრს იტალიური ენის შესწავლის თვალსაზრისით.

